სისხლის სამართალი
ზოგადი და კერძო ნაწილები
სისხლის სამართლის პროცესი
კერძო ნაწილი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/court-decisions/

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე
2020, №4-6

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Criminal Cases
(in Georgian)
2020, №4-6

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Strafsachen
(in der georgischen Sprache)
2020, №4-6

Решения Верховного Суда Грузии
по уголовным делам
(на грузинском языке)
2020, №4-6

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
რუსუდან ჭანტურიძე

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:
0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 71 34;
www.supremecourt.ge

საძიებელი

სისხლის სამართალი

ზოგადი ნაწილი

ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა

ამნისტია 5; 8

კერძო ნაწილი

დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ

1. **დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ**

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით 11

ოჯახში ძალადობა 29

2. **დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ**

ოჯახის წევრის მიმართ არაადამიანური მოპყრობა 44

ეკონომიკური დანაშაული

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად 58

თაღლითობის მცდელობა 67

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

კიბერდანაშაული

კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა 89

დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ

სამოხელეო დანაშაული

ქმედების გადაკვალიფიცირება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებიდან სამსახურებრივ გულგრილობაზე 95

დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ

1. **დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ**

მტკიცებულების განადგურების მცდელობა 115

2. **დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ**

პენიტენციურ დაწესებულებაში პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის ფიზიკური შეურაცხყოფა, ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ 124

სისხლის სამართლის პროცესი

კერძო ნაწილი

1. საკასაციო განაჩენი

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და
მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა 138

2. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო
შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ
განჩინების უცვლელად დატოვება 156; 163

სისხლის სამართალი
ზოგადი ნაწილი
1. ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა

ამნისტია

განჩინება
საქართველოს სახელით

№17[1]-20 13 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
მ. ვასაძე

განიხილა მსჯავრდებულ გ. ა-ს საკასაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 13 მარტის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის განაჩენით გ. ა-ა, – დაბადებული ..... წელს, – ნასამართლობის მქონე (ოზურგეთის რიონული სასამართლოს 2004 წლის 2 დეკემბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით – ქურდობა, ბინაში უკანონო შეღწევით), ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის და სასჯელის სახედ დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 2 დეკემბრის განაჩენით გ. ა-ს მიმართ გამოყენებული პირობითი მსჯავრი და აღსრულდა განაჩენით დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 3 წლით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და საბოლოოდ, გ. ა-ს სასჯელის სახედ დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით.

2. გ. ა-ა დაკავებული იქნა ძებნილი მსჯავრდებულის სახით და სასჯელის მოხდა აეთვალა 2020 წლის 27 თებერვლიდან – დღიდან მისი დაკავებისა.

3. 2020 წლის 2 მარტს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენ-

ციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულებამ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გ. ა-ს მიმართ გავრცელების თაობაზე.

4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 13 მარტის განჩინებით მსჯავრდებულ გ. ა-ს მიმართ გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი, კერძოდ:

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-8 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მსჯავრდებული გ. ა-ა გათავისუფლდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისგან.

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ გ. ა-ს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 2 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი – 3 წელი, შეუმცირდა 1/4–ით და მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 3 თვით, რომლის ათვლა დაეწყო 2020 წლის 27 თებერვლიდან – დღიდან მისი დაკავებისა.

დანარჩენ ნაწილში ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 13 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. ა-მ და ითხოვა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელისგან გათავისუფლება, ალტერნატივის სახით – დანიშნული სასჯელის პირობით მსჯავრად ჩათვლა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ გ. ა-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელისგან გათავისუფლება კანონიერია. ასევე კანონიერია „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, გ. ა-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დანიშნუ-

ლი სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთის – ერთი მეოთხედით შემცირება და მისთვის სასჯელის სახით 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, ვინაიდან „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, ერთი მეოთხედით უნდა შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი პირს, რომელზეც არ ვრცელდება ხსენებული კანონის 1-ლი-მე-15 მუხლების მოქმედება. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული (ქმედების ჩადენისა და განაჩენის დადგენის დროს) მიეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულს (დღეს მოქმედი რედაქციით – მძიმე კატეგორიის დანაშაულს), მასზე უნდა გავრცელდეს სწორედ „ამნისტიის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის დანაწესი.

3. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას დანიშნული სასჯელის პირობით ჩათვლის შესახებ, საკასაციო პალატა მოცემულ შემთხვევაში კანონისმიერადაა მოკლებული შესაძლებლობას იმსჯელოს ამ საკითხზე, ვინაიდან „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, იმსჯელოს მხოლოდ იმის შესახებ, სწორად გავრცელდა თუ არა პირის მიმართ ამნისტია.

4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. ა-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 13 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამნისტია

განჩინება
საქართველოს სახელით

№18[1]-20 5 მაისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ო-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ც-ს საკასაციო საჩივარი ფოთის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 19 მარტის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 თებერვლის განაჩენით მ. ო.-ა. (ძებნილი) ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, მ. ო.-ა-ს შეფარდებული სასჯელი შეუმცირდა და საბოლოოდ მიესაჯა 4 (ოთხი) წლითა და 8 (რვა) თვით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენით მ. ო.-ა-ს მსჯავრი დაედო თაღლითობაში, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლებაში.

მ. ო.-ა-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 20.. წლის .. ივლისს ... მცხოვრები მ. ო.-ა. ნდობის გამოყენებითა და მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა მ. ქ-ს კუთვნილ დიდი ოდენობით ფულად თანხას – 15 120 ლარს.

2. მ. ო.-ა-მ თავი აარიდა გამოძიებასა და სასამართლოს, რის გამოც მის მიმართ 2014 წლის 6 ოქტომბერს გამოცხადდა ძებნა.

3. 2020 წლის 26 თებერვალს ფოთის რაიონულ პროკურატურას განცხადებით მიმართა ძებნილი მსჯავრდებულის – მ. ო.-ა-ს ადვოკატმა კ. ც-მ, რომელმაც წარადგინა დაზარალებულ მ. ქ-ს ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობა მსჯავრდებულ მ. ო-ას მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გამოყენების თაობაზე და მოითხოვა შესაბამისი შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვა ძებნილი მსჯავრდე-

ბულის სასჯელისაგან გათავისუფლების მიზნით.

4. 2020 წლის 10 მარტს ფოთის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ფოთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ემელიანე ბერაიამ, რომელმაც მოითხოვა ძებნილ მსჯავრდებულ მ. ო-ა-ს მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-11 მუხლის გამოყენებით ამნისტიის გავრცელება.

5. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 19 მარტის განჩინებით ფოთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ემელიანე ბერაიას შუამდგომლობა ძებნილი მსჯავრდებულის – მ. ო-ას მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მოთხოვნების გავრცელების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

6. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 19 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ მ. ო-ა-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა კ. ც-მ. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, მსჯავრდებულის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ კანონის გავრცელება და მისი სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მიხედვით, ამნისტია არის ერთჯერადი აქტი, კერძოდ: ამ კანონის შესავალში აღნიშნულია, რომ ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, სამართლიანობის აღდგენაზე საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისად, პატიმართა და პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირების მიზანშეწონილობისა და საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მიერ კრიმინოგენული სიტუაციის კონტროლისა და პრევენციის სათანადო მექანიზმების არსებობის პირობებში, საქართველოს პარლამენტი ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით აცხადებს ამნისტიას.

3. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-11 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, თუ ყველა დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ან სასამარ-

თლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ ამ პირზე გავრცელდეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

4. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებით ირკვევა, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 თებერვლის განაჩენით მ. ო-ა-ს მიმართ უკვე გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი, კერძოდ: იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებული მ. ქ. წინააღმდეგი იყო, მსჯავრდებულის მიმართ გავრცელებულიყო მითითებული კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული შეღავათი, მ. ო-ა-ს შეფარდებული სასჯელი შეუმცირდა ერთი მეოთხედით. შესაბამისად, „ამნისტიის შესახებ“ მითითებული კანონის გამოყენების შემდეგ მოპოვებული დაზარალებულის თანხმობა არ წარმოადგენს „ამნისტიის შესახებ“ კანონის ხელმეორედ გავრცელების საფუძველს.

5. გარდა ამისა, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე ამნისტიის გავრცელების თაობაზე გადაწყვეტილებას საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე იღებს შესაბამისი სასამართლო. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ ძებნილ მსჯავრდებულ მ. ო-ა-ს დაეპატიმრებენ ან თავად გამოცხადდება სათანადო ორგანოებში და თუ იგი ფოთის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 თებერვლის განაჩენს გაასაჩივრებს, სასამართლოს უფლება ექნება, იმსჯელოს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გამოყენებაზე.

6. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 19 მარტის განჩინება კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ მ. ო-ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ც-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 19 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო ნაწილი

დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ

1. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით

განაჩენი
საქართველოს სახელით

№862ა3-1 11 მაისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
შ. თადუმაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ბ-სა და ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ თამარ პაპავას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილებით გ. ა-ს, – - – ბრალად ედებოდა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ჩადენილი ხულიგნური ქვენა გრძნობით, ჯგუფურად, რაც გამოიხატა შემდეგში:

2017 წლის 24 სექტემბერს, დაახლოებით 23:50 საათზე, არასრულწლოვანი გ. ა. მეგობრებთან – ლ. დ-სა და თ. გ-თან ერთად იმყოფებოდა ქ. თ. არსებულ რესტორან „მ.“, სადაც იქ მყოფ მ. ო-ს უმნიშვნელო საბაბით დაუწყეს ჩხუბი, რაც გაგრძელდა რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე. დანებით შეიარაღებულმა გ. ა-მ, ლ. დ-მ და თ. გ-მა, ჯგუფურად, ხულიგნური ქვენა გრძნობით განიზრახეს ჯანმრთელობის დაზიანება მიეყენებინათ მ. ო-სა და მისი მეგობრებისთვის: ნ. ყ-სთვის, გ. ბ-სა და ზ. რ-სთვის, რა დროსაც გ. ა-მ ხელთნაქონი დანა მუცლის არეში ორჯერ დაარტყა ნ. ყ-ს, რითაც მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზია-

ნებები, კერძოდ: ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა მუცლის ზედა მესამედში (ეპიგასტრიუმში) მახვილისებური მორჩიდან მარჯვნივ, მკერდის ძვლის გვერდით ხაზზე, შემავალი მუცლის ღრუში ღვიძლის დაზიანებით, ასევე ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა მარჯვნივ მუცლის ქვედა მესამედში (ჰიპოგასტრიუმში) – ძუძუს (მამილარულ) ხაზზე, შემავალი მუცლის ღრუში, კუჭის, ნაწლავებისა და ჯორჯლის დაზიანებით.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 25 სექტემბრის განაჩენით:

გ. ა. საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

გ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ამ განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა – თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 18 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, გ. ა-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ა-ს სასჯელის მოხდა დაეწყო განაჩენის მიღების დღიდან – 2018 წლის 25 სექტემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2017წლის 25 სექტემბრიდან იმავე წლის 30 ნოემბრის ჩათვლით; ასევე წინა – თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 18 დეკემბრის განაჩენით მოხდილი სასჯელი – 2017 წლის 18 დეკემბრიდან 2018 წლის 25 სექტემბრამდე; 2017 წლის 27 ოქტომბრიდან იმავე წლის 18 დეკემბრამდე, აგრეთვე დაკავების პერიოდი – 2017 წლის 19 აგვისტო.

3. განაჩენით გ. ა-ს მსჯავრი დაედო ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში, ესე იგი სხეულის დაზიანებაში, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ჩადენილი ხულიგნური ქვენა გრძნობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2017 წლის 24 სექტემბერს, დაახლოებით 23:50 საათზე, არასრულწლოვანი გ. ა. მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა ქ. თ. არსებულ რესტორან „მ.“ მიმდებარედ, რა დროსაც რესტორანში მყოფ მ. ო-სთან უმნიშვნელო საბაბით დაწყებული ჩხუბი გაგრძელდა რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე. დანით შეიარაღებულმა გ. ა-მ ხულიგნური ქვენა გრძნობით განიზრახა, ჯანმრთელობის და-

ზიანება მიეყენებინა მ. ო-ს მეგობარ ნ. ყ-სთვის და ხელთნაქონი დანა მუცლის არეში ორჯერ დაარტყა მას, რითაც მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები, კერძოდ: ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა მუცლის ზედა მესამედში (ეპიგასტრიუმში) მახვილისებური მორჩიდან მარჯვნივ, მკერდის ძვლის გვერდით ხაზზე, შემავალი მუცლის ღრუში ღვიძლის დაზიანებით, ასევე ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა მარჯვნივ მუცლის ქვედა მესამედში (ჰიპოგასტრიუმში), ძუძუს (მამილარულ) ხაზზე, შემავალი მუცლის ღრუში, კუჭის, ნაწლავების და ჯორჯლის დაზიანებით.

4. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

5. ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორი თამარ პაპავა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: გ. ა-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“, „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სამართლიანი სასჯელის შეფარდებას.

მსჯავრდებულ გ. ა-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. ბ. საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: გ. ა-ს ქმედების გადაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლზე.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ თამარ პაპავასა და მსჯავრდებულ გ. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ბ-ს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო მიუთითებს: ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2017 წლის 24 სექტემბერს სწორედ გ. ა-მ მიაყენა დანით ჭრილობები დაზარალებულ ნ. ყ-ს მხარეთა მიერ არ არის სადავოდ გამხდარი. მხარეები სადავოდ ხდიან მხოლოდ ამ ფაქტობრივი გარემოების სამართლებრივ შეფასებას, კერძოდ: გასაჩივრებული განაჩენით დადგენილია, რომ გ. ა-მ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ჩადენილი ხულიგნური ქვენა გრძნობით; ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ საქმეზე ჩატარდა ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოძიება, რა დროსას ეტაპობრივად გამოიკვეთა

მსჯავრდებულის ყველა ქმედება, მათ შორის მისი ჯგუფური ხასიათი, ჩადენილი ხულიგნური ქვენა გრძნობით; ხოლო დაცვის მხარე მიიჩნევს, რომ აგრესია და ფიზიკური შეურაცხყოფა მოდიოდა თავად დაზარალებულების მხრიდან და შესაბამისად, გ. ა-მ გადაამეტა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს და მიაყენა დაზიანებები ნ. ყ-ს.

3. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს არც ბრალდების და არც დაცვის მხარის არგუმენტებს, სრულად იზიარებს გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას და მიაჩნია, რომ გ. ა-მ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ჩადენილი ხულიგნური ქვენა გრძნობით, კერძოდ:

4. დაზარალებულმა ნ. ყ-მა განმარტა, რომ 2017 წლის 24 სექტემბერს, იმყოფებოდა მისი დის ქორწილში თ. მდებარე რესტორან „მ.“. იყო ნასვამი. დ. კ-სთან და ზ. ქ-თან ერთად იყო ქუჩაში, აპირებდა ტაქსის გაჩერებას და სახლში წასვლას, რა დროსაც შენიშნა გ. ბ., მ. ო., ზ. რ. და მისთვის უცნობი სამი პირი, რომლებიც ერთმანეთში დაძაბულად საუბრობდნენ (კამათობდნენ). იგი მივიდა სიტუაციის გასარკვევად. მოულოდნელად, მისთვის გაუგებარი მიზეზით დაიწყო ჩხუბი, რომელიც მალევე, დაახლოებით 10-15 წამში, დასრულდა. ჩხუბის დროს მას ვინმეს ხელში დანა არ დაუნახავს. იგი მეგობრებთან ერთად გადაადგილდებოდა რესტორნის მხარეს, რა დროსაც კვლავ განახლდა ჩხუბი. იგი დაიჭირა ერთმა პირმა თავით, რა დროსაც დანით დაჭრა მეორემ, რომელსაც ეცვა ვარდისფერი მაისური და ჰქონდა მოგრძო, ტალღოვანი თმა, რომელმაც დანა დაარტყა ზედიზედ ორჯერ მუცლის, კერძოდ, კუჭის და გულმკერდის მიდამოში, ისე რომ მისთვის არაფერი უთქვამს და არც მასთან კონფლიქტი უძღვოდა წინ. მან დამნაშავის ხელში დანა დაინახა – როგორც მისი დაჭრის მომენტში, ასევე მისი დაჭრის შემდეგ. მან იგრძნო დარტყმა, დაინახა დანა თავდამსხმელის ხელში და რომ დაიხედა იყო დაჭრილი. დაჭრის შემდეგ, მასთან მივიდა დ. კ. და ჩხუბს გაარიდა. ჩხუბის დროს მას სხვა არავის დაჭრა დაუნახავს. მეორე დღეს გაიგო, რომ მისი მეგობრებიც იყვნენ დაჭრილნი. მისთვის კონფლიქტის უშუალო მიზეზი უცნობია. მიყენებული ჭრილობების შედეგად მას დაუზიანდა კუჭი და ღვიძლი, ჩაუტარდა გადაუდებელი ოპერაცია, რის შემდეგ გადიოდა სტაციონარულ მკურნალობას.

5. მოწმე დ. კ-მ განმარტა, რომ 2017 წლის 24 სექტემბერს იყო ქ.თ. მდებარე რესტორანში, მისი მეგობრის ნ. ყ-ს დის ქორწილში. იგი იყო ნასვამი, მთვრალი არ ყოფილა. გვიან ღამით, დაახლოებით 23:50 საათზე, ნ. ყ-თან და ზ. ქ-თან ერთად ელოდებოდა ტაქსის, რა

დროსაც შენიშნა მ. ო., რომელიც ორ უცნობთან ერთად მოძრაობდა, რომლებსაც მიუახლოვდა ზ. ქ-ი, რათა გაერკვია, რა ხდებოდა. მათთან მივიდნენ გ. ბ. და ზ. რ.. მალევე დაიწყო ჩხუბი. მოჩხუბრებს შორის იყვნენ ნ. ყ. და გ. ა.. მან დაინახა როგორ დაჭრა ნ. ყ. გ. ა-მ. ნ. ყ-ს დაარტყა გ. ა-მ, მისი შემობრუნებისას დაინახა, რომ ხელში ეკავა დანა. ნ. ყ-თან სხვა პირი, გარდა გ. ა-სა, მას არ დაუნახავს. მანამდე ნ. ყ-ს ვინმე ეჩხუბებოდა თუ არა, მას არ დაუნახავს. სხვა პირის ხელში მას დანა არ დაუნახავს. დ. კ-მ ჩხუბს გამოარიდა ნ. ყ., რომელიც იყო დაჭრილი. ჩხუბი გრძელდებოდა სულ 5 წუთს. ჩხუბის მიზეზი მისთვის უცნობია. ჩხუბის დროს ასევე დაიჭრა გ. ბ., მ. ო. და ზ. რ., თუმცა მათი დაჭრა არ დაუნახავს. მოგვიანებით დ. კ-მ მონაწილეობა მიიღო ამოცნობაში, რა დროსაც ამოიცნო გ. ა. – პირი რომელმაც დაჭრა ნ. ყ.. ასევე ამოიცნო ლ. დ. და თ. გ-ი, რომლებიც მონაწილეობდნენ ჩხუბში. ჩხუბის დროს გ. ა-ს ეცვა ვარდისფერი მაისური, თ. გ-ს – ნაცრისფერი მაისური, ლ. დ-ს – შავი.

6. მოწმე ზ. ქ-მა განმარტა, რომ 2017 წლის 24 სექტემბერს იყო ქ.თ. მდებარე რესტორანში, მისი მეგობრის ნ. ყ-ს დის – ქ. ყ-ს ქორწილში. დაახლოებით ღამის 00:00 საათისთვის დ. კ-სთან და ნ. ყ-თან ერთად გამოვიდა რესტორნიდან ქუჩაში. იგი და დ. კ. მაღაზია „ზ-ს“ წინ ბორდიურზე ჩამოსხდნენ. მალევე დაინახა მ. ო., რომელიც ესაუბრებოდა თ. გ-ს (როგორც მოგვიანებით გაიგო). იგი მივიდა, რათა გაერკვია, რამე გაუგებრობას ხომ არ ჰქონდა ადგილი, რაზეც მ. ო-მ უპასუხა, რომ საგანგაშო არაფერი ხდებოდა. მალევე დაიწყო ჩხუბი (გაუგებრობა), რომელიც გაგრძელდა რამდენიმე წამს. მან დაინახა, როგორ დაჭრა ნ. ყ. გ. ა-მ, რომელსაც ეცვა ვარდისფერი მაისური და ხელში ეკავა დანა. გ. ა-მ დაიჭირა ნ. ყ. (წელში მოხარა) და ორჯერ ამოარტყა დანა მუცლის არეში. მან ასევე დაინახა, როგორ დაარტყა დანა მის მეგობარ გ. ბ-ს მუცელში ლ. დ-მ, რის შემდეგ გ. ბ. დაეცა. ასევე დაინახა შეხლა-შემოხლა თ. გ-სა და მ. ო-ს შორის, რომლის დაჭრა არ დაუნახავს. იგი დაედევნა გ. ა-ს, თ. გ-ს და ლ. დ-ს, რომლებიც შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ თ-ის მოედნის მიმართულებით, თუმცა მალევე შეეშვა. გამოძიების მსვლელობისას ზ. ქ-მა მონაწილეობა მიიღო ამოცნობაში და ამოიცნო გ. ა.. ასევე ამოიცნო ლ. დ. და თ. გ-ი. კონფლიქტის მიზეზი მისთვის უცნობია. ჩხუბი მთლიანად გრძელდებოდა მაქსიმუმ 5 წუთს.

7. მოწმე მ. ო-მ განმარტა, რომ 2017 წლის 24 სექტემბერს იყო ქ.თ. მდებარე რესტორან „მ.“, მეგობრის ქორწილში. იყო ნასვამი. ფანჯარასთან ეწეოდა სიგარეტს, რა დროსაც ქუჩიდან რაღაც ჰკითხეს, რაზეც ხუმრობით უპასუხა, თუმცა საუბრის შინაარსი ზუსტად არ ახსოვს. ჩავიდა ქუჩაში. გ. ბ. და ზ. რ-ც უკან გაყვნენ. ქუჩა-

ში მოუვიდა შელაპარაკება მისთვის უცნობ სამ პირთან, თუმცა კონფლიქტის მიზეზი არ ახსოვს. მისთვის უცნობ პირთან ერთად, რომელსაც ეცვა გრძელმკლავიანი მაისური, გვერდით გავიდა და საუბარი განაგრძო. მალევე იგრძნო ძლიერი დარტყმა და ტკივილი მუცლის არეში, რა დროსაც დანა მოხვდა მუცელში. მას ჰქონდა ორი ჭრილობა, თუმცა მხოლოდ ერთი დარტყმის მომენტი აღიქვა. დანის დარტყმის მომენტში მან დაინახა დამნაშავის სახე, რომელსაც სახეზე, მარცხენა მხარეს შუბლიდან ლოყამდე ჰქონდა ნაიარევი. მისთვის სხვა პირს არაფერი დაურტყამს. იგი რესტორანთან დაბრუნდა და ნახა გ. ბ., რომელიც იყო დაჭრილი, ძირს იწვა და სისხლი სდიოდა. იგი რესტორანში შევიდა და სთხოვა მიმტანს სასწრაფოში დაერეკა, რის შემდეგ გონება დაკარგა. კონფლიქტის დროს მას ვინმეს ხელში დანა არ დაუნახავს. გ. ა. არც კონფლიქტის დასაწყისში და არც შემდგომ უნახავს. მეორე დღეს გაიგო, რომ ნ. ყ. და ზ. რ-ც იყვნენ დაჭრილები.

8. მოწმე გ. ბ-მა განმარტა, რომ 2017 წლის 24 სექტემბერს იყო ქ.თ. მდებარე რესტორან „მ.“, მეგობრების ქორწილში. გვიან ღამით, დაახლოებით 23:30 საათისთვის, დაინახა მ. ო., რომელიც იდგა ფანჯარასთან და მოწყვეტით გაიქცა გარეთ. იგი, ზ. რ-სთან ერთად გაყვა უკან მ. ო-ს. ქუჩაში ნახა მ. ო., რომელიც დაძაბულად ესაუბრებოდა მისთვის უცნობ პირს, იყო გაწევ-გამოწევა. ქუჩაში ასევე იყვნენ ნ. ყ., დ. კ. და ზ. ქ-ი. იგი, ზ. რ-სთან ერთად მიუახლოვდა მ. ო-ს, თუმცა საუბრის შინაარსი არ ახსოვს. ყველაფერი ერთ წუთში მოხდა. ჩხუბი და ხელის დარტყმა არც ყოფილა. მას დანით აქვს ორი ჭრილობა მუცლის არეში, ღვიძლის არეში (პლევრის დაზიანებით), ხელზე და კისერში, თუმცა ვინ მიაყენა დაზიანებები არ იცის. მისი ვარაუდით ჭრილობები შესაძლოა მიაყენა პირმა, რომელსაც ეცვა რუხი მაისური. აქტიურად მათ სამი პირი ეჩხუბებოდა. მას დანა არ დაუნახავს, ამიტომ ვერ გააცნობიერა, რომ დაჭრილი იყო, თუმცა დარტყმა და უხერხული ტკივილი იგრძნო და წაიქცა რესტორნის კართან. ესმოდა ზ. რ-ს ხმა, რომელიც ითხოვდა სასწრაფოს გამოძახებას, ასევე ამბობდა, რომ თავადაც იყო დაჭრილი. იგი იყო ძალიან ნასვამი, რის გამოც ვერავის ამოცნობა ვერ შეძლო. მას დანა არავის ხელში დაუნახავს. მეორე დღეს გაიგო, რომ ნ. ყ. და მ. ო. ასევე იყვნენ დაჭრილები. ის პირები, ვინც მათ მიაყენა დაზიანებები, გაიქცნენ თავისუფლების მოედნის მიმართულებით. ჩხუბის მიზეზი მისთვის უცნობია.

9. მოწმე ზ. რ-მ განმარტა, რომ 2017 წლის 24 სექტემბერს იყო ქ.თ. მდებარე რესტორან „მ.“, მეგობრის ქორწილში. გვიან, დაახლოებით 00:00 საათისთვის იდგა ფანჯარასთან და დაინახა, მ. ო. ვიღაცას ესაუბრებოდა მეორე სართულის ფანჯრიდან. დიალოგი

გაგრძელდა რამდენიმე წამს, თუმცა შინაარსი არ გაუგია. მ. ო. უსიტ-ყვოდ გაიქცა ქუჩისკენ. იგი, გ. ბ-თან ერთად უკან დაედევნა, რად-გან მიხვდა, რაღაც ხდებოდა. მ. ო. ქუჩაში, რესტორნის მარჯვენა მხარეს მისთვის უცნობ პირებს ესაუბრებოდა, რომელთაგან სამი პირი აქტიურობდა, რომელთა ამოცნობა არ შეუძლია. მათგან ერთ პირს ეცვა ვარდისფერი მაისური, მეორეს – შავი, მესამეს – მუქი ფერის. ჩოჩქოლი გაგრძელდა რამდენიმე წამს და დაპირისპირე-ბული მხარის წარმომადგენლები გაიქცნენ თავისუფლების მოედ-ნის მიმართულებით. მან მიიღო ჭრილობები ზურგში და გულმკერ-დის არეში. მან დარტყმა იგრძნო, თუმცა დაჭრილი რომ იყო არ იცო-და. მის მიმართ დარტყმებს ახორციელებდა პირი, რომელსაც ეცვა მუქი მაისური, თუმცა მის ხელში დანა არ დაუნახავს. დანა არავის ხელში დაუნახავს. მან ასევე დაინახა გ. ბ., რომელსაც დაარტყა პირმა, რომელსაც ეცვა მუქი მაისური და მოგვიანებით დაინახა, რომ იყო დაჭრილი და სისხლი სდიოდა. ასევე დაჭრილები აღმოჩ-ნდნენ მ. ო. და ნ. ყ.. ჩხუბის მიზეზი არც იმ დროს და არც მოგვიანე-ბით გაუგია.

10. სასამართლოში გამოკვლეული მოწმე ტ. ბ-ს გამოძიებაში მი-ცემული ჩვენების თანახმად, 2017 წლის 24 სექტემბერს დაახლო-ებით 23:45 საათზე იმყოფებოდა თ. მდებარე რესტორან „მ.“. იჯდა გარეთ და ელოდებოდა შეკვეთას, რა დროსაც შენიშნა მაღაზია „ზ-ს“ მხრიდან მომავალი შვიდი ბიჭი, რომლებიც ერთმანეთში ხმა-მაღლა საუბრობდნენ. საუბრის მანერით მიხვდა, რომ ისინი კამა-თობდნენ. იგი მიხვდა, რომ ერთ მხარეს იყო სამი ახალგაზრდა, მე-ორე მხარეს – ოთხი. მან დაინახა, როგორ გადაეფარა კიკინიანი ახალგაზრდა მის მეგობარს, რის შემდეგ შავმაისურიანმა ახალგაზ-რდამ უკნიდან დაარტყა კიკინიანს, რომელსაც წამოუვიდა სისხლი. მას არ დაუნახავს, ეკავა თუ არა ხელში შავმაისურიანს რამე ნივ-თი, თუმცა კიკინიან ბიჭს სხვა არავინ მიკარებია. იგი ხედავდა, რო-გორ დაეცა ყველა ახალგაზრდა მას შემდეგ, რაც მათ შავმაისური-ანი ახალგაზრდა მიეკარათ. მოგვიანებით გაიგო, რომ ისინი დაჭრი-ლები იყვნენ. შავმაისურიან ახალგაზრდასთან ერთად ჩხუბობდნენ ვარდისფერმაისურიანი და ნაცრისფერმაისურიანი ახალგაზრდე-ბი, რომლებიც თავს ესხმოდნენ დანარჩენ ოთხს, რომლებიც ცდი-ლობდნენ თავის დაღწევას. მან დაინახა, როგორ გაიქცა სამი ახალ-გაზრდა თ-ის მოედნის მიმართულებით, ხოლო ის ოთხი ახალგაზ-რდა, ვისაც ისინი ეჩხუბებოდნენ აღმოჩნდნენ დაჭრილები.

11. 2017 წლის 24 სექტემბერის რ. მდებარე სავაჭრო ცენტრ „ს-ს“ სათვალთვალო ვიდეოკამერების ჩანაწერში ნათლად ჩანს ახალ-გაზრდებს შორის არსებული დაპირისპირება. ასევე ნათლად ჩანს, რომ სწორედ გ. ა. ურტყამს ხელს ნ. ყ-ს და მას ხელში უჭირავს მოგ-

რძო ფორმის საგანი.

12. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის №... დასკვნით (20.10.2017), ნ. ყ. შპს ... კლინიკაში სტაციონარულ მკურნალობას გადიოდა 25.09.2017 წლიდან 02.10.2017 წლამდე. ნ. ყ-ს აღენიშნებოდა ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა მუცლის ზედა მესამედში (ეპიგასტრიუმში) მახვლისებური მორჩიდან მარჯვნივ, მკერდის ძვლის გვერდით ხაზზე, შემავალი მუცლის ღრუში ღვიძლის დაზიანებით, ასევე ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა მარჯვნივ მუცლის ქვედა მესამედში (ჰიპოგასტრიუმში) ძუძუს (მამილარულ) ხაზზე, შემავალი მუცლის ღრუში, კუჭის, ნაწლავების და ჯორჯლის დაზიანებით. დაზიანებები განვითარებულია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის მოქმედებით, თითოეული ცალ-ცალკე და ერთად აღებული მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგებიან დადგენილებაში მითითებულ ტრავმის მიღების 24.09.2017 წლის თარიღს. დასკვნის სისწორე დაადასტურა სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ს. ბ-მ.

13. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის №... დასკვნით (05.10.2017), პაკეტში წარწერით „გ. ა-ს ტანსაცმელი...“, მოთავსებულ მაისურზე არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქები წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომლის გენეტიკური პროფილი ეკუთვნის გ. ბ-ს. პაკეტში წარწერით „... ნ. ყ-ს ტანსაცმელი...“ მოთავსებულ ჯინსის შარვალზე, პერანგზე, ქამარზე და წყვილ ფეხსაცმელზე არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქები და დანაშრევები წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომლის გენეტიკური პროფილი ეკუთვნის ნ. ყ-ს, ხოლო ჯინსის შარვალზე და წყვილ ფეხსაცმელზე არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქები და დანაშრევები წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომლის გენეტიკური პროფილი ეკუთვნის გ. ბ-ს. დასკვნის სისწორე დაადასტურა სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ნ. კ-მ.

14. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის №... დასკვნით (07.12.2017), „ნ. ყ-ს“ წარმოდგენილი ტანსაცმლიდან (პერანგი, შარვალი, ქამარი, ერთი წყვილი წინდა, ერთი წყვილი ფეხსაცმელი) პერანგზე არსებული ხევით და ღილების ამოგლეჯვით განვითარებული დაზიანებების წარმოშობის შესაძლებლობა არ გამოირიცხება ფიზიკური ძალის მოქმედებით (მოქაჩვით) და ასევე იკვეთება სავარაუდოდ წვეროს მქონე, რაიმე მყარი საგნის (გამოშვერილობის) მოქმედებისათვის დამახასიათებელი ხევით განვითარებული კუთხო-

ვანი ფორმის დაზიანება. ზემოაღნიშნული ექსპერტის დასკვნა დაადასტურა სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ნ. ო-მ.

15. მსჯავრდებულმა გ. ა-მ განმარტა, რომ 2017 წლის 24 სექტემბერს იყო ქ.თ., რესტორან „მ." მიმდებარედ, მის მეგობრებთან თ. გ-თან და ლ. დ-სთან ერთად. რესტორნის მეორე სართულიდან შემოესმათ კლუბური მუსიკის ხმა. დაინტერესდნენ, თუ რა ხდებოდა, რაზეც მეორე სართულზე მყოფი უცნობისგან მიიღეს ცინიკური და შეურაცხმყოფელი პასუხი. მათ მიუთითეს უცნობს, რომ იყო უზრდელი და განაგრძეს სვლა. რესტორნის დაცვის სამსახურის თანამშომლებმა განუმარტეს, რომ რესტორანში იყო ქორწილი და ვერ შეუშვებდნენ. განაგრძეს გზა თ-ის მოედნის მიმართულებით, როდესაც რესტორნიდან გამოსულმა პირებმა, რომლებიც იყვნენ უზომოდ ნასვამები, შეაჩერეს. იგი გზის გაგრძელებას აპირებდა, რა დროსაც დაპირისპირებული მხრიდან ხელი დაარტყეს. მანაც ჰკრა ხელი უცნობს. დაიწყო ჩხუბი. მას ჰქონდა დანა, რომელიც მოწინააღმდეგეების განეიტრალების მიზნით გამოიყენა და რამდენი პირიც მიუახლოვდებოდა, ყველას ურტყამდა, სანამ თავი არ დაანებეს. მან დანით ჭრილობები მიაყენა სულ ოთხ პირს. ამ საქმეში ყველა დაზარალებული მან დაჭრა. მის მეგობრებს თ. გ-ს და ლ. დ-ს დანები არ ჰქონიათ. მას თავს დაესხა ბევრი, ათამდე ადამიანი, რის გამოც გამოიყენა თანნაქონი დანა. დაპირისპირებული პირების მხრიდან დანა არავის უხმარია. მისი დანა იყო პატარა, რომელიც შემთხვევის ადგილიდან გაქცევისას გზაში გადააგდო. საქმეზე ამოღებული ორივე ე.წ. „ბენდენა" მას ეკუთვნოდა. ჩხუბის შემდეგ წითელი ე.წ. „ბენდენით" შეიხვია თითზე ჭრილობა, ხოლო თეთრი ე.წ. „ბენდენა" მისცა თ. გ-ს, რომელიც მოგვიანებით ამოიღეს. ვიდეოჩანაწერში ჩხუბის დიდი ნაწილი არ ჩანს. ჩანაწერის დაწყებისას მას ორი პირი უკვე დაჭრილი ჰყავდა. იგი შემთხვევის ადგილიდან წავიდა გ-ის ქუჩის მიმართულებით, სადაც მალევე, დაახლოებით ნახევარ საათში, დააკავეს პოლიციელებმა. მას ჯგუფურად დანაშაული არ ჩაუდენია, მან მარტომ დაჭრა ოთხი პირი თავდაცვის მიზნით, რათა გაენეიტრალებინა მათი თავდასხმა.

16. საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში მხარეებს სადავოდ არ მიუჩნევიათ: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ბრალდებულის დაკავების და პირადი ჩხრეკის ოქმი, პირის ამოცნობის ოქმები, ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმი.

17. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მო-

საზრებას, რომ კონკრეტული დანაშაულის ჩადენის მიზეზი გახდა დაზარალებულების მხრიდან წამოსული აგრესია, ფიზიკური შეურაცხყოფა და მსჯავრდებულმა ნ. ყ. დაჭრა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. სასამართლო აღნიშნავს შემდეგს:

18. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ე.ი. ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. იმავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან.

19. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა შედგება შემდეგი სამი ელემენტისგან: უკიდურესი მდგომარეობა, უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება და თავდაცვის სურვილი. თავის მხრივ, უკიდურესი მდგომარეობის არსებობის დასადგენად საჭიროა შემდეგი სამი კრიტერიუმის არსებობა: სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, ხელყოფის იმწუთიერობა და ხელყოფის მართლწინააღმდეგობა, რაც, შესაბამისად, გულისხმობს ხელყოფის რეალურ (ობიექტურ) ხასიათს. აუცილებელი მოგერიების დროს ობიექტურად უნდა არსებობდეს თავდასხმა და სუბიექტურად პირს უნდა ჰქონდეს თავდაცვის მიზანი. ამასთან, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების ფაქტის არსებობისა თუ არარსებობის თაობაზე მსჯელობის საფუძველი ჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სარწმუნოდ დგინდება, რომ მომგერიებელი ფარგლების გადაცილებამდე ნამდვილად იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, რა დროსაც მის მიმართ რეალურად ხორციელდებოდა მისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა.

20. საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის მოტივაციას იმის თაობაზე, რომ გ. ა. არ იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და დამატებით აღნიშნავს შემდეგს: დაზარალებულმა ნ. ყ-მა დაადასტურა, რომ მას ზედიზედ ორი ჭრილობა დანით მუცლის არეში მიაყენა ვარდისფერმაისურიანმა პირმა (გ. ა.), რომელსაც ჰქონდა მოგრძო თმა. სასამართლო აღნიშნავს – უტყუარად არის დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოება, რომ შემთხვევის დღეს მხოლოდ გ. ა-ს ეცვა ვარდისფერი მაისური. მოწმე დ. კ-მ დაადასტურა, რომ 2017 წლის 24 სექტემბერს ნ. ყ. დაჭრა გ. ა-მ, რომელსაც მარჯვენა ხელში ეკავა დანა. მოწმე ზ. ქ-მა დაადასტურა, რომ ნ. ყ-ს ორჯერ ამოარტყა მუ-

ცელში დანა სწორედ გ. ა-მ, რომელსაც ეცვა ვარდისფერი მაისური. პირის ამოცნობის ოქმების (25.09.2017) თანახმად, დ. კ-მ და ზ. ქ-მა ამოიცნეს გ. ა., რომელმაც ორჯერ დაარტყა დანა მუცელში ნ. ყ-ს. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის №... დასკვნით (20.10.2017), დადასტურდა, რომ ნ. ყ-ს აღენიშნებოდა 1) ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა მუცლის ზედა მესამედში (ეპიგასტრიუმში) მახვლისებური მორჩიდან მარჯვნივ, მკერდის ძვლის გვერდით ხაზზე, შემავალი მუცლის ღრუში ღვიძლის დაზიანებით, ასევე 2) ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა მარჯვნივ მუცლის ქვედა მესამედში (ჰიპოგასტრიუმში) ძუძუს (მამილარულ) ხაზზე, შემავალი მუცლის ღრუში, კუჭის, ნაწლავების და ჯორჯლის დაზიანებით. დაზიანებები განვითარებულია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის მოქმედებით, თითოეული ცალ-ცალკე და ერთად აღებული მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათოს.

21. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებაზე: არც დაზარალებულ ნ. ყ-ს, არც მომხდარი შემთხვევის თვითმხილველი მოწმეების ჩვენებებიდან და არც თვით მსჯავრდებულ გ. ა-ს მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენებიდან გამომდინარეობს, რომ მხარეებს შორის კონფლიქტის დაწყების შემდეგ, მასთან დაპირისპირებული რომელიმე პირი, მათ შორის დაზარალებული ნ. ყ., მის მიმართ ახორციელებდა ისეთ ქმედებას, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნიდა მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. მართალია, მსჯავრდებულის ჩვენება აშკარა წინააღმდეგობაშია დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებებთან, მაგრამ მიუხედავად ამისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მის ჩვენებას ნაწილობრივ მაინც მივიჩნევთ სარწმუნოდ, არ დგინდება, რომ ხსენებული კონფლიქტის დროს ის იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. მსჯავრდებული გ. ა. თავის ჩვენებაში აღნიშნავს: მან და მისმა მეგობრებმა განაგრძეს გზა თ-ის მოედნის მიმართულებით, როდესაც რესტორნიდან გამოსულმა პირებმა, რომლებიც იყვნენ ნასვამები, შეაჩერეს ისინი. თვითონ ის გზის გაგრძელებას აპირებდა, რა დროსაც მას დაპირისპირებული მხრიდან ხელი დაარტყეს. მანაც ჰკრა ხელი უცნობს. დაიწყო ჩხუბი. მას ჰქონდა დანა, რომელიც მოწინააღმდეგეების განეიტრალების მიზნით გამოიყენა, რამდენი პირიც მიუახლოვდებოდა, ყველას უტყამდა, სანამ თავი არ დაანებეს. კონფლიქტის დროს მას თავს დაესხა ბევრი, ათამდე ადამიანი, რის გამოც გამოიყენა დანა. დაპირისპირებული პირების მხრიდან დანა არავის უხმარია.

22. როგორც ვხედავთ, მსჯავრდებული მხოლოდ ზოგადად აღნიშნავს, რომ მას თავს დაესხა ერთდროულად ათამდე ადამიანი,

რაც სხვა მტკიცებულებებით არ დასტურდება. ამასთან, ის არ ამბობს მის მიმართ თავდასხმა რაში გამოიხატა ანუ კონკრეტულად რა ხასიათის მოქმედებები ხორციელდებოდა მის მიმართ, რაც შესაძლებლობას შექმნიდა იმის განსაზღვრისათვის ნამდვილად არსებობდა თუ არა ისეთი ხელყოფა ან თუნდაც ისეთი ხელყოფის დაწყების საშიშროება, რომელიც ობიექტური შეფასებით, იქნებოდა რეალური საფრთხის შემცველი მისი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის. გარდა ამისა, თავის ჩვენებაში გ. ა. იმაზეც მიუთითებს, რომ დაპირისპირებული მხარის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ძლიერი სიმთვრალის მდგომარეობაში, ამასთან, ისინი არ ყოფილან შეიარაღებულნი, რაც კიდევ უფრო ასუსტებს დაცვის მხარის ვერსიას აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის არსებობის შესახებ. მსჯავრდებული თავის ჩვენებაში დაპირისპირებული მხარის მხოლოდ ერთი წარმომადგენლის მიერ მისთვის ხელის ერთ დარტყმაზე საუბრობს და არაფერს ამბობს – ამ დროს დანარჩენები რა მოქმედებებს ახორციელებდნენ მის მიმართ. გარდა ამისა, საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან, მათ შორის მსჯავრდებულის მეგობრების ჩვენებებიდანაც, არ იკვეთება, რომ კონფლიქტის დროს ადგილი ჰქონდა ადამიანთა დიდი ჯგუფის თავდასხმას ერთ ადამიანზე ანუ გ. ა-ზე. ამდენად, არ არსებობს დასაბუთებული საფუძველი დასკვნისათვის, რომ განხილული კონფლიქტის დროს მსჯავრდებული გ. ა. იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს იმ ვერსიის საფუძვლიანობას, რომლის მიხედვით მან დაზარალებულ ნ. ყ-ს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა მსჯავრდებულ გ. ა-ს მიერ ჩადენილი ქმედების საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან სსკ-ის 122-ე მუხლზე გადაკვალიფიცირების თაობაზე არის უსაფუძვლო, რის გამოც არ უნდა დაკმაყოფილდეს.

23. რაც შეეხება მსჯავრდებულ გ. ა-ს მიერ ჩადენილი ქმედების სუბიექტურ მხარეს, ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებებზე: დაზარალებულმა ნ. ყ-მა დაადასტურა, რომ კონფლიქტის უშუალო მიზეზი, რა დროსაც გ. ა-მ მიაყენა მას ჭრილობები, მისთვის უცნობია. მან ქუჩაში შენიშნა გ. ბ., მ. ო., ზ. რ. და მისთვის უცნობი სამი პირი, რომლებიც ერთმანეთში დაძაბულად საუბრობდნენ (კამათობდნენ). იგი მივიდა სიტუაციის გასარკვევად. მოულოდნელად, მისთვის გაუგებარი მიზეზით დაიწყო ჩხუბი, რა დროსაც მას მუცლის არეში ორი ჭრილობა მიაყენა გ. ა-მ. ამდენად, არც თავად გ. ა. უარ-

ყოფს იმ ფაქტს, რომ მ. ყ-ს დაჭრამდე, მასთან უშუალოდ რაიმე შელაპარაკება, კამათი ან სხვა სახის დაპირისპირება, რასაც შეესაძლოა მასში შურისძიების სურვილი აღეძრა, არ ჰქონია. მოწმე მ. ო-მ დაადასტურა, რომ რესტორნის ფანჯარასთან ეწეოდა სიგარეტს, რა დროსაც ქუჩიდან რაღაც ჰკითხეს, რაზეც ხუმრობით უპასუხა, თუმცა საუბრის შინაარსი ზუსტად არ ახსოვს. ჩავიდა ქუჩაში, სადაც მოუვიდა შელაპარაკება მისთვის უცნობ სამ პირთან, თუმცა კონფლიქტის მიზეზი არ ახსოვს. ამდენად, მ. ო. არის ის ერთადერთი პირი, ვისთანაც უშუალო ვერბალური კონტაქტი ჰქონდა გ. ა-ს და მის თანამოაზრეებს ინციდენტამდე, თუმცა მათ შორის კონფლიქტის მიზეზი არც მ. ო-ს ახსოვს. აღნიშნული გარემოება სასამართლოს უძლიერებს რწმენას, რომ კონფლიქტის მიზეზი იყო ძალიან მცირე, რის გამოც მასში მონაწილე პირებმა ან არ იციან ან გულწრფელად არ ახსოვთ ის, რაც ორივე შემთხვევაში მიუთითებს მის უმნიშვნელო ხასიათზე. საყურადღებოა ასევე სხვა თვითმხილველი მოწმეების – დ. კ-სა და ზ. ქ-ის ჩვენებები, ვინც უშუალოდ ხედავდა, როგორ დაჭრა გ. ა-მ ნ. ყ., თუმცა კონფლიქტის მიზეზი მათთვისაც გაუგებარი დარჩა. ეს კი ცხადყოფს იმ მოცემულობას, რომ მოტივი, რის გამოც გ. ა-მ ორი ჭრილობა მიაყენა დანით ნ. ყ-ს, იყო უმნიშვნელო არა მხოლოდ სუბიექტურად თავად დაზარალებულისათვის, არამედ ობიექტურად კონფლიქტის თვითმხილველი ყველა სხვა პირისათვის, ვისთვისაც აუხსნელი და გაუგებარი დარჩა, თუ რის გამო შეიძლებოდა გასჩენოდა გ. ა-ს ნ. ყ-ს დაჭრის სურვილი (დანაშაულის მოტივი). ამდენად, სასამართლოს უტყუარად დადასტურებულად მიაჩნია ის გარემოება, რომ გ. ა-მ სწორედ ხულიგნური ქვენა გრძნობით (უმნიშვნელო საბაბით) მიაყენა სხეულის დაზიანება ნ. ყ-ს.

24. საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს ბრალდების მხარის მსჯელობას, რომ გ. ა-მ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ჯგუფურად, შემდეგი საფუძვლებით:

25. გ. ა-ს პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია: „დანებით შეიარაღებულმა გ. ა-მ, ლ. დ-მ და თ. გ-მა, ჯგუფურად, ხულიგნური ქვენა გრძნობით განიზრახეს ჯანმრთელობის დაზიანება მიეყენებინათ მ. ო-სთვის და მისი მეგობრებისთვის“.

26. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი“. აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერში კანონმდებელმა ნათლად განმარტა, თუ ვინ არიან დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირები – ესენი არი-

ან ამსრულებლები. იმისათვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს ჯგუფურად ჩადენილად, ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნაწილს მაინც უნდა აღასრულებდეს სულ მცირე ორი პირი და ორივე უნდა იყოს ამსრულებელი, თუმცა სავალდებულო არ არის მათ შორის წინასწარი შეთანხმების არსებობა. თანაამსრულებლობა ნიშნავს ორი ან მეტი ბრალუნარიანი პირის მიერ ქმედების ობიექტური შემადგენლობის მთლიანად ან ნაწილობრივ ერთობლივად და უშუალოდ განხორციელებას.

27. მოცემულ შემთხვევაში, ბრალდება გ. ა-ს დანაშაულის ჯგუფურად ჩადენას ედავება იმ პირობებში, როდესაც გ. ა-ს პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში ისიც კი არ არის მითითებული კონკრეტული ქმედების ობიექტური შემადგენლობის რომელი ნაწილი იქნა განხორციელებული ჯგუფის წევრების (თანაამსრულებლების) მიერ. საქმესთან დაკავშირებით დაკითხული დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით, გამოკვლეული ვიდეოჩანაწერით და საქმის სხვა ერთობლივი მასალებით ბრალდების მხარემ ვერ შეძლო უტყუარად დაედასტურებინა ის გარემოება, რომ კონკრეტული დანაშაულის ჩადენის მომენტში გ. ა. მოქმედებდა სხვა ამსრულებელ(ებ)თან ერთად. მით უფრო იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ მსჯავრდებულ გ. ა-ს განმარტებით, ყველა დაზარალებული მან დაჭრა, მის მეგობრებს – თ. გ-სა და ლ. დ-ს კი დანები არ ჰქონიათ.

28. სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებასაც, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 23 ივნისის განაჩენით (რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 7 მარტის განაჩენით დარჩა უცვლელად) ლ. დ. და თ. გ-ი ცნობილ იქნენ უდანაშაულოებად და გამართლდნენ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“, „ე“ ქვეპუნქტებით, ხოლო თ. გ-ი ასევე – სსკ-ის 120-ე მუხლით (ზ. რ-სა და გ. ბ-ს ეპიზოდები) წარდგენილ ბრალდებებში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 8 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განაჩენის თაობაზე პროკურორის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად.

29. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დაადასტურებდა, რომ გ. ა-მ მისთვის მსჯავრად შერაცხული დანაშაული ჩაიდინა ჯგუფურად, რის გამოც ბრალდების მხარის წარმომადგენლის, პროკუ-

რორ თამარ პაპავას საკასაციო საჩივრის მოთხოვნა მსჯავრდებულ გ. ა-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

30. მსჯავრდებულ გ. ა-სათვის დანიშნულ სასჯელთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ პირველი და საapელაციო ინსტანციის სასამართლოებმა სრულად გაითვალისწინეს მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები, ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და სიმძიმე, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, იხელმძღვანელეს როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პრინციპებით და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშით. სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში ასახულ დადებით და უარყოფით ფაქტორებს, კერძოდ:

გ-ს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არ აღენიშნება, მისი ფიზიკური განვითარება ასაკის შესაბამისია. რაც შეეხება არასრულწლოვნის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის განვითარებას, აღნიშნული მიმართულებით რისკ-ფაქტორს წარმოადგენს მისი იმპულსურობა, თუმცა ასევე, იკვეთება, რომ მას აქვს საკუთარი ემოციების პოზიტიურად მართვის გამოცდილებაც.

ოჯახური მდგომარეობის შესახებ დამცავი ფაქტორი არის, საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი, რომელიც კეთილმოწყობილია და არ იკვეთება საცხოვრებლად საშიში გარემოება, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, მოწესრიგებულია კომუნალური პირობები. ოჯახის შემოსავალი არის დევნილების შემწეობა და ახლო ნათესავების დახმარება. თუმცა უარყოფითი ფაქტორი არის განქორწინებული მშობლები, რომლებსაც ერთმანეთთან არ აქვთ პოზიტიური ურთიერთობა და როგორც მშობლები, ასევე თავად გ. აღნიშნავენ, რომ გ-სთვის მშობლების განქორწინება განსაკუთრებით სტრესული იყო, გარდა ამისა, იგი წარსულში იყო მოწმე მშობლებს შორის არსებული მწვავე კონფლიქტის, მშობლების განქორწინების შემდგომ, კი გ-მ მამასთან გადაწყვიტა ცხოვრება, რომელიც დედის თქმით, არ არის პროსოციალური ქცევების მოდელი, არამედ იგი მუდმივად მოიხმარს ალკოჰოლს და არ იჩენს შვილის მიმართ სათანადო ყურადღებას. მიუხედავად მშობლებს შორის არსებული კონფლიქტისა, ყურადსაღებია, რომ არასრულწლოვანს ორივე მშობელთან პოზიტიური ურთიერთობა აქვს, იჩენს მათ მიმართ პატივისცემას და სიყვარულით საუბრობს მათზე, აღნიშნავს, რომ მამას განიხილავს მეგობრად და მხარდამჭერად.

გ-ს ქორწინებაში იკვეთება როგორც დამცავი, ასევე რისკის შემ-

ცველი ფაქტორები. გ-ს დამოკიდებულება მის მიერ შექმნილი ოჯახის მიმართ გაურკვეველია, იგი საუბრობს მასსა და მის მეუღლეს შორის არსებულ პოზიტიურ ურთიერთობაზე, მეუღლეს მოიხსენიებს, როგორც ერთგვარ პოზიტიურ სტიმულს მის ცხოვრებაში, ამბობს, რომ სწორედ განმეორებითი დანაშაულის პრევენციის მიზნით შექმნა ოჯახი და ოჯახის შექმნის შემდეგ, მან საგრძნობლად შეამცირა ქუჩაში გვიანობამდე ყოფნა, თუმცა აცნობიერებს, რომ მისი ქორწინება საკუთარი და მეუღლის არასრულწლოვანობის გამო, არის რისკის შემცველი. გარდა ამისა, მას სწორედ ქორწინებაში ყოფნის დროს კვლავ შეექმნა კანონთან კონფლიქტი, რის გამოც იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში. გ-ს გადმოცემით, ამჟამად იშვიათად ურეკავს მეუღლეს, მისი თქმით გაურკვეველია, როგორ წარიმართება მათი ურთიერთობა მომავალში, ვინაიდან არ იცის, თუ რამდენი ხნით მოუწევს დაწესებულებაში ყოფნა. თავად მეუღლის ინფორმაციით, მას შენარჩუნებული აქვს მეუღლესთან ახლო ემოციური კავშირი და მისი სამომავლო გეგმები უკავშირდება გ-სთან ერთად თანაცხოვრებას დაწესებულების დატოვების შემდგომ.

რაც შეეხება სამეგობრო წრეს, გ-ს ჰყავს ანტისოციალური სამეგობრო წრე, რომლებიც ჩართულნი არიან კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში, ზოგი მათგანი იმყოფება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. თუმცა გ-ს თქმით, ასევე ჰყავს მეგობრები, რომლებიც არ იმყოფებიან კანონთან კონფლიქტში. მისი თქმით, მომავალში სწორედ მათთან აპირებს ურთიერთობის გაგრძელებას.

სხვადასხვა დროს მოპოვებული ინფორმაციით, გ. არ არის კონფლიქტის ინიციატორი, თუმცა აქვს სხვაზე განხორციელებული აგრესიული ქცევის გამოცდილება, გარდა ამისა, თავად გამხდარა ემოციური ძალადობის მსხვერპლი, როდესაც მამა, დედის მიმართ გამოხატავდა ძალადობრივ ქმედებებს. ასევე გ-მ ინტერვიუს დროს ისაუბრა წარსულში უარყოფითი გამოცდილების შესახებ, რომელიც უკავშირდება სამართალდამცავი პირების მიერ, მის მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ შეურაცხყოფას.

მან გაიხსენა რამდენიმე შემთხვევა დაპატიმრებამდე, რის მიმართაც გამოხატავდა კრიტიკულ დამოკიდებულებას, თუმცა ამბობს, რომ არასოდეს დაწერს საჩივარს, რათა სხვას არ შეუქმნას პრობლემები.

გ-ს განათლებისა და დასაქმების მდგომარეობის შეფასების შედეგად იკვეთება, რომ მოზარდს არ აქვს გამოკვეთილი აკადემიური ინტერესები, თუმცა დაინტერესებული იყო შრომით. გ-ს მიღებული აქვს არასრული საშუალო განათლება, რაც განაპირობა სწავლისადმი გ-ს დაბალმა ინტერესმა. თუმცა, დაწესებულებაში გან-

თავსების პერიოდისათვის მან განსაკუთრებული ინტერესი გამოხატა მხატვრული ლიტერატურის მიმართ. ცდილობდა ეკითხა ბევრი.

დამცავ ფაქტორს წარმოადგენს სამუშაო გამოცდილება. ამბობს, რომ იგი დასაქმდა სადისტრიბუციო კომპანიაში, მუშაობდა რამდენიმე თვის განმავლობაში თუმცა დაბალი ანაზღაურების გამო მან სამსახურიდან წამოსვლა და ახალი სამსახურის მოძიება გადაწყვიტა. მისი თქმით, დაწესებულების დატოვების შემდგომ, სურს შეისწავლოს კულინარია და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

წყაროების ინფორმაციით, გ. საუბრობს გულწრფელად და მოსაზრებებს გადმოსცემს თანმიმდევრულად. პატივისცემას იჩენს ოჯახის წევრების და გარშემომყოფების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ პირობითი მსჯავრის მოხდის პროცესში, სოციალურ მუშაკთან მიმართვის საფუძველზე, გ-ს სურვილისამებრ, მოხდა მისი გადამისამართება ტატუს მოცილების პროგრამაში. ასევე, იგი დაპატიმრებამდე ჩართული იყო სარეაბილიტაციო პროგრამაში, იღებდა ფსიქოლოგის მომსახურებას, რაც გარკვეულწილად დამცავ ფაქტორს წარმოადგენდა.

31. „ბავშვის უფლებათა“ კონვენციის მე-3 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში ნებისმიერი გადაწყვეტილება მიზნად ისახავდეს ბავშვის ჭეშმარიტი და საუკეთესო ინტერესის დაცვას. ამავე კონვენციის 32-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, სასჯელის შესაბამისი სახის გათვალისწინებისას მხედველობაში მიიღოს ბავშვის ჯანმრთელობა, განათლება, ეკონომიკური ექსპლუატაცია, ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარების ფაქტორები. არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების („პეკინური წესები“) მე-5 მუხლის თანახმად, ზემოქმედების ზომები უნდა იყოს თანაზომადი არა მარტო ჩადენილი ქმედების გარემოებებთან, არამედ – არასრულწლოვნის მდგომარეობასა და მოთხოვნილებებთან.

32. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელია ისეთი ინდივიდუალური მახასიათებლები, როგორებიც არის: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და

ქცევის თავისებურებების შეფასებისა და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

33. სასამართლო ითვალისწინებს, რომ არასრულწლოვნების მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება წარმოადგენს ultima racio-s და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამოყენებული უნდა იქნეს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით.

34. გ. ა-ს მიერ ჩადენილი ქმედების მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროებისა და სიმძიმის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებებისა და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გათვალისწინებით, მას განუსაზღვრა ბრალად შერაცხული ქმედების სანქციით გათვალისწინებული ისეთი სასჯელი, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამართლიანია, გ. ა-ს ქმედებისა და მდგომარეობის, მისი მოთხოვნილების თანაზომიერია და წარმოადგენს ადეკვატურ ღონისძიებას მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისადმი პატივისცემით განწყობისათვის.

35. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარეების საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ოქტომბრის განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ბ-სა და ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ თამარ პაპავას საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ოქტომბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ოჯახში ძალადობა

განაჩენი
საქართველოს სახელით

№733აპ-18 29 მაისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სამეგრელო-ზემო სვანეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლიკა ბულიას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ოქტომბრის განაჩენი გაასაჩივრა სამეგრელო-ზემო სვანეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ლიკა ბულიამ, რომელიც ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ოქტომბრის გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და ფ. თ-ს დამნაშავედ ცნობას ბრალად წარდგენილ ქმედებაში. პროკურორის მითითებით, 2018 წლის 18 ივნისის მოვლენების ლოგიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ არა ფ. თ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული, დაზარალებული პოლიციას არ მიმართავდა დახმარების თხოვნით და შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციის თანამშრომლებს არ დახვდებოდა ისეთ ფსიქოემოციურ მდგომარეობაში, როგორშიც იყო. სააპელაციო სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა შემთხვევის ადგილზე გასული საპატრულო ეკიპაჟის მიერ გადაღებული ვიდეოფირი, რაც ერთვის საქმეს და წარმოადგენს პირდაპირი ხასიათის მტკიცებულებას, თუ როგორ ჩაიდინა დანაშაული ფ. თ-მ. სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის ფაქტი, რომ ცოლ-ქმარს შორის არსებობდა დაძაბული ურთიერთობა და ფ. თ. სისტემატური სიტყვიერი შეურაცხყოფით ფსიქოლოგიურად ძალადობდა მეუღლეზე, რაც დასტურდება მოწმეების: მ. თ-ს, ა-ს, მ. კ-ს, დ. ქ-ს და ლ. ლ-ს გამოკითხვის ოქმებით.

2. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ფ. თ-ს ბრა-

ლი დაედო ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობასა და სისტემატურ შეურაცხყოფაში, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, რაც გამოიხატა შემდეგში:

2018 წლის დასაწყისიდან ... მცხოვრებ მეუღლეებს – ლ. კ-სა და ფ. თ-ს ეჭვიანობის ნიადაგზე ჰქონდათ კონფლიქტური ურთიერთობა. ფ. თ-მ რამდენჯერმე აგინა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს. 2018 წლის 18 ივნისს, დაახლოებით 09:00 საათზე, ... მდებარე საცხოვრებელ სახლში, ფ. თ-მ, რომელიც სისტემატურად აყენებდა მეუღლეს სიტყვიერ შეურაცხყოფას, ეჭვიანობის ნიადაგზე შეაგინა ლ. კ-ს და ყელის არეში მოუჭირა ხელი, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

ფ. თ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით.

3. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 21 აგვისტოს განაჩენით ფ. თ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.

4. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 21 აგვისტოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა სამეგრელო-ზემო სვანეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ლიკა ბულიამ და მოითხოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 21 აგვისტოს გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და ფ. თ-ს დამნაშავედ ცნობა მისთვის წარდგენილ ბრალდებაში.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ოქტომბრის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 21 აგვისტოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა პროკურორ ლიკა ბულიას საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ოქტომბრის განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზეც მხარეე-

ბი შეთანხმდებიან“. ამავე კოდექსის 220-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე მხარეთა მონაწილეობით ამტკიცებს ასევე იმ მტკიცებულებათა ჩამონათვალს, რომელსაც მხარეები სადავოდ არ ხდიან. მოცემულ შემთხვევაში ფ. თ-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ბრალდების მხარის მტკიცებულებები მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რის გამოც ისინი მიღებულ იქნა მტკიცებულებად გამოკვლევის გარეშე.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით“. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. მტკიცებულებითი სტანდარტი – „გონივრულ ეჭვს მიღმა“, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

4. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სასამართლომ უნდა შეაფასოს სწორედ ამ უდავო მტკიცებულებების შინაარსობრივი მხარე, რათა დადგინდეს, თუ რა ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადასტურების შესაძლებლობას იძლევა თითოეული მტკიცებულება და აკმაყოფილებს თუ არა მათი ერთობლიობა თითოეულ ბრალდებასთან მიმართებით „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცებულებით სტანდარტს, კერძოდ:

5. დაზარალებულ ლ. კ-ს 2018 წლის 18 ივნისის გამოკითხვის ოქმის მიხედვით, ფ. თ. არის მისი მეუღლე. ისინი 13 წელია, ერთად ცხოვრობენ და ჰყავთ სამი შვილი. 2018 წლის 18 ივნისს, დაახლოებით 09:10 საათზე, იგი იყო სახლში, რა დროსაც მეუღლე დაინტერესდა, ვის და რატომ ესაუბრებოდა მობილური ტელეფონით, რის გამოც შეკამათდნენ. იგი გავიდა სხვა ოთახში, ჩაიკეტა, მეუღლის კუთვნილი მობილური ტელეფონით – ... დარეკა 112-ში და აცნობა, რომ მეუღლე მასზე ძალადობდა. დაახლოებით 15 წუთში მივიდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, რომელსაც მოახსენა, რომ მეუღლემ – ფ. თ-მ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. იგი ამ დროს იყო აფექტში. მეუღლეს მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია, ვინაიდან იგი განერიდა კამათს და ჩაიკეტა სხვა ოთახში. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს მან ასევე უთხრა, რომ მე-

უღლესთან წლების მანძილზე ჰქონდა კონფლიქტი და იგი აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას. ამ დროსაც იყო აფექტში, ვერ აკონტროლებდა საკუთარ თავს და არც ის ახსოვს ზუსტად, რა უთხრა პატრულ-ინსპექტორებს. ფ. თ-სთან კონფლიქტი აქვს დაახლოებით 6 თვეა, რადგან მეუღლე ეჭვიანობს და ვერ იტანს, როდესაც იგი მობილური ტელეფონით საუბრობს. სწორედ ამ მიზეზით იწყება ხოლმე კონფლიქტი. 2018 წლის 18 ივნისს მათ კონფლიქტს არავინ შესწრებია. მას არ სურს მეუღლის დაკავება, რადგან მისთვის ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა არ მიუყენებია. ბოლო 6 თვის განმავლობაში ისინი მხოლოდ კამათობდნენ, რასაც არავინ შესწრებია, მათ შორის არც ოჯახის წევრები. დაახლოებით ერთი და ასევე სამი თვის წინ ეჭვიანობის ნიადაგზე ჰქონდათ კონფლიქტები, რაც მხოლოდ კამათში გამოიხატებოდა, რასაც არავინ შესწრებია. სამივე კონფლიქტის დროს მეუღლე აგინებდა მას დედას. რაიმე სახის ფიზიკური დაზიანება მიღებული არ აქვს, რის გამოც კატეგორიულად წინააღმდეგია, რომ ჩაუტარდეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მედდებს, რომლებიც მის სახლში მივიდნენ, აუკრძალა მისი შემოწმება, ვინაიდან ფიზიკური დაზიანება მისთვის არავის მიუყენებია. კამათი გენდერულ საკითხებთან მიმართებით არასდროს ჰქონიათ. ზუსტი რიცხვი, თუ როდის იკამათეს, არ ახსოვს. მეუღლის მხრიდან გინება, რომელიც ატარებს სისტემატურ ხასიათს, აყენებს ძლიერ სულიერ ტანჯვას.

6. დაზარალებულ ლ. კ-ს 2018 წლის 19 ივნისის გამოკითხვის ოქმის მიხედვით, იგი გაეცნო დადგენილებას მისი დაზარალებულად ცნობის შესახებ. მის მეუღლეს – ფ. თ-ს მისთვის ფიზიკური შურაცხყოფა არასდროს მიუყენებია და ფიზიკური ტკივილიც არასდროს განუცდია. 6 თვის განმავლობაში მხოლოდ რამდენჯერმე აგინა დედა. მეუღლის მიმართ პრეტენზია არ გაჩნია, იგი მისი შვილების მამაა და მასთან სურს ცხოვრების გაგრძელება. ფ. თ. ოჯახის ერთადერთი მარჩენალია და არ სურს, სასჯელი მოიხადოს პენიტენციურ დაწესებულებაში.

7. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების №... სამედიცინო ბარათით ირკვევა, რომ 2018 წლის 18 ივნისს ლ. კ-მ უარი განაცხადა სამედიცინო დახმარებაზე.

8. მოწმე ლ. ლ-ს 2018 წლის 18 ივნისის გამოკითხვის ოქმის თანახმად, იგი მუშაობს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ... მთავარი სამმართველოს სახაზო-საპატრულო სამმართველოს სახაზო-საპატრულო სამსახურში პატრულ-ინსპექტორის პოზიციაზე. 2018 წლის 18 ივნისს ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას მეწყვილე – დ. ქ-სთან ერთად და მოძრაობდა სამსახურებრივი „შკო-

დას“ მარკის ავტომანქანით, სახელწიფო ნომრთ ..., საძახისით .... დაახლოებით 09:40 საათზე, რადიოსადგურ „...“ ოპერატორმა გადმოსცა, რომ ... ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით ითხოვდნენ პოლიციის დახმარებას. იგი მეწყვილესთან ერთად რამდენიმე წუთში მივიდა შემთხვევის ადგილზე, ავიდა სახლის მეორე სართულზე, სადაც კართან იდგა დაახლოებით 30 წლამდე ასაკის ქალი, რომელიც იყო აღელვებული და ტიროდა. ქალი აღმოჩნდა ლ. კ., რომლის განმარტებით, მეუღლე – ფ. თ. სისტემატურად ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძალადობს მასზე. იმ დილით ყელში სწვდა ხელით. დაზარალებულმა თავად მიუთითა მეუღლეზე, რომელიც იქვე იყო ოთახში. მისი იდენტიფიცირების შემდეგ, ვინაიდან ქმედება შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს, ფ. თ. დააკავეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით. მას დაუყოვნებლივ განემარტა მისი, როგორც ბრალდებულის, უფლებები და ადგილზე შედგა დაკავების ოქმი. ფ. თ. გადაიყვანეს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ...მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში. დაკავებისას ფ. თ-ს წინააღმდეგობა არ გაუწევია, გაეცნო დაკავების ოქმს და მოაწერა ხელი. შემთხვევის ადგილზე ყოფნისას ფ. თ-ს და ლ. კ-ს გარდა, ოთახში იყო კიდევ რამდენიმე ქალი. აუდიო-ვიდეოკონტროლის №... სამკერდე კამერით დაფიქსირებულია ლ. კ-ს მიმართ ჩადენილი ოჯახური ძალადობის ფაქტი, რომლის ვიდეოფირი ინახება შსს ერთობლივი ცენტრის (დეპარტამენტი) ტექნიკური მხარდაჭერისა და ტექნოლოგიური განვითარების სამმართველოში.

9. იგივე ფაქტობრივი გარემოებები დასტურდება შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის. მთავარი სამმართველოს სახაზო-საპატრულო სამმართველოს სახაზო-საპატრულო სამსახურში პატრულ-ინსპექტორ დ. ქ-ს 2018 წლის 18 ივნისის მოწმის სახით გამოკითხვის ოქმით.

10. შსს ერთობლივი ოპერაციების ცენტრის (დეპარტამენტი) ტექნიკური მხარდაჭერისა და ტექნოლოგიური განვითარების სამმართველოდან გამოთხოვილ №... კამერა სტიკერით ჩაწერილ ფაილში, სახელწოდებით, ..., ჩანს: ორსართულიანი სახლი, რომლის მეორე სართულზე კიბით ადის პატრულ-ინსპექტორი და შედის ხის კარში. კადრში ისმის დაზარალებულის აღელვებული ხმა: „ძალადობს ჩემზე, ფიზიკურად, მორალურად, ისეთ ზიანს მაყენებს, ცხოვრების საშუალებას არ მაძლევს“. დერეფანში მოძრაობს არასრულწლოვანი ყმაწვილი. დერეფანი სრულდება ოთახით, სადაც ჩანს მამაკაცი, რომელსაც ხელში უკავია მცირეწლოვანი ბავშვი და ქერათმიანი ქალი, რომელიც პატრულ-ინსპექტორის შეკითხვაზე განმარტავს, რომ არის ლ. კ. და ხელში უჭირავს ჯოხისმაგვარი

საგანი. ოთახში ჩანს კიდევ ერთი ბავშვი და შავთმიანი ქალი. პატ-რულ-ინსპექტორის შეკითხვაზე: „რა ხდება?“ ლ. კ. აღელვებული პასუხობს: „ძალადობს ჩვენზე, უკვე მეცამეტე წელია. აქამდე ხმას არ ვიღებდი. ახლა სახლიდან გაგდებით მემუქრება, შვილების წარ-თმევით. ვეუბნები ასე ნუ იქცევიო, არ ესმის. ბავშვსაც ყელში სწვდა და ახრჩობდა ამ დილით. დედას ნუ სცემო და...“ პატრულ-ინსპექტორის შეკითხვაზე: „დღეს დილით ფიზიკურად შეგეხოთ?“ ლ. კ. პასუხობს: „დიახ, აგერ ქამრით მახრჩობდა“. თან ახდენს ყე-ლის არის დემონსტრირებას. პატრულ-ინსპექტორის შეკითხვაზე: „ქამრით გახრჩობდათ?“ პასუხობს: „დიახ!“ პატრულ-ინსპექტორის შეკითხვაზე: „თქვენი სახელი და გვარი“, ოთახში მყოფი მამაკაცი, რომელსაც ხელში ეკავა ბავშვი და რომელიც ზის სავარძელზე, პა-სუხობს: „ფ. თ..“ პატრულ-ინსპექტორის შეკითხვაზე: „თქვენ ხვდე-ბით რა ხდება, რა ელის ამ კაცს?“ ლ. კ. პასუხობს: „გასაგებია, მაგ-რამ რატომ ძალადობს ჩემზე?!“ პატრულ-ინსპექტორის შეკითხვა-ზე: „ეს თქვენი შვილების მამაა და რაღაცით რომ მოგვარებული-ყო?“ ლ. კ. პასუხობს: „დაწეროს ხელწერილი, რომ უსაფრთხოდ ვიქ-ნებით ჩვენ და არ შეგვეხება.“ პატრულ-ინსპექტორის განმარტე-ბაზე: „როდესაც ფიზიკურ ძალადობაზეა საუბარი, ამ შემთხვევა-ში სისხლის სამართლის საქმე დაიწყება თქვენი მეუღლის მიმართ“, ლ. კ. პასუხობს: „მე არაერთი მქონია ასეთი შემთხვევა ამ ცამეტი წლის განმავლობაში და მოწმეებიც მყავს.“ პატრულ-ინსპექტორის შეკითხვაზე: „ექიმი გჭირდებათ?“ ლ. კ. პასუხობს: „არა“. დაზარა-ლებული აღელვებულია და საუბრის დროს ეტირება.

11. მოწმე მ. თ-ს 2018 წლის 18 ივნისის გამოკითხვის ოქმის თა-ნახმად, ფ. თ. არის მისი ძმა, რომელსაც ჰყავს მეუღლე – ლ. კ. და სამი შვილი. ისინი ცხოვრობენ ერთ ოჯახად. დაახლოებით 5 თვეა, რაც ლ-სა და მის ძმას შორის არის კონფლიქტი და მათი ოთახიდან ხშირად ისმოდა ხმამაღალი საუბარი. იგი არაერთხელ ჩარეულა ძმი-სა და რძლის კამათში, მაგრამ ფ-ს ლ-სთვის ფიზიკური შეურაც-ხყოფა არასდროს მიუყენებია. მათი კამათის მიზეზი იყო ფ-ს ეჭვი-ანობა. 2018 წლის 18 ივნისს, დილით, იგი იყო სამსახურში, რა დრო-საც დაურეკა მეუღლემ და უთხრა, რომ ფ-ს და ლ-ს შორის იყო კონფლიქტი და სასწრაფოდ მისულყო სახლში. იგი დაახლოებით 5-10 წუთში მივიდა სახლში კუთვნილი ავტომანქანით. მისი და სა-პატრულო პოლიციის მისვლა ერთი იყო. ლ. რომ ნახა, ტიროდა და ამბობდა, რომ რამდენიმე წუთის წინ მეუღლემ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. იგი ლ-სა და თავისი ძმის კონფლიქტს არ შესწრე-ბია, თუმცა ერთი თვის წინ ძმის ოთახიდან ისმოდა უცენზურო სიტ-ყვები ლ. კ-ს მიმართ. იგი ჩაერია და სიტუაცია განმუხტა. ანალოგი-ურად მოიქცა სამი თვის წინაც, როდესაც ხმამაღალი საუბრის ხმა

გამოდიოდა ძმისა და რძლის ოთახიდან. მისმა ძმამ უთხრა, რომ მეუღლესთან ეჭვიანობის ნიადაგზე კამათობდა. კამათის დროს ბავშვები ახლო-მახლო არასდროს უნახავს. დარწმუნებით შეუძლია თქმა, რომ მის ძმას ლ-სთვის ფიზიკური შურაცხყოფა არ მიუყენებია. ფ-ს განუმარტეს მისი უფლებები, რის შემდეგ – დააკავეს.

12. მოწმე მ. კ-ს 2018 წლის 19 ივნისის გამოკითხვის ოქმის მიხედვით, ჰყავს მეუღლე – მ. თ. და ორი მცირეწლოვანი შვილი. მათთან ერთად ასევე ცხოვრობს მისი მეუღლის ძმა – ფ. თ., მეუღლესთან – ლ. კ. და სამ არასრულწლოვან შვილთან ერთად. დაახლოებით 4 თვეა, რაც ლ-სა და ფ-ს აქვთ კონფლიქტი და მათი ოთახიდან ხშირად გამოდიოდა ხმამაღალი საუბრის ხმა, თუმცა იგი არასდროს ჩარეულა მათ პირად ცხოვრებაში. მეუღლისგან სმენია, რომ მათი კამათის მიზეზი იყო ეჭვიანობა. 2018 წლის 18 ივნისს, დაახლოებით 09:10 საათზე, იგი იყო სახლში, პირველ სართულზე ალაგებდა ოთახს. ესმოდა, რომ ფ. ლ-ს უწმაწური სიტყვებით მიმართავდა და მის მშობლებს აგინებდა. დაახლოებით 5-10 წუთში მივიდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, რომელთან ერთადაც ავიდა სახლის მეორე სართულზე. რამდენიმე წუთში პატრულ-ინსპექტორებმა ფ. დააკავეს. დაახლოებით ერთი თვის წინ ანალოგიური ხმა გამოდიოდა ლ-სა და ფ-ს ოთახიდან. ფ-ი აგინებდა და ლანძღავდა ლ. კ-ს. იგი არის უმუშევარი, ძირითადად სახლშია და მას არასდროს უნახავს ფ-ს მიერ ლ. კ-ს ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი. ლ. მას აუცილებლად ეტყოდა, ასეთი რამ რომ მომხდარიყო.

13. მოწმე ა-ს 2018 წლის 18 ივნისის გამოკითხვის ოქმის მიხედვით, ფ. თ. ცხოვრობს მის მეზობლად, რომელსაც ჰყავს მეუღლე ლ. კ. და სამი შვილი. იგი არის ფ. თ-ს ვაჟის – ბ. თ-ს ნათლია. თ-ების ოჯახთან აქვს ახლო ურთიერთობა და იცის მათი პრობლემები. სამი თვეა, რაც ლ-სა და ფ-ს აქვთ ოჯახური კონფლიქტი. დაახლოებით ერთი თვის წინ ფ-ს სახლიდან ისმოდა ხმამაღალი საუბარი, კერძოდ, ფ. ლ-ს ლანძღავდა და აგინებდა დედას. 2018 წლის 18 ივნისს, დილის საათებში, დაახლოებით 09:10 საათზე, გაიგონა პატრულის ხმოვანი სიგნალი, გამოვიდა გარეთ და პატრულ-ინსპექტორებთან ერთად ავიდა ფ-ს სახლის მეორე სართულზე. იმავდროულად მივიდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარება, მათ გაუზომეს ლ-ს წნევა, მისცეს დამამშვიდებელი საშუალება და წავიდნენ. იგი 2018 წლის 18 ივნისის დილის ფაქტს არ შესწრებია, რადგან ამ დროს იყო სახლში. შემთხვევის ადგილზე მისი ყოფნისას ფ. დააკავეს.

14. არასრულწლოვნებმა: ნ. და ბ. თ-ებმა გამოძიებაში არ მისცეს მამის – ფ. თ-ს საწინააღმდეგო ჩვენებები.

15. ბრალდებულ ფ. თ-ს 2018 წლის 18 ივნისის გამოკითხვის ოქ-

მის მიხედვით, ლ. კ. არის მისი მეუღლე, 13 წელია ერთად ცხოვრობენ და ჰყავთ ორი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი. 2018 წლის 18 ივნისს, დაახლოებით 09:00 საათზე, იყო თავის საცხოვრებელ სახლში. მისაღებ ოთახში მობილური ტელეფონით საუბრობდა მისი მეუღლე, რომელიც მანამდე რამდენჯერმე გააფრთხილა, რომ მობილურით არ ესარგებლა. 5-6 თვეა, რაც იგი მეუღლეზე ეჭვიანობს და ამის გამო უზღუდავს მობილური ტელეფონით სარგებლობის უფლებას. ამ 6 თვის განმავლობაში, კონკრეტული რიცხვი არ ახსოვს, სამჯერ ჰქონდათ კონფლიქტი მობილური ტელეფონით სარგებლობის გამო. სამივე კონფლიქტისას ლ. კ-ს მხოლოდ დედას აგინებდა, მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა არასდროს მიუყენებია. 2018 წლის 18 ივნისს მათ შორის კონფლიქტი ასევე დასრულდა ლ-ს დედის გინებით. შემთხვევის ადგილზე მისულმა პატრულ-ინსპექტორებმა განუმარტეს მისი უფლება-მოვალეობები და დააკავეს მეუღლის მიმართ ოჯახური ძალადობის ფაქტზე. მეუღლესთან გენდერულ საკითხზე კონფლიქტი არასდროს ჰქონია. ბოლო კონფლიქტის დროს, საპატრულო პოლიციის მისვლამდე, მასთან სახლში მივიდნენ მისი ძმა – მ. თ. და მეზობელი – ა..

16. ბრალდებულ ფ. თ-ს 2018 წლის 19 ივნისის გამოკითხვის ოქმის მიხედვით, იგი ცხოვრობს ოჯახის წევრებთან ერთად. მეუღლესთან – ლ. კ-სთან მოუვიდა კონფლიქტი 2018 წლის 18 ივნისს, დილის საათებში. აღიარებს, რომ მეუღლეს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და შეაგინა დედა. ეს გრძელდებოდა რამდენიმე თვეს. ლ. კ-სთვის არასდროს მიუყენებია ფიზიკური შეურაცხყოფა და მისთვის ხელი არასდროს გაურტყამს. აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს – მეუღლისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას.

17. ფ. თ-მ სასამართლოში თავი სრულად ცნო დამნაშავედ მისთვის ბრალად წარდგენილ ქმედებაში, თუმცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე არაფერი უთქვამს.

18. საკასაციო პალატამ შეაფასა სასამართლოში წარმოდგენილი უდავო მტკიცებულებები მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მოთხოვნა ფ. თ-ს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობაში, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, დამნაშავედ ცნობის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი ამ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

19. საკასაციო პალატა იზიარებს და ეთანხმება სააპელაციო სა-

სამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად ვერ დადასტურდა 2018 წლის 18 ივნისს ფ. თ-ს მიერ მეუღლეზე – ლ. კ-ზე ფიზიკური ძალადობის ფაქტი, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია. ბრალდების მხარე საკასაციო საჩივარში თავადვე აღნიშნავს, რომ დაზარალებულმა ლ. კ-მ, რომლის გამოკითხვის ოქმი მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, კატეგორიულად უარყო 2018 წლის 18 ივნისს მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის ფაქტი, ხოლო საქმეზე გამოკითხული არცერთი სხვა მოწმე შემთხვევის თვითმხილველი არ ყოფილა; ბრალდებულმა ფ. თ-მ, რომლის გამოკითხვის ოქმი მხარეებს ასევე არ გაუხდიათ სადავოდ, არ დაადასტურა მეუღლეზე რაიმე სახის ფიზიკური ძალადობა; მოწმეების: დ. ქ-სა და ლ. ლ-ს გამოკითხვის ოქმებით დადგენილია, თუ რა ინფორმაცია მიაწოდა მათ დაზარალებულმა შემთხვევის ადგილზე მისვლისას და შესაბამისად, ამ მოწმეთა გამოკითხვის ოქმები, მათი შინაარსიდან გამომდინარე, ბრალდების შესახებ დადგენილებაში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს ირიბად; საკასაციო პალატა გვერდს არ აუვლის ისეთ მნიშვნელოვან მტკიცებულებას, როგორიც არის საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის სამხრეკამერის ვიდეოჩანაწერი, რომელიც არის იმის პირდაპირი მტკიცებულება, თუ რა მდგომარეობაში იყო დაზარალებული 2018 წლის 18 ივნისს და რას ჰყვებოდა იგი მისდამი მეუღლის მოპყრობასთან დაკავშირებით, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ლ. კ-მ მოგვიანებით, ყველა გამოკითხვისას, უარყო მის მიმართ ფიზიკური ძალადობა, უარი განაცხადა სასწრაფო-სამედიცინო დახმარებაზე, დაზიანებების დასადგენად არ ჩაიტარა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, ხოლო საქმეზე გამოკითხულმა მოწმეებმა: მ. თ-მ, ა-მ და მ.კ-მ გამორიცხეს ფ. თ-ს მიერ ლ. კ-ს ფიზიკური შეურაცხყოფა, დაზარალებულისა და ბრალდებულის არასრულწლოვანმა შვილებმა – ნ. და ბ. თ-ებმა კი არ მისცეს მამის საწინააღმდეგო ჩვენებები, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, როგორც სუბიექტურად (დაზარალებულის განმარტებებით), ასევე ობიექტურად (საქმეში არსებული მასალების ანალიზით) უტყუარად დაადგინოს განიცდიდა თუ არა დაზარალებული ფიზიკურ ტკივილს 2018 წლის 18 ივნისს ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში. ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც ცალსახად დაადასტურებდა 2018 წლის 18 ივნისს ფ. თ-ს მიერ მეუღლეზე – ლ. კ-ზე ფიზიკური ძალადობის ფაქტს, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

20. საკასაციო პალატამ შეისწავლა ფ. თ-ს საქმის მასალები, შეამოწმა ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა ფ. თ-ს დამნაშავედ ცნობასთან დაკავშირებით ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტემატურ შეურაცხყოფაში, რამაც გამოიწვია ტანჯვა, უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

21. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოების ყურადღების მიღმა დარჩა ის გარემოება, რომ ფ. თ-ს, გარდა 2018 წლის 18 ივნისს მეუღლეზე ფიზიკური ძალადობისა, ასევე ბრალად წარდგენილი ჰქონდა ლ. კ-ს სისტემატური შეურაცხყოფა, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ტანჯვა, რაც ცალსახად დასტურდება სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რაც არც მხარეებს გაუხდიათ სადავოდ და მათ პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული, კერძოდ:

22. დაზარალებულ ლ. კ-ს გამოკითხვის ოქმებით დადგენილია, რომ მისი მეუღლე – ფ. თ. 2018 წლის დასაწყისიდან ეჭვიანობდა და მათ ჰქონდათ ოჯახური კონფლიქტები. დაახლოებით ერთი და სამი თვის წინ, ასევე 2018 წლის 18 ივნისს, მეუღლემ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და დედა აგინა. მეუღლის სისტემატური გინების გამო იგი განიცდიდა ძლიერ სულიერ ტანჯვას.

23. ბრალდებულ ფ. თ-ს გამოკითხვის ოქმებით დასტურდება, რომ 5-6 თვეა, რაც იგი ეჭვიანობდა მეუღლეზე. ბოლო 6 თვის განმავლობაში ლ. კ-სთან სამჯერ ჰქონდა კონფლიქტი, მათ შორის ბოლოს – 2018 წლის 18 ივნისს და სამივე კონფლიქტისას მეუღლეს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და აგინა დედა.

24. ლ. კ-სა და ფ. თ-სთან ერთ ოჯახად მცხოვრები მ. თ-სა და მ. კ-ს გამოკითხვის ოქმებით ირკვევა, რომ ბოლო 4-6 თვის განმავლობაში ლ-სა და ფ-ს ჰქონდათ კონფლიქტები, რადგან ფ. მეუღლეზე ეჭვიანობდა და მათი ოთახიდან ხშირად ისმოდა ხმამაღალი საუბარი. მ. თ. პირადად ჩაერია და განმუხტა ძმისა და რძლის კამათი, როდესაც დაახლოებით ერთი და სამი თვის წინ ფ-ს ოთახიდან შემოესმა, როგორ მიმართავდა იგი ლ-ს უცენზურო სიტყვებით, ხოლო 2018 წლის 18 ივნისს მ. კ-ს ესმოდა ლ-ს მიმართ მისი უწმაწური სიტყვები და მშობლების გინება.

25. ფ. თ. და ლ. კ-ს მეზობლისა და ოჯახის ახლობლის – მოწმე ა-ს გამოკითხვის ოქმით ირკვევა, რომ დაახლოებით 3 თვეა, რაც ლ-სა და ფ-ს აქვთ ოჯახური კონფლიქტი, ხოლო დაახლოებით ერთი თვის წინ ფ-ს სახლიდან მან გაიგონა, როგორ ლანძღავდა და აგინებდა დედის მისამართით ფ. ლ-ს.

26. ოჯახური ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით 2018 წლის

18 ივნისს გამოძახებაზე მისული საპატრულო პოლიციის თანამშრომლების სამხრეკამერის ჩანაწერით დასტურდება, რომ ლ. კ. აცხადებდა, რომ მეუღლე 13 წელია, რაც მასზე ძალადობს როგორც ფიზიკურად, ასევე მორალურად და არ აძლევს მშვიდი ცხოვრების საშუალებას. ჩანაწერში ნათლად ჩანს დაზარალებულის მძიმე ემოციური მდგომარეობა. იგი აღელვებულია, ეტირება და სამართალდამცავებისაგან ითხოვს შველას.

27. ამდენად, საკასაციო პალატას უტყუარად დადასტურებულად მიაჩნია ის გარემოება, რომ 2018 წლის დასაწყისიდან ფ. თ. ეჭვიანობის ნიადაგზე სისტემატურ შეურაცხყოფას აყენებდა მეუღლეს – ლ. კ-ს, კერძოდ, ლანძღავდა და აგინედა მას დედას, რაც დაზარალებულს აყენებდა ტანჯვას, რომლის კვალიფიკაციაზე საკასაციო პალატა ქმედების სამართლებრივი შეფასებისას იმსჯელებს.

28. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლით კრიმინალიზებულია ოჯახში ძალადობა – ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. ამ დანაშაულისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის (ოჯახის წევრის) ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა. დანაშაული გამოიხატება: ა) ძალადობაში; ბ) სისტემატურ შეურაცხყოფაში, შანტაჟსა და დამცირებაში. ოჯახში ძალადობა შედეგიანი დელიქტია და მისი შემადგენლობისთვის აუცილებელია, რომ სუბიექტის ქმედებით დაზარალებულმა განიცადოს ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა, ამასთან, ამ ქმედებამ არ უნდა გამოიწვიოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული მძიმე შედეგი.

29. ფ. თ-ს ბრალად წარდგენილი ჰქონდა როგორც ა) ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ასევე – ბ) ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტემატური შეურაცხყოფა, რამაც გამოიწვია ტანჯვა.

30. საკასაციო პალატა იზიარებს და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა უტყუარად ვერ დადგინდა, რომ 2018 წლის 18 ივნისს ფ. თ-მ ყელის არეში მოუჭირა ხელი მეუღლეს – ლ. კ-ს, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და ამდენად,

ფ. თ. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობაში, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს.

31. საკასაციო პალატა კვლავაც იმეორებს, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა მე-11[1] მუხლი (პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის) და 126[1]-ე მუხლი (ოჯახში ძალადობა). კანონის პროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტის მიზანი ეხმიანება „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის მიზანს – დაამკვიდროს ნულოვანი ტოლერანტობა ქალთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ. აღნიშნული სულისკვეთებიდან გამომდინარე, ოჯახური დანაშაულის ცალკე ნორმებად არსებობის მიზანიც ოჯახში ძალადობის ფაქტებზე შესაბამისი რეაგირება, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად კვალიფიკაცია და ადეკვატური სანქციის დანიშვნაა (იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება №355აპ-18, სამოტივაციო ნაწილის პუნქტი 4) და აღნიშნავს, რომ სისტემატური შეურაცხყოფა ოჯახში ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა, რომელსაც თან სდევს ადამიანის ფსიქიკის მოშლა და მისი სულიერი და გონებრივი მდგომარეობისათვის ზიანის მიყენება. შეურაცხყოფის ერთ-ერთი მწვავე ფორმაა გინება, რომელიც ხშირად ოჯახში კონფლიქტის წარმოშობის მთავარი წინაპირობაა. სისტემატურობა კი უკავშირდება ძალადობის განხორციელებას გარკვეული პერმანენტულობით, ანუ ქმედება მეორდება გამუდმებით, განუწყვეტლივ, რეგულარულად, რაც ქმნის გარკვეულ სისტემას. ამ თვალსაზრისით, გამეორება, ე.ი. მომდევნო ქმედება მინიმუმ, ორჯერ მაინც უნდა იქნეს ჩადენილი, რათა გამოიკვეთოს სისტემატურობის ელემენტი და ცხადი გახდეს, რომ ძალადობას გააჩნია არაერთგზისი რეციდივი. შესაბამისად, ძალადობა, როდესაც ქმედებები დროის ინტერვალით საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთისგან, არ შეიძლება მივიჩნიოთ სისტემატურად. სისტემატურობა გამოკვეთილია მაშინ, როდესაც ძალადობრივ ქმედებებს შორის არსებული დროის პერიოდი იმდენად მოკლეა, რომ დაზარალებული კვლავ განიცდის პირველი ქმედებით მიყენებულ ზიანს.

32. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დასტურდება ფ. თ-ს მიმართ

ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენა, ვინაიდან ფ. თ-ს, გარდა 2018 წლის 18 ივნისს მეუღლეზე ფიზიკური ძალადობისა, ბრალად წარდგენილი ჰქონდა ასევე 2018 წლის დასაწყისიდან ლ. კ-ს სისტემატური შეურაცხყოფა, რამაც დაზარალებულის ტანჯვა გამოიწვია და მიაჩნია, რომ დაზარალებულ ლ. კ-ს, ბრალდებულ ფ. თ-სა და მოწმეების: მ. თ-ს, მ. კ-სა და ა-ს გამოკითხვის ოქმებით, რომლებიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, ცალსახად დასტურდება, რომ 2018 წლის დასაწყისიდან ფ. თ. სისტემატურად აგინებდა და შეურაცხყოფდა ლ. კ-ს, ხოლო დაზარალებულის გამოკითხვის ოქმითა და 2018 წლის 18 ივნისის ვიდეოჩანაწერით უტყუარად არის დადგენილი, რომ მეუღლის მხრიდან ამგვარი ძალადობის შედეგად დაზარალებული განიცდიდა ტანჯვას.

33. საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, მხარეთა მიერ უდავოდ მიჩნეულ უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ფ. თ-ს მიერ ბრალად შერაცხული ქმედების – ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტემატური შეურაცხყოფა, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ტანჯვა, ჩადენა, რისი გათვალისწინებითაც, იგი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით.

34. საკასაციო პალატა დასძენს, რომ ფ. თ-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ან/და ბრალის გამომრიცხველი რაიმე გარემოება სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადგენილა.

34. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილი (2018 წლის 15 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

35. სასჯელის დანიშვნის დროს, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ: დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ.

36. საკასაციო პალატა სასჯელის განსაზღვრისას ითვალისწი-

ნებს იმ გარემოებას, რომ თ-მ აღიარა და გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული, რომელსაც სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა სასამართლომ, ქმედების ჩადენის მოტივსა და მიზანს (ეჭვიანობის ნიადაგზე მეუღლის სისტემატური შეურაცხყოფით მისი ტანჯვა), ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას (დამნაშავის ურყევ სურვილს, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფსიქოლოგიურად ეძალადა მეუღლეზე), ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას (ჩადენილია ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომელიც, მისი გავრცელების მასშტაბების გათვალისწინებით, საშიშროების მატარებელია), ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს (ფ. თ. რამდენიმე თვის განმავლობაში სისტემატურად აგინებდა და შურაცხყოფდა ლ. კ-ს), მის პიროვნებას (სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები ფ. თ-ს პიროვნების/მისი წარსულის უარყოფითად დახასიათების შესაძლებლობას არ იძლევა), მის ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას (ჰყავს სამი არასრულწლოვანი შვილი და იგი ოჯახის ერთადერთი მარჩენალია), ასევე დაზარალებულის ლმობიერ პოზიციას (ლ. კ-ს პრეტენზია არ გააჩნია და სურს მეუღლის მსუბუქად დასჯა) და მიიჩნევს, რომ ფ. თ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 150 საათით, რაც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მისი საზოგადოებრივი საშიშროებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, სრულად შეესაბამება სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის ინტერესს.

37. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო (2018 წლის 18 ივნისიდან 2018 წლის 22 ივნისის ჩათვლით) ფ. თ-ს უნდა ჩაეთვალოს სასჯელის ვადაში და საბოლოოდ განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 125 საათით.

37. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ ფ. თ-ს მიმართ სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებები სისხლის სამართლის საქმის მასალებით არ დადგენილა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ:

1. სამეგრელო-ზემო სვანეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლიკა ბულიას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ოქტომბრის განაჩენში ფ. თ-ს მიმართ შევიდეს ცვლილება;

3. ფ. თ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით (2018 წლის 15 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილ ბრალდებაში – 2018 წლის 18 ივლისს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობაში, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს;

4. ფ. თ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით (2018 წლის 15 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილ ბრალდებაში – ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტემატურ შეურაცხყოფაში, რამაც გამოიწვია ტანჯვა, ცნობილ იქნეს დამნაშავედ და სასჯელად განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 150 საათით;

5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო (2018 წლის 18 ივნისიდან 2018 წლის 22 ივნისის ჩათვლით) ფ. თ-ს ჩაეთვალოს სასჯელის ვადაში და საბოლოოდ განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 125 საათით;

6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის აღსრულება და კონტროლი დაევალოს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

7. სხვა, მათ შორის ყადაღისა და ნივთმტკიცების ნაწილში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ოქტომბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად;

10. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ

ოჯახის წევრის მიმართ არაადამიანური მოპყრობა

განაჩენი
საქართველოს სახელით

№149ა3-20 10 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორ თინათინ ზუბაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 10 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 10 დეკემბრის განაჩენი გაასაჩივრა გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორმა თინათინ ზუბაშვილმა, რომელიც ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 10 დეკემბრის განაჩენის შეცვლას და გ. კ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,144^1-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე კოდექსის 126^1-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გ. კ-ს ნაწილობრივ გამართლებას, ხოლო ნაწილობრივ, მისი ქმედების კვალიფიკაციის შეცვლას საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ დაზარალებულმა ჟ. ო-მ უარი განაცხადა მეუღლის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე, თუმცა დაზარალებულის ჩვენება არ ყოფილა გ. კ-ს ბრალეულობის დამადასტურებელი ერთადერთი მტკიცებულება. ჟ. ო-ს სისტემატური სიტყვიერი შეურაცხყოფისა და 2018 წლის ოქტომბერში ფიზიკური ძალადობის ფაქტი დასტურდება მოწმეების – ა-ს, ნ. ხ-სა და ი-ს ჩვენებებით, ხოლო გ. კ-ს მიერ ოჯახის წევრის წამება დადასტურებულია სასამართლო-სამედიცინო ექ-

სპერტიზის დასკვნით, მოწმეების – ნ. ხ-სა და ი-ს ჩვენებებითა და სამედიცინო ცნობით დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ მსხვერპლის შიშველ კანზე ანთებული სიგარეტით ზემოქმედება (რაც არ გამორიცხა სამედიცინო ექსპერტმა), განხორციელებული არაერთხელ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ასევე მსხვერპლის შიშველ სხეულზე ხელებითა და ფეხებით ცემა იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილსა და ტანჯვას და წარმოადგენს წამებას.

2. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით:

2018 წლის სექტემბრიდან გ. კ., გენდერული ნიშნითა და შეუწყნარებლობის მოტივით, სისტემატურ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მეუღლეს – ჟ. ო-ს, კერძოდ, ეუბნებოდა, რომ მას, როგორც მამაკაცს, უფლება ჰქონდა, მოქცეოდა მეუღლეს საკუთარი შეხედულებისამებრ და ჟ. ო. ვალდებული იყო, დამორჩილებოდა მის ნებისმიერ მოთხოვნას და ემოქმედა მისი მითითებით. 2018 წლის ოქტომბრის დაუდგენელ რიცხვში, გ. კ-მ, ეჭვიანობის ნიადაგზე, ქ. მდებარე ხევში, ჟ. ო-ს მუშტებით სცემა თავის არეში. გ. კ-ს აღნიშნული ქმედებების შედეგად ჟ. ო-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა.

2018 წლის 7 დეკემბერს გ. კ-მ ....., ე.წ. „ფ-ს“ მიმდებარე ტერიტორიაზე მიიყვანა მეუღლე – ჟ. ო., რომლისგანაც სხეულზე ხელებისა და ფეხების მრავალჯერადი დარტყმით ითხოვდა, ეღიარებინა სავარაუდო სქესობრივი კავშირი და დაესახელებინა პარტნიორის ვინაობა. უარის მიღების შემდეგ, გ. კ-მ, აღნიშნული კავშირის აღიარებისა და ამავე ურთიერთობის გამო მისი დასჯის მიზნით, დაახლოებით 10 წუთის ინტერვალით, 3-5 წუთის განმავლობაში, ანთებული სიგარეტით მკერდისა და დუნდულოს არეში დაზიანებები მიაყენა ჟ. ო-ს, რომელმაც განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი და ფსიქიკური ტანჯვა.

გ. კ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლის პირველი ნაწილით – ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი და ამავე კოდექსის 11^1,144^1-ე მუხლის პირველი ნაწილით – ოჯახის წევრის წამება, ესე იგი პირისათვის ან მესამე პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულებების ან აღი-

არების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის.

3. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 16 ივლისის განაჩენით:

გ. კ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა (2018 წლის სექტემბერ-ოქტომბრის ეპიზოდი).

გ. კ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],144[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

გ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო – 2018 წლის 8 დეკემბრიდან.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 16 ივლისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების მხარემ – გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორმა თინათინ ზუბაშვილმა და ითხოვა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 16 ივლისის განაჩენის შეცვლა და გ. კ-ს დამნაშავედ ცნობა წარდგენილ ბრალდებებში.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 10 დეკემბრის განაჩენით გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 16 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სასამართლომ დაადგინა, რომ 2018 წლის 7 დეკემბერს გ. კ-მ ...., ე.წ. „ფ-ს“ მიმდებარე ტერიტორიაზე, მეუღლეს – ჟ. ო-ს მიაყენა სხეულის დაზიანებები – მრავლობითი სისხლნაჟღენთები ორივე ქვედა კიდურზე, მარჯვენა მტევნისა და მარცხნივ, თეძოს მიდამოში, ასევე – ორი ზედაპირული დამწვრობა მარცხენა ძუძუზე და ერთი ასეთივე დამწვრობა – მარცხენა დუნდულოზე, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა.

სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დადასტურდა, რომ 2018 წლის სექტემბრიდან გ. კ., გენდერული ნიშნითა და შეუწყნარებლობის მოტივით, სისტემატურ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მეუღლეს – ჟ. ო-ს და რომ 2018 წლის ოქტომბერში, ეჭვიანობის ნიადაგზე, ... მდებარე ხევში, მუშტებით სცემა მას თავის არეში.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეაფასა წარმოდგენილი მტკიცებულებები მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მოთხოვნა გ. კ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში (2018 წლის სექტემბერ-ოქტომბრის ეპიზოდი) დამნაშავედ ცნობის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი ამ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა იზიარებს და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად ვერ დადასტურდა 2018 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გ. კ-ს მიერ მეუღლეზე – ჟ. ო-ზე ძალადობის ფაქტი. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ამომწურავად არის მითითებული იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და მოტივებზე, რომელთა საფუძველზეც უტყუარად არ დადასტურდა გ. კ-ს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით (2018 წლის სექტემბერ-ოქტომბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. ბრალდების მხარე საკასაციო საჩივარში თავადვე აღნიშნავს, რომ დაზარალებულმა ჟ. ო-მ სასამართლოს არ მისცა ჩვენება, ხოლო საჩივარში მითითებული მტკიცებულებებიდან – მოწმე ა-ს გამოკითხვის ოქმით (უდავო მტკიცებულება) დასტურდება მხოლოდ ის გარემოება, რომ ჟ. ო-ს მითითებულ პერიოდში თვალთან ჰქონდა შესიება და სილურჯე, რომელიც, დაზარალებულის განმარტებით, ბავშვმა მიაყენა. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ჟ. ო. აგროვებდა გადახდის ქვითრებს, რათა მეუღლისათვის ეჩვენებინა, ვერ გახდება იმის უპირობოდ მტკიცების საფუძველი, რომ გ. კ. მეუღლეზე ძალადობდა. ნ. ხ-ს ჩვენებით ირკვევა, რომ ჟ. ო. მითითებულ პერიოდში იყო დასუსტებული, რასაც თავად დაზარალებული სამსახურის გამო გადაღლას უკავშირებდა; ჟ. ო-ს განწყობის ცვლილებაზე საუბრობს ასევე მოწმე ი. მისი გამოკითხვისას (უდავო მტკიცებულება). ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ მოიპოვება არცერთი პირდაპირი, უტყუარი მტკიცებულება, რომელიც ცალსახად დაადასტურებდა 2018 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გ. კ-ს მიერ მეუღლეზე – ჟ. ო-ზე ძალადობის, სისტემატური შურაცხყოფის, შანტაჟის ან დამცირების ფაქტს.

3. საკასაციო პალატამ შეისწავლა მსჯავრდებულ გ. კ-ს საქმის მასალები, შეამოწმა ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის სა-

ფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა გ. კ-სათვის შერაცხული მსჯავრდების (2018 წლის 7 დეკემბრის ეპიზოდი) დამძიმებასთან დაკავშირებით უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საკასაციო პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ 2018 წლის 7 დეკემბერს სწორედ გ. კ-მ მიაყენა მეუღლეს – ჟ. ო-ს სხეულის დაზიანებები – მრავლობითი სისხლნაჟღენთები ორივე ქვედა კიდურზე, მარჯვენა მტევნისა და მარცხნივ თეძოს მიდამოში, ასევე – ორი ზედაპირული დამწვრობა მარცხენა ძუძუზე და ერთი ასეთივე დამწვრობა – მარცხენა დუნდულოზე, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ძლიერი ტკივილი და ტანჯვა, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულია ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით – სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტზის №... დასკვნითა და მოწმის სახით დაკითხული ექსპერტის – ნ. ჯ-ს ჩვენებით, ცნობით ჟ. ო-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მოწმეების – ნ. ხ-ს, ც. ო-ს, ი-სა და ბ. ა-ს ჩვენებებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, თუმცა არ იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ უტყუარად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას და მიაჩნია, რომ გ. კ-ს ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახური ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია) კვალიფიკაცია არ არის მართებული და გ. კ-სთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,144^1-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის წევრის წამება) წარდგენილი ბრალდება უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,144^3-ე მუხლის პირველ ნაწილზე (ოჯახის წევრის მიმართ არაადამიანური მოპყრობა), შემდეგ გარემოებათა გამო:

5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1-ე მუხლით კრიმინალიზებულია წამება – ესე იგი პირისათვის ან მესამე პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის.

6. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ იმ პირობებში, როდესაც

სასამართლოში არ დაკითხულა დაზარალებული ჟ. ო., ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა იმის უტყუარად დადგენა, გ. კ-ს ამგვარი მოპყრობა ემსახურებოდა თუ არა სპეციალურ მიზანს – მეუღლის მხრიდან ღალატის აღიარებას ან დასჯას, ურომლისოდაც არ არის გამოკვეთილი წამების შემადგენლობისათვის სავალდებულო სპეციალური მიზანი – ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის. საკასაციო პალატა აქვე აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრის ავტორი მიუთითებს გ. კ-ს მიერ ჩადენილი ქმედებების ხასიათზე, ინტენსივობასა და მძიმე შედეგებზე, თუმცა ყურადღებას არ მიაქცევს წამების შემადგენლობისათვის სავალდებულო სპეციალურ მიზანს, ურომლისოდაც ეს დანაშაული არ არსებობს.

7. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას გ. კ-ს მიერ 2018 წლის 7 დეკემბერს ჩადენილი ქმედების ოჯახურ ძალადობად კვალიფიკაციასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ გ. კ-მ ჩაიდინა ოჯახის წევრის მიმართ არაადამიანური მოპყრობა და მის ქმედებას ადეკვატური სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს.

8. საკასაციო პალატა აღნიშნავს: იმისათვის, რათა გავავლოთ ზღვარი ოჯახურ ძალადობასა და არაადამიანურ მოპყრობას შორის, უნდა გავაანალიზოთ ამ დანაშაულთაგან დაცვის სამართლებრივი სფერო (ობიექტები), დანაშაულის შემადგენლობისთვის სავალდებულო ნიშნები და მოქმედების ფარგლები.

9. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლით კრიმინალიზებულია ოჯახში ძალადობა – ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. ამ დანაშაულისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის (ოჯახის წევრის) ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა. დანაშაული გამოიხატება: ა) ძალადობაში; ბ) სისტემატურ შეურაცხყოფაში, შანტაჟსა და დამცირებაში. ოჯახში ძალადობა შედეგიანი დელიქტია და მისი შემადგენლობისთვის აუცილებელია, რომ სუბიექტის ქმედებით დაზარალებულმა განიცადოს ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა, ამასთან, ამ ქმედებამ არ უნდა გამოიწვიოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული მძიმე შედეგი.

10. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3]-ე მუხლით კი, დასჯადია დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა

– პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს. ამ დანაშაულისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა, ასევე მისი პატივი და ღირსება. დანაშაული გამოიხატება: ა) პირის დამცირებაში; ბ) იძულებაში; გ) არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახველ მდგომარეობაში ჩაყენებაში; დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობაც შედეგიანი დელიქტია და მისი შემადგენლობისთვის აუცილებელია, რომ სუბიექტის ქმედებით დაზარალებულმა განიცადოს ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან მორალური ტანჯვა.

11. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11^1 მუხლის თანახმად, ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133^1, 133^2, 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144^3, 149-ე-151^1, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე-255^1, 381^1 და 381^2 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამავე მუხლის შენიშვნის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისათვის ოჯახის წევრად ითვლება, მათ შორის – მეუღლე.

12. ამდენად, ყოველგვარი უხეში ან/და ძალადობრივი მოპყრობა ვერ ჩაითვლება არაადამიანურად. მოპყრობა არაადამიანურია, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანისადმი მოქცევის ზნეობრივ (მორალურ) წესებს. ძალადობასა (მათ შორის ოჯახურ) და არაადამიანურ მოპყრობას ერთმანეთისგან განასხვავებს ზემოქმედების სიმძიმე და შედეგის ხარისხი, რომელიც ერთ შემთხვევაში დაკავშირებულია – ფიზიკურ ტკივილთან ან ტანჯვასთან, თუმცა თან არ სდევს ჯანმრთელობის დაზიანების მძიმე შედეგი, ხოლო მეორე შემთხვევაში – ძლიერ ფიზიკურ/ფსიქიკურ ტკივილთან ან მორალური ტანჯვასთან, რაც სისასტიკის მინიმალურ ზღვარს უნდა სცდებოდეს და მსხვერპლში ხანგრძლივ ფიზიკურ ან სულიერ განცდებს უნდა იწვევდეს.

13. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ“ (იხ. Opuz v. Turkey, 2009 წლის 9 ივნისი, No.33401/02) ხაზი გაუსვა ოჯახური ძალადობის განსაკუთრებულ სიმძიმეს: ეს არის ზოგადი პრობლემა, რომელიც ეხება ყველა წევრ სახელმწიფოს და რომელიც ყოველთვის არ ჩანს ზედაპირზე, რადგან ის ხდება პირად ურთიერთობებში ან დახურულ წრეებში და ამის შედეგად მხოლოდ ქალები არ ზარალდებიან, ... რეალურად ამ ფენომენის შედეგად ხშირად ზარალდებიან ბავშვებიც, პირდაპირ თუ არაპირდაპირ. ოპუზის საქმეში განმცხადებელი და

დედამისი განმცხადებლის ქმრის სისტემატური ძალადობრივი თავდასხმების მსხვერპლნი იყვნენ, რაც დასრულდა დედამისის მოკვლით. განმცხადებლის ქმრის მხრიდან მუდმივად გამწვავებადი ძალადობის ისტორიის გათვალისწინებით, რის შესახებაც ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ, სასამართლომ დაასკვნა, რომ მათ შეეძლოთ, განეჭვრიტათ სასიკვდილო თავდასხმა. სისხლის სამართალწარმოება განმცხადებლის ქმრის მიმართ დაწყებული იყო მანამდეც, მაგრამ მთავრობა ამტკიცებდა, რომ დევნის განმახორციელებელ ორგანოებს თითოეულ შემთხვევაში, როცა დაიწყეს დევნა, უწევდათ შიდა სამართლის თანახმად მისი შეწყვეტა, რადგან განმცხადებელს და დედამისს გაჰქონდათ თავიანთი საჩივრები. სასამართლომ დაასკვნა, რომ საკანონმდებლო ჩარჩო არ იყო საკმარისი სახელმწიფოს იმ პოზიტიური ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც მოითხოვდა ოჯახური ძალადობის ყველა ფორმის დასასჯელად სისტემის შექმნასა და ეფექტიან ამოქმედებას, აგრეთვე დადგინდა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება, გაეტარებინა პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები რისკის ქვეშ მყოფი ინდივიდის სიცოცხლის დასაცავად. ამას ერთოდა ისიც, რომ გამოძიება იყო არასაკმარისად სწრაფი, შესაბამისად, განცხადებლის დედის მიმართ დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, ხოლო თავად განცხადებლის მიმართ – მე-3 მუხლის, აგრეთვე – მე-14 მუხლის, როგორც მე-2, ისე მე-3 მუხლთან მიმართებით, დარღვევა.

14. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ნათლად ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართლით დადგენილია, რომ არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების ქვეშ მოხვდეს. აღნიშნული მინიმუმის შეფასება დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორიცაა მოპყრობის ხანრგძლივობა, მისი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური შედეგები და ზოგ შემთხვევაში, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხ. მათ შორის Ireland v. the United Kingdom, 1978 წლის 18 იანვარი, § 162; Jalloh v. Germany 2006 წლის 11 ივლისი, § 67; Gäfgen v. Germany, 2010 წლის 1 ივნისი § 88 და Svinarenko and Slyadnev v. Russia, 2014 წლის 17 ივლისი, § 114). მე-3 მუხლის საწინააღმდეგო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული პრეტენზიები, შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა გამყარდეს. ამ მტკიცებულებების შესაფასებლად სასამართლო ადგენს „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცების სტანდარტს, მაგრამ დასძენს, რომ ასეთი მტკიცება შესაძლებელია გამომდინარეობდეს საკმაოდ ძლიერი, მკაფიო და შეთანხმებული დასკვნებისა ან მსგავსი უტყუარი ვარაუდებიდან. სასამართლომ

მოპყრობა „არაადამიანურად“ მიიჩნია იმიტომ, რომ, inter alia, იგი იყო წინასწარ განზრახული, გამოიყენებოდა რამდენიმე საათის განმავლობაში და განაპირობა აქტიური ფიზიკური ხელყოფა და ინტენსიური ფიზიკური და სულიერი ტანჯვა (იხ. Labita v. Italy, 2000 წლის 6 აპრილი, § 120; Ramirez Sanchez v. France, § 118; Gäfgen v. Germany, 2010 წლის 1 ივნისი § 89).

15. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტზის №. დასკვნით (დადგენილია, რომ პირადი შემოწმებისას ჟ. ო-ს აღენიშნებოდა: მრავლობითი სისხლნაჟღენთები ორივე ქვედა კიდურზე, მარჯვენა მტევნისა და მარცხნივ თეძოს მიდამოში, ასევე – ორი ზედაპირული დამწვრობის უბანი მარცხენა ძუძუზე და ერთი ასეთივე დამწვრობის უბანი – მარცხენა დუნდულოზე. დაზიანებები, სისხლნაჟღენთების სახით, განვითარებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით, ხოლო დამწვრობა – რაიმე მაღალი ტემპერატურის ადგილობრივი ზემოქმედებით. დაზიანებები, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლივად მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში მითითებულ თარიღს – 2018 წლის 7 დეკემბერს.

16. საექსპერტო კვლევისას ჟ. ო-ს პირადი გასინჯვის მონაცემებით (ჟ. ო-ს გადმოცემით), 2018 წლის 7 დეკემბერს, 11:00-12:00 საათზე, მეუღლემ წაიყვანა ტყეში, სადაც მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა – ურტყამდა მუშტებს და ფეხებს სხეულის სხვადასხვა მიდამოში (თავში რამდენჯერმე მოხვდა მუშტი), ასევე რამდენჯერმე დაადო ანთებული სიგარეტი გულმკერდზე, მარცხნივ და მარცხენა დუნდულოზე. ამის შემდეგ იქვე, ტყეში, მოსთხოვა ტანსაცმლის გახდა და დაამყარა ნაძალადევი სქესობრივი კავშირი.

17. ზემოაღნიშნული ექსპერტის დასკვნის სისწორე დაადასტურა სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ნ. ჯ-მ, რომელმაც დამატებით განმარტა, რომ ჟ. ო-ს სხეულზე არსებული დამწვრობა შესაძლებელია, გამოწვეული ყოფილიყო სიგარეტის ზემოქმედებითაც.

18. პალატა გვერდს არ აუვლის დაზარალებულის მიერ საექსპერტო შემოწმებისას გაცხადებულ სავარაუდო სექსუალურ ძალადობას, თუმცა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს წარდგენილი ბრალდების ფარგლებში და აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებზე სასამართლოს უფრო სიღმისეული მსჯელობა იქნებოდა ბრალდების ფარგლებს გაცდენა და ახალი ბრალდების ფორმულირება, რაც ცალსახად სცდება მის უფ-

ლებამოსილებას.

19. დაზარალებულ ჟ. ო-ს დედის, მოწმე ნ. ხ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2018 წლის დეკემბრის დასაწყისში, დილის საათებში, დაურეკა ქალიშვილს – ჟ. ო-ს, რომლისგანაც შეიტყო, რომ მეუღლესთან ერთად თ-ში მიდიოდა. დაახლოებით 12 საათზე ქალიშვილმა უთხრა, რომ იყო ცუდად და ბავშვს დაუტოვებდა. ჟ-მ ბავშვი მიუყვანა და წავიდა. საღამოს 5-6 საათისთვის ჟ. სახლში დაბრუნდა, თუმცა ტკივილისგან კარში ჩაიკეცა და ცუდად გახდა. მან ქალიშვილი სახლში შეიყვანა და ნახა, რომ იყო ნაცემი, სხეულზე ჰქონდა ჰემატომები და დამწვრობები. ჟ-მ უთხრა, რომ მეუღლემ წაიყვანა ჩ-ში, ე.წ. „ფ-ში“ და სცემა. მიუხედავად იმისა, რომ ჟ. ტკივილისგან იტანჯებოდა, მას ჭრილობები არ დაუმუშავა, რადგან არის მედდა და არ უნდოდა ექსპერტიზისთვის ხელი შეეშალა.

20. დაზარალებულ ჟ. ო-ს დის, მოწმე ც. ო-ს გამოკითხვის ოქმით (რომელიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ) ირკვევა, რომ 2018 წლის 7 დეკემბერს დედის თხოვნით მივიდა მის სახლში, სოფელ ჩ-ში, სადაც ნახა ჟ. ო., რომელიც იყო ძალიან ცუდად, სტრესისგან მეტყველება უჭირდა, რის გამოც მასთან არ უსაუბრია. დედამ სთხოვა, დაერეკა პოლიციაში, რადგან ჟ. ქმრის მიერ იყო ნაცემი. მან დედის ტელეფონით დარეკა პოლიციაში.

21. ჟ. ო-ს თანამშრომლის, მოწმე ი-ს გამოკითხვის ოქმით (რომელიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ) ირკვევა, რომ 2018 წლის ნოემბერში ჟ. ო-ს შენიშნა ხასიათის ცვლილება, იგი გახდა გულჩათხრობილი, ცდილობდა განმარტოებას, ძალდატანებით იცინოდა. იმავე წლის დეკემბერის დასაწყისში კი, ჟ-ს მდგომარეობა დამძიმდა, რადგან სულ ნამტირალევი დადიოდა და საერთოდ აღარ იცინოდა, პერიოდულად გონებას კარგავდა და დამამშვიდებლებს სვამდა. იმავე თვეში ჟ-მ რამდენიმე დღით სამსახური გააცდინა. როდესაც დაბრუნდა, ცუდად გახდა და ერთი კვირით დაითხოვეს. როგორც გაიგო, ჟ-ს მეუღლემ სცემა და ოჯახი დაენგრა.

22. მოწმე ბ. ა-მ (გამომძიებელი) განმარტა, რომ გამოძიების პროცესში მან გამოკითხა დაზარალებული ჟ. ო., რომელმაც განმარტა, რომ მისი მეუღლე გ. კ. ბოლო პერიოდში იყო მის მიმართ აგრესიული და ხშირად აყენებდა შეურაცხყოფას. 2018 წლის 7 დეკემბერს მეუღლემ წაიყვანა სოფელ ჩ-ში, ე.წ. „ფ-ს“ ტერიტორიაზე, სადაც მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, წააქცია და ფეხებითა და ხელებით ურტყამდა, ასევე ორჯერ დაადო ანთებული სიგარეტი მკერდისა და დუნდულოს არეში, რითაც მიაყენა ძლიერი ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა. ჟ. მეუღლის აგრესიულ ქცევას უკავშირებდა მის ეჭვიანობას. გამოკითხვისას ჟ-ს თვალნათლივ ეტყობოდა სილურჯეები ხელსა და მკლავზე. ჟ. გამოიკითხა სახლში, რად-

გან პოლიციაში მისვლა ვერ შეძლო, თავს სუსტად გრძნობდა.

23. ცნობით ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (რომელიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ) დადგენილია, რომ 2018 წლის 12 დეკემბერს ჟ. ო-ს გაეწია ექიმ-ფსიქიატრის კონსულტაცია, რა დროსაც აღენიშნებოდა შფოთვითი და დეპრესიული სიმპტომატიკა. დაესვა დიაგნოზი: მოუსვენრობა და შფოთვა, განწირულობის შეგრძნება. პაციენტი დაავადებას უკავშირებდა ფსიქოტრავმას.

24. საკასაციო პალატამ გ. კ-ს მიერ ჟ. ო-ს მიმართ მოპყრობის შეფასებისას მხედველობაში მიიღო დაზარალებულისთვის მიყენებული დაზიანებები, განსაკუთრებით – დამწვრობები (არაერთი), რომელიც, როგორც ცალკე აღებული, ასევე სხვა დაზიანებებთან ერთობლივად, ნორმალური ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის მქონე ადამიანისათვის ძლიერი ფიზიკური და ფსიქიკური ტკივილის გამომწვევია. დადგენილია, რომ ჟ. ო. მიყენებული დაზიანებებისგან გამოწვეული გაუსაძლისი ტკივილისგან სახლის კარში ჩაიკეცა. ასევე, დადასტურებულია, რომ დაზარალებული ძალადობის შემდგომ იყო სტრესში, უჭირდა საუბარი, მათ შორის ოჯახის წევრებთან, ვერ შეძლო საგამოძიებო ორგანოში მისვლა და გამოიკითხა სახლში, დასჭირდა ფსიქიატრის დახმარება, აწუხებდა პოსტტრავმული მოუსვენრობა, შფოთვა და განწირულობის შეგრძნება, რაც ცალსახად მიუთითებს მსხვერპლის მიერ განცდილ ფსიქიკურ ტკივილსა და მორალურ ტანჯვაზე.

25. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. კ-ს მიერ ჟ. ოსთვის მიყენეული დაზიანებები: მრავლობითი სისხლნაჟღენთები ორივე ქვედა კიდურზე, მარჯვენა მტევნისა და მარცხნივ თეძოს მიდამოში, ასევე – ორი ზედაპირული დამწვრობა მარცხენა ძუძუზე და ერთი ასეთივე დამწვრობა – მარცხენა დუნდულოზე, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ძლიერი ტკივილი (ფიზიკური და ფსიქიკური) და ტანჯვა, ცდება ოჯახურ ძალადობას და აღწევს სისასტიკის იმ ზღვარს, რაც ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს არაადამიანურ მოპყრობას, ესე იგი პირის არაადამიანურ მდგომარეობაში ჩაყენებას, რაც მას ძლიერ ფიზიკურ და ფსიქიკურ ტკივილსა და მორალურ ტანჯვას აყენებს, ჩადენილი ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,144^3-ე მუხლის პირველი ნაწილით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მითითებულ ნაწილში უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულ გ. კ-ს მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია და შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს გასაჩივრებულ განაჩენში, როგორც ამ ქმედების სამართლებრივი შეფასების, ასევე – სასჯელის ნაწილშიც.

26. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3]-ე მუხლის პირველი ნაწილი ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

27. სასჯელის დანიშვნის დროს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ: დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ.

28. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა, მათ შორის – ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ზემოაღნიშნული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

29. საკასაციო პალატა აქვე დასძენს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნები ვრცელდება სამართალწარმოების მთლიან პროცესზე, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას ადამიანი არასათანადო მოპყრობისაგან, რომელიც ასევე მოიცავს დამნაშავისათვის დასაბუთებული და სათანადო სასჯელის დაკისრების ვალდებულებას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მის არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ მართალია, უმეტესწილად, ეროვნული სასამართლოების არჩევანზეა დამოკიდებული, თუ რა სანქციები უნდა დაწესდეს ადამიანის წამებისა და მკვლელობისათვის, სასამართლოს, როგორც კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული – კონვენციის ამ ორი ყველაზე ფუნდამენტური უფლების დაცვაზე პასუხისმგებელ უზენაეს ორგანოს, მართებს განახორციელოს თავისი საზედამხედველო უფლებამოსილება და ჩაერიოს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აშკარა

შეუსაბამობა ჩადენილი ქმედების სიმძიმესა და შეფარდებულ სასჯელს შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოების ვალდებულება, ჩაატარონ ეფექტიანი გამოძიება, თავის მნიშვნელობას დაკარგავდა, ხოლო ზემოთ მითითებული მუხლებით განმტკიცებული უფლებები პრაქტიკაში არაეფექტიანი იქნებოდა (იხ. Gäfgen v. Germany, 2010 წლის 1 ივნისი, § 123-124; Opuz v. Turkey, 2009 წლის 9 ივნისი, § 165).

30. საკასაციო პალატა სასჯელის დანიშვნისას ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს (გ. კ-ს მიერ საკუთარი მეუღლისათვის ძლიერი ფიზიკური/ფსიქიკური ტკივილისა და ტანჯვის მიყენება), ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებასა და ხასიათს (ჩადენილია მძიმე კატეგორიის ძალადობრივი დანაშაული, დარღვეულია ადამიანის აბსოლუტური უფლება, რომელიც გამონაკლისს არ ითვალისწინებს), ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს (დაზარალებულს მიყენებული აქვს მრავლობითი დაზიანებები, მათ შორის თერმული დამწვრობის სახით), ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას (გ. კ-ს სურვილს, ურყევ ნებას სასტიკად ეძალადა მეუღლეზე), მართლსაწინააღმდეგო შედეგს (დაზარალებულმა განიცადა ძლიერი ფიზიკური და ფსიქიკური ტკივილი და მორალური ტანჯვა, შეპყრობილი იყო მოუსვენრობით, შფოთვით, განწირულობის შეგრძნებით) და მიაჩნია, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, გ. კ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ხელს შეუწყობს სასჯელის მიზნების რეალურად შესრულებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორ თინათინ ზუბაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 10 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. გ. კ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით (2018 წლის სექტემბერ-ოქტომბრის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და

გამართლდეს;

4. გ. კ-ს ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,144^1-ე მუხლის პირველი ნაწილით, გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,144^3-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

5. გ. კ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,144^3-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6. გ. კ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 10 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელი – 8 თვით თავისუფლების აღკვეთა;

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 10 დეკემბრის განაჩენი სხვა ნაწილში, დარჩეს უცვლელად;

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ეკონომიკური დანაშაული
1. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ
ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად

განაჩენი
საქართველოს სახელით

№880ა3-19 15 მაისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
შ. თადუმაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ირაკლი ქარდავასა და მსჯავრდებულების – ნ. გ-სა და ვ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ჩ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 30 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილებით ვ. გ-ს. და ნ. გ-ს, ბრალად ედებოდათ ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, რაც გამოიხატა შემდეგში:

2017 წლის 11 აგვისტოს, დაახლოებით 15:00 საათზე, ქ. თ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე ვ. გ-მ და ნ. გ-მ გადაინაწილეს როლები და ჯგუფურად თავს დაესხნენ შპს „ჯ.“ დისტრიბუტორ ვ. მ-ს. ნ. გ-მ იარაღის მაგვარი საგნის დემონსტრირებითა და ძალადობის გამოყენებით ვ. მ-ს სხეულზე მიაყენა ფიზიკური დაზიანებები, რის შემდეგაც თავდამსხმელები სადისტრიბუციო ავტომანქანიდან დაეუფლნენ ფულად თანხას – 2980 ლარს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. აღნიშნული ქმედების შედეგად შპს „ჯ-ს“ მიადგა 2980 ლარის ოდენობის ქონებრივი ზიანი, ხოლო ვ. მ-ს მიადგა ფიზიკური და მორალური სახის ზიანი.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-

მეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის მაისის განაჩენით:

ნ. გ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

ნ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2017 წლის 14 აგვისტოდან.

ვ. გ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 24,179-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

ვ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 24,179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული პირობითი სასჯელი – 3 წლით, 10 თვითა და 23 დღით თავისუფლების აღკვეთა, იმავე გამოსაცდელი ვადით. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3, მე-5 და მე-8 ნაწილების საფუძველზე ვ. გ-ს მიმართ ბოლო განაჩენით დანიშნულ ძირითად სასჯელს ნაწილობრივ დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით დარჩენილი მოუხდელი ძირითადი სასჯელიდან – 3 წლით, 10 თვით და 23 დღით თავისუფლების აღკვეთიდან და ჯარიმა 500 ლარიდან – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის მოუხდელი ნაწილი ჯარიმა – 1816.82 ლარი და საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით ვ. გ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახედ დაეკისრა ჯარიმა – 1816.82 ლარი. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2017 წლის 12 აგვისტოდან.

განაჩენით ნ. გ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ხოლო ვ. გ-ს – ყაჩაღობაში დახმარებაში, ესე იგი თავდასხმაში სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, რაც გამოიხატა შემდეგში: 2017 წლის 11 აგვისტოს, დაახლოებით 15:00 საათზე, ქ. თ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე ნ. გ. თავს დაესხა შპს „ჯ-ს“ დისტრიბუტორ ვ. მ-ს, რა დროსაც მან იარაღის მაგვარი საგნის დემონსტრირებით

და ძალადობის გამოყენებით ვ. მ-ს სხეულზე მიაყენა ფიზიკური დაზიანებები და სადისტრიბუციო ავტომანქანიდან დაეუფლა ფულად თანხას 2980 ლარის ოდენობით. ვ. გ-მ მას გაუწია დახმარება, კერძოდ ფიზიკური და ფსიქიკური, რის შემდეგაც ვ. გ-მ და ნ. გ-მ თანხა მიისაკუთრეს. აღნიშნული ქმედების შედეგად შპს „ჯ-ს" მიადგა 2980 ლარის ოდენობის ქონებრივი ზიანი, ხოლო ვ. მ-ს მიადგა ფიზიკური და მორალური სახის ზიანი.

3. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 30 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

4. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორი ირაკლი ქარდავა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ნ. გ-ს და ვ. გ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (ჯგუფური ყაჩაღობა და) შესაბამისი სამართლიანი სასჯელის შეფარდებას.

მსჯავრდებულების – ნ. გ-სა და ვ. გ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი კ. ჩ. საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების – ნ. გ-სა და ვ. გ-ს მიმართ, შეამოწმა მათი დამცველის, ასევე ბრალდების მხარის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივრების მოთხოვნის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ დაცვის მხარის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ბრალდების მხარის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის წარმომადგენელი კასატორის, ადვოკატ კ. ჩ-ს მიერ მის საკასაციო საჩივარში გამოხატულ პოზიციას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულთა მიმართ წარდგენილი ბრალდება და მის საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენით მათთვის შერაცხული ბრალი ემყარება არასანდო მოწმეთა წინააღმდეგობრივ ჩვენებებს, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დარღვევით. კასატორი აქცენტს აკეთებს საქმეზე მოწმედ დაკითხული ზ. ს ჩვენებაზე და ამტკიცებს, რომ სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი სწორედ ამ ჩვენებაზე ააგო. კასატორის ასეთი პრეტენზია არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან სასამართლოს განაჩენის დადგენისას საერთოდ არ მიუღია მხედველობაში მოწმე ზ. ნ-ს მიერ გამოძიების სტადიაზე გამოკითხვისას მიცემული ინფორმაცია და სასამართლო სხდო-

მაზე მიცემული ჩვენება. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულების წინააღმდეგ მოწმე პოლიციელების ჩვენებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მიუხედავად ამისა, სასამართლომ ისინი მაინც გაიზიარა. დაცვის მხარის არც ამ პრეტენზიას გააჩნია საფუძველი, რადგან სასამართლო თავისი გადაწყვეტილების დასაბუთებისას, საერთოდ არ იხსენიებს საქმეზე მოწმედ დაკითხული პოლიციის თანამშრომლების ჩვენებებს. რაც შეეხება გამოძიების სტადიაზე ჩვენებების მისაცემად მოწმეების იძულების ვერსიას, რაზედაც უთითებს ადვოკატი კ. ჩ., საქმის მასალებში მსგავსი რამ არ იკვეთება, ხოლო კასატორს თავის საჩივარში რაიმე კონკრეტული გარემოება აღნიშნული ვერსიის დასადასტურებლად არ დაუსახელებია, რის გამოც საფუძველს მოკლებული ამგვარი ვარაუდები სასამართლოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული. გარდა ამისა, საკასაციო საჩივარში ბუნდოვანი და გაურკვეველია – სამართლებრივი შედეგის სახით კონკრეტულად რას ითხოვს დაცვის მხარე. განხილული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ დაცვის მხარის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან საქმეში მოიპოვება საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება მსჯავრდებულთა ყაჩაღური თავდასხმა დაზარალებულ ვ. მ-ზე და მისგან ამ თავდასხმის გზით 2980 ლარის გატაცება.

3. სასამართლომ განიხილა აგრეთვე ბრალდების მხარის წარმომადგენლის ი. ქარდავას საჩივარი, რომლითაც კასატორი ითხოვს ნ. გ-სა და ვ. გ-ს მიერ ჩადენილი ქმედების ჯგუფურ ყაჩაღობად დაკვალიფიცირებას, მათ მიმართ წარდგენილი ბრალდების მიხედვით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული მოთხოვნა საფუძვლიანია, რადგან ის გამომდინარეობს საქმეში არსებული უდავო მტკიცებულებებიდან. ის გარემოება, რომ 2017 წლის 11 აგვისტოს, დაახლოებით 15.00 საათზე, ქ. თ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ „თ-ს“ ფილიალთან, მაღაზია „ო-ს“ წინ, ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი საგნის გამოყენების მუქარითა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით, დაზარალებულ ვ. მ-ს მიმართ ნამდვილად განხორციელდა ყაჩაღური თავდასხმა მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული, შპს „ჯ-?“ კუთვნილი, ფულადი თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დასტურდება საქმეში არსებული უდავო მტკიცებულებებით, მათ შორის პირდაპირი მტკიცებულებებით. იგივე მტკიცებულებებით დასტურდება ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ ყაჩაღურ თავდასხმაში უშუალოდ მონაწილეობდნენ მსჯავრდებულები ნ. გ. და ვ. გ.. საკასაციო სასამართლოს მხედველობაში აქვს:

დაზარალებულ ვ. მ-ს ჩვენება; შემთხვევის ადგილზე არსებული გარე თვალთვალის ვიდეო კამერების ჩანაწერები და მათი დათვალიერების ოქმები; საქმეზე ჩატარებული – საგამოძიებო ექსპერიმენტების ოქმები, აგრეთვე სასამართლო ექსპერტიზების, კერძოდ, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის, ტრასოლოგიური ექსპერტიზის, სამედიცინო ექსპერტიზის, ბიოლოგიური ექსპერტიზისა და ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნები.

4. დაზარალებულ ვ. მ-ს ჩვენებითა და გარე თვალთვალის ვიდეო კამერების ჩანაწერებით დგინდება არამარტო მის მიმართ განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმისა და მისგან 2980 ლარის გატაცების ფაქტი, არამედ ამ თავდასხმაში მონაწილე პირთა რაოდენობა, მათი ჩაცმულობა და დანაშაულის შემთხვევის ადგილზე ყოფნა, მოძრაობა და გადაადგილების მიმართულება, რაც დროის თვალსაზრისით ემთხვევა დანაშაულის ჩადენის დროს. საქმეში არსებული ბიოლოგიური, დაქტილოსკოპიური და ოდოროლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით დანაშაულში მონაწილე პირებად, რომლებიც აღბეჭდილნი არიან ვიდეოკამერების ჩანაწერებში, იდენტიფიცირდებიან სწორედ მსჯავრდებულები – ნ. გ. და ვ. გ.. საქმეში არ არსებობს რაიმე სხვა ისეთი მტკიცებულება, რომელიც იძლეოდეს საფუძველს გონივრული ვარაუდისათვის, რომ მათ სხვა დროს, სხვა ადგილზე და სხვა ვითარებაში ჰქონოდათ ფიზიკური შემხებლობა დანაშაულის შემთხვევის ადგილზე არსებულ, „ფორდის“ მარკის იმ მიკროავტობუსთან (სახ. ნომერი ...), რომლითაც დაზარალებულ ვ. მ-ს გადაჰქონდა შპს „ჯ-ს“ კუთვნილი თანხები და რომელშიც აღმოჩნდა მსჯავრდებულ ვ. გ-ს თითის ანაბეჭდი, ასევე, ამ უკანასკნელისა და მსჯავრდებულ ნ. გ-ს მიერ დატოვებული სუნის კვლები, აგრეთვე, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ სხვა საგნებთან, მათ შორის ისეთ საგანთან, რაც გამოყენებული იყო დაზარალებულის მიმართ ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის განხორციელების ერთ-ერთ საშუალებად.

5. ზემოაღნიშნული მტკიცებულებები, ერთობლიობაში აღებული, ადასტურებენ, რომ მსჯავრდებულები შემთხვევის ადგილზე თავიდანვე წინასწარი განზრახვითა და ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდნენ, რაც წარმოადგენდა მათ თანამოქმედებას დანაშაულის უშუალო აღსრულებაში ანუ დაზარალებულზე ყაჩაღურ თავდასხმაში და იმ მომენტში დაზარალებულის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული თანხების დაუფლებაში. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ დასკვნას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულ ვ. გ-ს მიერ შემთხვევის ადგილზე ჩადენილი ქმედება წარმოადგენს ნ. გ-ს მიერ დაზარალებულის მიმართ ჩადენილ ყაჩაღურ თავდასხმაში თა-

ნამონაწილეობას ფიზიკური და ფსიქიკური დახმარების სახით. სასამართლო ვერ უთითებს კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ხსენებული დახმარება და მხოლოდ ზოგადად აღნიშნავს: ფიზიკური დახმარება გამოიხატებოდა ამსრულებლისათვის (იგულისხმება ნ. გ.) დანაშაულის ჩადენის გასაადვილებლად გარემოებების შექმნასა და დაბრკოლების თავიდან არიდებაში, ხოლო ფსიქიკურ დახმარებაში მოიაზრება მხარდაჭერა, ინფორმაციის მიწოდება, დაპირება, რომ გადამალავდა ამსრულებელს და მის მიერ დანაშაულებრივად დაუფლებულ ქონებას. თუმცა დახმარების არცერთი დასახელებული ელემენტი არ არის ფაქტების სახით დაკონკრეტებული და არც ის მტკიცებულებებია მითითებული, საიდანაც ეს ფაქტები შეიძლება გამომდინარეობდეს. მაგალითად, არ არის დასახელებული რა დაბრკოლება ეღობებოდა ამსრულებელს დანაშაულის ადგილზე და როგორ აარიდა ეს დაბრკოლება ვ. გ-მ ამსრულებელს, მაშინ, როდესაც, საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან დამნაშავისთვის ხელის შემშლელი რაიმე დაბრკოლება საერთოდ არ იკვეთება, გარდა დაზარალებულის მიერ თავდამსხმელებისთვის გაწეული ფიზიკური წინააღმდეგობისა, რაზედაც მეტყველებს დაზარალებულის არამარტო ჩვენება, არამედ მისთვის მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანებებიც. განაჩენიდან არც ისაა, ცნობილი, თუ რა წინაპირობები მოამზადა ვ. გ-მ ამ დანაშაულის ჩასადენად, რა მოქმედებები შეასრულა მან საამისოდ და რომელი მტკიცებულებები მიუთითებენ ყოველივე ამაზე. იგივე შეიძლება ითქვას მისი მხრივ ამსრულებლისთვის ფსიქიკური დახმარების გაწევის შესახებ განვითარებულ ვერსიაზეც.

6. დაზარალებული ვ. მ. თავის ჩვენებაში აღნიშნავს, რომ მოძალადემ მას სახეზე ააფარა ძალიან მძიმე სუნიანი ქსოვილის ნაჭერი, რომელიც ამოღებულ იქნა დანაშაულის ადგილის დათვალიერების დროს. სასამართლო ბიოლოგიური (სეროლოგიური, გენეტიკური) ექსპერტიზის 2017 წლის 28 ნოემბრის №... დასკვნით ხსენებულ ქსოვილის ნაჭერზე აღმოჩნდა ვ. გ-ს გენეტიკური პროფილის მინორული წილი, ხოლო მაჟორული წილი ეკუთვნის დაზარალებულ ვ. მ-ს, რაც აშკარად და პირდაპირ მიუთითებს ამ უკანასკნელის მიმართ ძალადობაში ვ. გ-ს თანამოქმედებაზე ანუ მის მიერ თანაამსრულებლის ფუნქციის შესრულებაზე. მაგრამ ეს პირდაპირი მტკიცებულება სააპელაციო სასამართლოს რატომღაც მხოლოდ იმის დამადასტურებლად მიაჩნია, რომ ვ. გ. ნამდვილად იმყოფებოდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე, თუმცა საქმეში არავითარი სხვა მტკიცებულება არ არსებობს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ხსენებულ ქსოვილის ნაჭერზე ვ. გ-ს ბიოლოგიური კვალის სხვაგვარად დატოვების თაობაზე რეალური ვარაუ-

დის დაშვება.

7. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულ ვ. გ-ს მიერ ჩადენილი ქმედება სწორედ ყაჩაღობის უშუალო თანაამსრულებლობას წარმოადგენს ამ დანაშაულის ნ. გ-თან ერთად ჯგუფურად ჩადენის სახით, რაც არსებითად განსხვავდება იმავე დანაშაულში ვიწრო გაგებით თანამონაწილეობისგან ფიზიკური და ფსიქიკური დახმარების სახით, ვინაიდან ეს უკანასკნელი წარმოადგენს ამსრულებლის ან ამსრულებლების მიერ დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობის რეალიზაციისთვის საჭირო წინაპირობის შექმნას. მაშინ, როდესაც საქმეში არსებული მასალებით დგინდება ვ. გ-ს უშუალო მონაწილეობა დაზარალებულ ვ. მ-ზე ყაჩაღურ თავდასხმაში, გასაჩივრებულ განაჩენში არ არის კონკრეტულად მითითებული ვ. გ-ს მიერ ჩადენილი ისეთი მოქმედებები და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლებიც შეიძლება ყაჩაღობაში დახმარებად ყოფილიყო მიჩნეული, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა მსჯავრდებულ ვ. გ-ს მიერ ფიზიკური და ფსიქიკური დახმარების სახით ყაჩაღობაში თანამონაწილეობის შესახებ, საკასაციო სასამართლოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული.

8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ 2017 წლის 11 აგვისტოს დაზარალებულ ვ. მ-ს მიმართ ყაჩაღური თავდასხმა და მისგან 2980 ლარის გატაცება ნ. გ-სა და ვ. გ-ს ჩადენილი აქვთ ჯგუფურად, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ბრალდების მხარის წარმომადგენლის, პროკურორ ი. ქარდავას საკასაციო საჩივრის მოთხოვნა მსჯავრდებულთა ქმედების აღნიშნული სისხლისსამართლებრივი ნორმით დაკვალიფიცირების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, რის გამოც შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 30 სექტემბრის განაჩენში, კერძოდ, მსჯავრდებულ ნ. გ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე. ასევე, მსჯავრდებულ ვ. გ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლიდან და 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე.

9. რაც შეეხება მსჯავრდებულთა მიმართ გამოსაყენებელი სასჯელის სახესა და ზომას, საკასაციო სასამართლო მისი განსაზღვრისას ითვალისწინებს თითოეული მათგანისთვის არსებულ პასუხისმგებლობის ინდივიდუალურ გარემოებებს, კერძოდ, ნ. გ. პირ-

ველადაა სამართალში, ხოლო პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები მის მიმართ არ არსებობს, რის გამოც ჩადენილი ქმედების ხასიათისა და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ნ. გ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ ვ. გ-ს მიმართ საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ მან ზემოაღნიშნული დანაშაული ჩაიდინა განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლობის პერიოდში, ე.ი. სახეზეა რეციდივი, რაც საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გათვალისწინებული უნდა იქნეს მის მიმართ სასჯელის ზომის განსაზღვრისას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვ. გ-ს ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის ზომად უნდა შეეფარდოს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 და მე-8 ნაწილების საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული და მოუხდელი სასჯელის ნაწილი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე დამატებითი სასჯელის მოუხდელი ნაწილი – ჯარიმა 1816.82 ლარის ოდენობით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ვ. გ-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახედ დაეკისროს ჯარიმა – 1816.82 ლარი. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულების – ნ. გ-სა და ვ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ირაკლი ქარდავას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 30 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ ნ. გ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე.

მსჯავრდებულ ვ. გ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლიდან და 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე.

ნ. გ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს 6 (ექვსი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2017 წლის 14 აგვისტოდან.

ვ. გ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 და მე-8 ნაწილების საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული და მოუხდელი სასჯელის ნაწილი – 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე დამატებითი სასჯელის მოუხდელი ნაწილი – ჯარიმა 1816.82 ლარი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ვ. გ-ს სასჯელის ზომად განესაზღვროს 8 (რვა) წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახედ დაეკისროს ჯარიმა – 1816.82 ლარი. მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2017 წლის 12 აგვისტოდან.

3. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობის მცდელობა

განაჩენი
საქართველოს სახელით

№698ა3-19 5 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
შ. თადუმაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორ ლაშა ფანჩულიძის, მსჯავრდებულ ლ. ძ-ს, მსჯავრდებულ ვ. მ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – ზ. გ-სა და მ. ა-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 28 მაისის განაჩენით:

ვ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 30000 ლარი. საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 2017 წლის 30 აგვისტოდან 2018 წლის 22 მარტის ჩათვლით პატიმრობაში გატარებული ვადის გათვალისწინებით, ვ. მ-ს დანიშნული სასჯელი შეუმცირდა და საბოლოოდ სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 25000 ლარი.

გაუქმდა ვ. მ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და ყადაღა უნდა მოეხსნას თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 5 აპრილის განჩინებით, გირაოს თანხის უზრუნველსაყოფად ყადაღადადებულ უძრავ ქონებას (მესაკუთრე: რ. მ., პ/ნ ...; მდებარე მისამართზე: თ.; საკადასტრო კ.).

ლ. ძ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 20000 ლარი. საქართველოს სსკ 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 2017 წლის 30 აგვისტოდან 2018 წლის 28 მაისის ჩათვლით პატიმრობაში გატარებული ვა-

დის გათვალისწინებით, ლ. ძ-ს დანიშნული სასჯელი შეუმცირდა და საბოლოოდ სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 10000 ლარი.

გაუქმდა ლ. ძ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სხდომის დარბაზშივე.

2. გასაჩივრებული განაჩენით ვ. მ-სა და ლ. ძ-ს მსჯავრი დაედოთ თაღლითობის მცდელობაში ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი დიდი ოდენობით ნივთის მოტყუებით დაუფლების მცდელობაში, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ვ. მ-მ ქ.თბილისის მ-ს ა-ს ს-ს უფროსის ყოფილ მოადგილესთან – ლ. ძ-სთან შეთანხმებით, დიდი ოდენობით ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლების მიზნით, 2016 წლის ივლისში მოქალაქე ი-ს შესთავაზა, რომ ისინი შეძლებდნენ ქ. თ., დ-ს ტერიტორიაზე მდებარე ოთხ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებას, რისთვისაც ი-ს მ-ს თანამშრომლებისთვის გადასაცემად ჯამში 38000 აშშ დოლარი მოსთხოვა.

2016 წლის 11 აგვისტოდან 2017 წლის 30 აგვისტოს პერიოდში ქ. თ., ყ. ი-მ ეტაპობრივად გადასცა მათ მიერ მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 15000 აშშ დოლარი, რასაც ლ. ძ. და ვ. მ. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ და ცდილობდნენ შეთანხმებული თანხის დარჩენილი ნაწილის მოტყუებით მიღებასაც.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა.

ბრალდების მხარე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა განაჩენში ცვლილების შეტანას და ორივე მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის დამძიმებას – სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას, ხოლო დაცვის მხარე – განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულების გამართლებას.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 28 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორი ლაშა ფანჩულიძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას სასჯელის დამძიმების კუთხით და მსჯავრდებულების – ვ. მ-ს და ლ. ძ-სათვის უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდებას.

მსჯავრდებული ლ. ძ. საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

მსჯავრდებულ ვ. მ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატები – ზ. გ. და მ. ა. საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და ვ. მ-ს უდანაშაულოდ ცნობას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. გასაჩივრებული განაჩენის თანახმად, ლ. ძ-ს დანაშაულში ჩართულობაზე პირდაპირ მიუთითებს საქმეში არსებული ფარული აუდიოჩანაწერები, საიდანაც აშკარად დასტურდება, რომ მსჯავრდებულები ერთმანეთთან შეთანხმებით მოქმედებენ და ლ. ძ-ს მოქმედებები არ წარმოადგენს კონსულტაციებს და ინფორმაციის მიწოდებას. სააპელაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ასევე იმ გარემოებაზეც, რომ ლ. ძ. ინტერესდება თუ, როდის გადაიხდიან თანხის მეორე ნაწილს, რაც სასამართლოს აზრით გამორიცხავს მსჯავრდებულის პოზიციას, რომ ის კონსულტაციის გაწევაში იღებდა ვ. მ-საგან თანხას. კერძოდ, სააპელაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს შემდეგზე:

2016 წლის 8 აგვისტოს ი-სა და ლ. ძ-ს შეხვედრის შემდეგ, იმავე დღეს 18:29:00–18:29:40სთ. ვ. მ-ს და ლ. ძ-ს შორის განხორციელებული სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერის თანახმად, ვ. მ-მ ლ. ძ-ს აცნობა, რომ თანხა ჩაირიცხებოდა ხუთშაბათს (11 აგვისტოს).

2016 წლის 10 აგვისტოს, 18:26:17 – 18:27:05 სთ. ვ. მ-სა და ლ. ძ-ს შორის განხორციელებული სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერის თანახმად, ვ. მ-მ ლ. ძ-ს სთხოვა – „გაუშვი ის თემა...“ „ხვალ დაგირეკავ და რომელ იმაზე ჩავრიცხო, ის მითხარი. ორ საათზე უნდა მოიტანონ ხვალ, ეგრე მითხრეს ეხლა“, რაზეც ლ. ძ. დაპირდა, რომ ეტყვის და გაუშვებენ“.

იმავე დღეს, 19:28:59 სთ-ზე ვ. მ-სათვის ლ. ძ-ს მიერ გაგზავნილი მოკლეტექსტური შეტყობინებით დგინდება, რომ ამ უკანასკნელმა ვ. მ-ს გაუგზავნა პირადი მონაცემები და „თ. ბ. გახსნილი ანგარიშის რეკვიზიტები.

მას შემდეგ, რაც ვ. მ-მ 2016 წლის 11 აგვისტოს ი-საგან მიიღო 5000 აშშ დოლარი, იმავე დღეს, 14:32:01 – 14:32:50 სთ-ზე ვ. მ-სა და ლ. ძ-ს შორის განხორციელებული სატელეფონო საუბრის აუდიო ჩანაწერით ირკვევა, რომ ვ. მ-მ ლ. ძ-ს აცნობა საბანკო ანგარიშზე სამჯერადად 600 აშშ დოლარის დარიცხვის შესახებ და დაპირდა დარჩენილი 200 აშშ დოლარის ჩარიცხვასაც.

„თ.“ ბ. გამოთხოვილი, ლ. ძ-ს ანგარიშის ამონაწერის თანახმად,

2016 წლის 11 აგვისტოს ლ. ძ-ს მართლაც დაერიცხა სამჯერ 600 აშშ დოლარი და 200 აშშ დოლარი, ჯამში – 2 000 აშშ დოლარი.

2016 წლის 24 აგვისტოს, 14:44:52-14:49:58 სთ. ინტერვალში ვ. მ-სა და ლ. ძ-ს შორის წარმოებული მიმოწერის ამსახველი მოკლეტექსტური შეტყობინებების თანახმად, ლ. ძ. დაინტერესდა, თუ როდის ჩარიცხავდნენ თანხის მეორე ნაწილს – „მეორე ნაწილს როდის იძლევიან", რაზედაც ვ. მ. პასუხობს: „გ"-ზე რომ შეიტანენ და მინდა რო დავალება მალე გამოვიდეს რო ავატვირთინო." ლ. ძ. ვ. მ-ს პირდება, რომ ს-ში გაარკვევს გადაგზავნილი აქვთ თუ არა პროექტი ა-ს ს-ში.

2016 წლის 7 სექტემბერს, 13:45:56 სთ-ზე ვ. მ-ს და ლ. ძ-ს შორის განხორციელებული სატელეფონო საუბრის თანახმად ვ. მ. ლ. ძ-ს ეუბნება: „იმ თემაზე ხომ არაფერი არ არის ახალი. ს-დან წესით გუშინ წინ უნდა წამოსულიყო....აბა მოიკითხე, რომ მეორე ეტაპიც მოვაყომაროთ ბარემ და მერე მესამე ეტაპი დავიწყოთ...", რაზეც ლ. ძ. დაპირდა ა-ს ს-ში საკითხის გარკვევას.

2016 წლის 7 სექტემბერს, 13:56:14-13:58:21 სთ-ზე განხორციელებული სატელეფონო საუბრის თანახმად, ლ. ძ. დაუკავშირდა ნ. ა-ს – „ამას წინათ რომ გკითხე, თუ გახსოვს, აი დ-ში რომ არის გ-ს დავალება, დიდი ტერიტორიები...", რაზეც ნ. ა-მ მიუგო – „ახლა ჩამოვიდა, დღეს მოვიდა ს-დან და ახლა ჩამოწერენ", მანვე დაუდასტურა, რომ პასუხი იყო დადებითი.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით". ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა". მტკიცებულებითი სტანდარტი – „გონივრულ ეჭვს მიღმა", ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. ამდენად, უნდა დადგინდეს, რა ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადასტურების შესაძლებლობას იძლევა თითოეული მტკიცებულება და აკმაყოფილებს თუ არა მათი ერთობლიობა „გონივრულ ეჭვს მიღმა" მტკიცებულებით სტანდარტს.

4. სააპელაციო სასამართლოში მსჯავრდებულმა ლ. ძ-მ დასკვნით სიტყვაში განაცხადა, რომ 38000 აშშ დოლართან დაკავშირებით მან პირველად სასამართლოში გაიგო. ის მხოლოდ კონსულ-

ტაციას უწევდა ვ. მ-ს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, მისივე თქმით, ის 2016 წლის მარტიდან უკვე აღარ მუშაობდა ქ. თ-ის მ-ში. შეკითხვაზე, თუ მ-ში აღარ მუშაობდა, მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით როგორ უწევდა კონსულტაციას ვ. მ-ს, მან განაცხადა, რომ ვ. მ-ს მისი გამოცდილებიდან გამომდინარე აწვდიდა ინფორმაციას.

5. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას ნ. ა-მ განაცხადა, რომ ს-ში შევიდა განაცხადი გ-ს პროექტთან დაკავშირებით. საკითხი წარდგენილი იყო ზონალურ საბჭოზე. ამ საქმის წარმოებისთვის რამდენჯერმე მოუწიათ განუხილველის სტატუსის მინიჭება. სადღაც 2017 წლის აგვისტოსკენ სრულიად შესწორებული დოკუმენტაციის საფუძველზე მ-ს შუამდგომლობით გადაიგზავნა საკითხი ს-ში განკარგულების გამოსაცემად და პროექტის შესათანხმებლად. საბოლოოდ დამტკიცდა აღნიშნული გ-ს პროექტი კანონის სრული დაცვით. ამ პროექტის ავტორი იყო ვ. მ. ვინაიდან თავად (ნ. ა.) ესწრებოდა ზონალური საბჭოს სხდომებს იგი შეხვედრია ვ. მ-ს. ნ. ა-ს განმარტებით, მათ ს-ში არის პრაქტიკა და აქვთ ვალდებულება შეხვდნენ მოსახლეობასა და პროექტზე მომუშავე პირებს და გაუწიონ კონსულტაცია. ვ. მ-ს შეხვდა ლ. ძ-ს თხოვნით კონსულტაციებთან დაკავშირებით და ჩაინიშნა ოფიციალური შეხვედრა. ლ. ძ. მთელი ამ პროცესის მანძილზე არ უნახია ამ პროექტთან დაკავშირებით.

6. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას ზ. ე-მ განაცხადა, რომ მუშაობდა მ-ს ა-ს ს-ში. იგი მეგობრობს ლ. ძ-სთან, ერთად მუშაოდნენ სხვადასხვა პროექტებზე. რაც შეეხება ამ კონკრეტულ პროექტს, ახსოვს რომ იყო დიდი პროექტი. მოწმის განმარტებით, ზოგადად, მხარეებს ყველა პროექტზე სჭირდებოდათ კონსულტაციები და მათაც ვალდებულება გააჩნდათ გაეცათ პასუხი მხარეთა კითხვებზე – ვადებზე, გადაიგზავნა თუ არა პროექტი შესაბამის დაწესებულებაში და ა.შ. ლ. ძ-სთანაც სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით ჰქონდა ურთიერთობა. ზოგადად, ყველას აქვს უფლება იკითხოს შემოტანილი განცხადების ბედი.

7. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას ნ. ყ-მ განაცხადა, რომ იცნობს და მეგობრობს ლ. ძ-სთან, ერთად მუშაოდნენ სხვადასხვა პროექტებზე. რაც შეეხება ამ კონკრეტულ პროექტს, ნ. ყ-მ ვერ გაიხსენა დეტალურად რა მიწის ნაკვეთზეა საუბარი, მაგრამ აღნიშნა, რომ დღის განმავლობაში მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით მის მობილურ ტელეფონში შედის უამრავი ტექსტური შეტყობინება და ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია საჯაროა.

8. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას ა-მ განაცხადა, რომ იგი მეგობრობს ლ. ძ-სთან, იყვნენ თანამშრომლები, ლ. ძ-ს მასთან გ-ს თემაზე არასდროს უსაუბრია, შეტყობინებით მოთხოვნილი იყო ხარვეზის ვადის გაგრძელების თაობაზე ინფორმაცია, ეს მოთხოვნილი ინფორმაცია არის საჯარო.

9. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას გ. ძ-მ განაცხადა, რომ არის ლ. ძ-ს მეგობარი. ამჟამად მუშაობს კერძო სექტორში. მანამდე მუშაობდა თბილისის ა-ს ს-ს სანებართვო განყოფილებაში. მისი მოვალეობა იყო შემოსული განცხადებების განხილვა და შესაბამისი ნებართვის გამოცემა. მისი განყოფილების თემა არ იყო გ-ს გეგმაზე მუშაობა, მაგრამ არ გამორიცხა, რომ რაღაც შეკითხვა ყოფილიყო მასთან ამ საკითხთან დაკავშირებით. გ. ძ-მ შეკითხვა ზუსტად ვერ გაიხსენა. მ-ში ჰქონდათ ტ-ს პროგრამა, სადაც იყო დარეგისტრირებული და შეეძლო იმის ნახვა, თუ ვის ეწერა განცხადება. ეს არის შიდა სისტემა და ჩანს ყველაფერი. ზოგადად, მათთან, ს-ში, იყო გაუსაძლისი მდგომარეობა იმ თვალსაზრისით, რომ იყო უამრავი საკითხი და ხშირი იყო იქ არსებული შიდა ვადების გადაცილება. მათ განყოფილებაში აბსოლუტურად საჯაროა ინფორმაცია და ნებისმიერ მის მეგობარს, მათ შორის ლ. ძ-ს, შეეძლო ეკითხა, მაგალითად, როდის იქნება პასუხი. მოწმემ არ გამორიცხა, რომ შეიძლება უთხრა კიდეც ლ-ს განცხადებაზე პასუხი ვადამდე ადრე, წინასწარ. რაც საჯარო ინფორმაციაა, შეეძლო ნებისმიერს გაეგო, მაგრამ მისი დახმარებით უფრო ადრე უპასუხა ლ. ძ-ს და ამაში ვერ ხედავს რაიმე დანაშაულს ან დარღვევას მისი მხრიდან. მოწმის განმარტებით, იგი არ იყო კომპეტენტური და ვერ გადაწყვეტდა გ-სთან დაკავშირებით ვერანაირ საკითხს. მოწმემ განაცხადა, რომ ის და ლ. ძ. არიან არქიტექტორები და არქიტექტორებს ერთმანეთთან აქვთ კომუნიკაცია, მის ნებისმიერ მეგობარს შეეძლო მიეწერა და ეკითხა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით როდის იქნებოდა პასუხი და მეტი კონკრეტიკის მიზნით მოწმეც განუმარტავდა ხარვეზებს.

10. 2016 წლის 15 სექტემბერს 13:33:16-13:35:12 სთ-ზე ვ. მ-სა და ლ. ძ-ს შორის განხორციელებული სატელეფონო საუბრის თანახმად, ლ. ძ. ვ. მ-ს ეუბნება: „...“ შუალედურის თემა შეიძლება იყოსთქო მანამდე, სანამ იმას გაიტანენ, მარა მე დაველაპარაკე მაგათაც, თუ რამე ისეთი არ იქნება, არ არის პრობლემაო რა, რამე სერიოზული დასახარვეზებელი თუ არ იქნება...“; „რომ ატვირთავ, მითხარი, რო დაველაპარაკო ამათაც.“

11. 2016 წლის 20 სექტემბერს, 11:52:09-11:54:38 სთ-ზე ვ. მ-ს და ლ. ძ-ს შორის განხორციელებული სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერის თანახმად, ლ. ძ-მ გააფრთხილა ვ. მ. „ეს დრაფტი რომ

გექნება, მაინც გადამახედე, რაღაც დონეზე მაინც გადავხედავ უცებ, რა“... „ნახევარფაბრიკატები არ შეიტანოთ თორემ არ გაიტანენ იმაზე ვაფშე საბჭოზეო“.

12. 2016 წლის 27 სექტემბერს 18:50:23 საათზე ლ. ძ-სათვის გაგზავნილი მოკლეტექსტური შეტყობინების თანახმად, ვ. მ. ატყობინებს: „ხვალ ვტვირთავ გ-ს.“, რაზეც ლ. ძ. პასუხობს: „რო ატვირთავ, მითხარი...“.

13. 2016 წლის 29 სექტემბერს, 11:50:40 – 11:57:24 სთ. ინტერვალში ვ. მ-სა და ლ. ძ-ს შორის წარმოებული მიმოწერის ამსახველი მოკლეტექსტური შეტყობინებების თანახმად, ლ. ძ-მ შეატყობინა – „მართლა ვ-ზე, დროის ამბავში როგორ ხართ? მე 7-ში იქით პარასკევს მივდივარ. 10 დღე არ ვიქნები სამშობლოში.“ „და გ. როდის შეგაქვთ? ამ კვირაში ასწრებთ?“, „რო ვუთხრა იქაც“, „აქ რო არ ვიქნები დაიკიდებენ“, რაზედაც ვ. მ-მ უპასუხა – „4-ში ფულს მოიტანენ“, „კი გავამზადე.“

14. 2016 წლის 7 ოქტომბერს, 19:57:11 – 19:58:12 სთ. განხორციელებული სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერით დგინდება, რომ ლ. ძ. უკავშირდება ა-ს ს-ს თანამშრომელს გ. ძ-ს: „ზ-ს მე ველაპარაკე, აქ გ. შეგვაქვს და იმის გატანა გვინდა ხუთშაბათს, გაიგე და ველაპარაკე, იცის მეთქი და შეგაწუხებ მეთქი რა“.

15. 2016 წლის 27 ოქტომბერს, 15:35:28 – 15:38:34 სთ. განხორციელებული სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერის კრებსით დგინდება, რომ ლ. ძ. დაუკავშირდა ვ. მ-ს და შეატყობინა: „ვ., ველაპარაკე რა იქ... რაღაც ესენია. ძირითადად არის უფრო გრაფიკული ტიპის ისენი, რა, შენიშვნები გასაკეთებელია... ბევრი რაღაცეები ჩანს, რაღაცეები გამოსაყოფია და რაღაცა. ეხლა ჩამომიწერა ყველაფერი, რა, და ამ ჩამოწერილს გამომიგზავნის მეილზე და უკვე რომ დააწყებინო მაგას გაკეთებ... „ეხლა მანდ რაღაც ცვლილებებია, ის განყოფილების უფროსი წასულა, ეხლა სხვა არის მოვალეობის შემსრულებელი და მაქსიმუმ შაბათ-კვირას, ან მაქსიმუმ ორშაბათს დაახარვეზებენ და ეგრევე რომ შევიტანოთ, რა“, „ჰო, მანამდე გადავხედავთ კიდეც და თუ რაღაცაა დავურეკავთ კიდეც. ის არის ლ. იხილავს. ხომ იცი ლ., მ-ს ქმარი?“, „ჰოდა, პრობლემა არ არისო, რა. ამ ყველაფერს აგზავნის, მოგცემ მე შენ“. ლ. ძ. ვ. მ-ს უთანხმდება: „იცი რა ვქნათ, „ვაფშე“? მაგეებს გამოგიგზავნი, რაღაცეებს რომ გამომიგზავნიან და სანამ ატვირთავ, რომ შევახედოთ, რა, „ვაფშე“... გამომიგზავნე, მეც გადავხედავ და ლ-საც ვთხოვ, რომ გადაავლოს თვალი, რომ მერე საბჭოზე რომ იმასა ვქნა, რა...“.

16. ამდენად, საქმის მასალებით ლ. ძ-ს მიერ წარმოებული მიმოწერის და აუდიო ჩანაწერების ამსახველი მოკლეტექსტური შეტ-

ყობინებებით დასტურდება, რომ ლ. ძ. ეხმარებოდა ვ. მ-ს გ-ს პროექტთან დაკავშირებულ საკითხებში კონსულტაციებით, პირადი კონტაქტებით (მასთან დაახლოებული პირები, რომლებიც შემხებლობაში იყვნენ მ-ს ა-ს ს-თან) გ-სთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მოპოვების, თუ რა ეტაპზეა პროექტი, რა ქნა ს-მ, მოეწერა თუ არა ხელი, გაეგზავნა თუ არა ა-ს, პროექტის ავკარგიანობის, გასასწორებელი ხარვეზების და ა.შ. შესახებ, რაც დასტურდება როგორც საქმეში წარმოდგენილი კრებსებით, ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული მოწმეების (ნ. ა-ს, ზ. ე-ს, ა. ე-ს, გ. ძ-ს და სხვათა) ჩვენებებით (მაგალითად, საქმეში არსებულ კრებსებში მოცემულია „ზ-სა“ და ლ. ძ-ს საუბარი: „ამას წინათ რომ გკითხე, საბჭოზე რომ იყო გასული და დადებითად გამოვიდა ის დავალებები როდის იგზავნება ს-ში? ზ.: დავალებებს დღეს ვაგზავნი ცხრას თუ რვას“).

17. თავად მსჯავრდებული ვ. მ-ს ჩვენებითაც დასტურდება, რომ დაუკავშირდა მეგობარს, მთავარი ა-ს ყოფილ მოადგილეს – ლ. ძ-ს, რომელიც ახალი რეგულაციებით მოცემული საკითხების სპეციალისტი იყო, სთხოვა მას კონსულტანტობა გაეწია მისთვის და გასამრჯელოდ 6000 დოლარს დაპირდა. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ ლ. ძ. საქმის კურსში იყო თუ რა გზით იქნა მოპოვებული ვ. მ-ს მიერ ის თანხა, რომლის ნახევარსაც ეს უკანასკნელი, მიღებისთანავე, საბანკო ანგარიშზე ურიცხავდა.

18. 2016 წლის 4 ოქტომბერს ი-სთან შეხვედრის შემდეგ, იმავე დღეს, 13:36:16 – 13:38:10 სთ. განხორციელებული სატელეფონო საუბრის ამსახველი აუდიოჩანაწერით, ვ. მ-მ ლ. ძ-ს აცნობა – „ეხლა ვიყავი შეხვედრაზე, ჰოდა, ამ /.../ პროექტი ვერ დაამთავრეს... ჰოდა, ორშაბათს იქნება თანხაო. მეთქი, არ მაინტერესებს ეგენი პროექტს დაამთავრებენ, თუ არ დაამთავრებენ, იქ მეთქი, თანხა მისაცემია-მეთქი, მკიდია მეთქი. ჰოდა, კაიო, ორშაბათს მოგცემთო თანხასო ყველა ვარიანტშიო, უსიკვდილოდო.“ ლ. ძ-მ ვ. მ-ს უთხრა – „ორშაბათს არ ვიქნები მე აქეთ“-ო, ვ. მ-მ უპასუხა – „ჰოდა, ჩაგირიცხავ, მაშინ როგორც ჩაგირიცხე“-ო.

19. სსკ-ის 180-ის მე-3 ნაწილით ჯგუფურობით ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელია თითოეულ ბრალდებულთან მიმართებით მისაკუთრების/ ქონებრივი სარგებლის მოტყუებით ან დაზარალებულის ნდობის ბოროტად გამოყენებით მტკიცება. შესაბამისად, საქმეში არსებული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით უნდა დასტურდებოდეს ლ. ძ-ს და ვ. მ-ს არა მხოლოდ ერთობლივი საქმიანობა არამედ ლ. ძ-ს მიერ დაზარალებულის მოტყუება/ ნდობის ბოროტად გამოყენება. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს (თანაბარმნიშვნელოვანია) თავად / უშუალოდ

ახორციელებს მოტყუებას, თუ სხვა პირის მეშვეობით. შესაბამისად, უნდა დასტურდებოდეს ან ლ. ძ-ს მიერ უშუალოდ მოტყუება/ნდობის ბოროტად გამოყენება ან ის გარემოება, რომ მისთვის ცნობილი იყო ვ. მ-ს მიერ დაზარალებულის მოტყუების ან ნდობის ბოროტად გამოყენების შესახებ ქონებრივი სარგებლის მიღების მიზნით. თანხის თანაბრად ან სხვა პროპორციით გაყოფა/განაწილება თავისთავად არ ადასტურებს შეთანხმებულ მონაწილეობას საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში.

20. უსაფუძვლოა განაჩენის მსჯელობა, თითქოს საქმეში არსებული მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ ვ. მ. მოთხოვნილი თანხის – 38000 აშშ დოლარის მისაკუთრებას მოტყუებით ლ. ძ-სთან ერთად აპირებდა. აღნიშნული არ დასტურდება არც 2016 წლის 15 სექტემბერს 13:33:16-13:35:12 სთ.-ზე ვ. მ-სა და ლ. ძ-ს შორის განხორციელებული სატელეფონო საუბრით, რომლის თანახმად, ვ. მ. ლ. ძ-ს ეუბნება: „ვეჭიდავები, რომ შეიტანონ და ამ დეგენერატებს ვერტიკალები არ აქვთ გაკეთებული. მაგრამ არასრულყოფილია პროექტი კიდე და დღეს ამზადებენ რაღაცეებს, რომ ხვალ უნდა გავუშვა“... „დღეს რაღაცეებს ამზადებენ, ამ საღამოს უნდა ვნახო ეგ პროექტი და ხვალ ყველა ვარიანტში ავატვირთინებ რა, როგორიც არ უნდა იყოს“; „ხვალ გავაშვებინებ ყველა ვარიანტში და ისინი მზად არიან, რო... ანუ როგორი თემაა იცი? საპროექტო ერთი ნაწილის არის და მეორე ნაწილი არის, ვინც იხდის რა და ისინი მზად არიან, რომ გადაიხადონ, „პროსტა“ ამათ ელოდებიან, რომ ატვირთონ“. ლ. ძ. ვ. მ-ს, თავის მხრივ, ეუბნება: „შუალედურის თემა შეიძლება იყოს-თქო მანამდე, სანამ იმას გაიტანენ, მარა მე დაველაპარაკე მაგათაც, თუ რამე ისეთი არ იქნება, არ არის პრობლემაო რა, რამე სერიოზული დასახარვეზებელი თუ არ იქნება...“; „რომ ატვირთავ, მითხარი, რო დაველაპარაკო ამათაც“. და არც 2016 წლის 4 ოქტომბერს ი-სთან შეხვედრის შემდეგ, იმავე დღეს, 13:36:16 - 13:38:10 სთ. განხორციელებული მსჯავრდებულებს შორის სატელეფონო საუბრის ამსახველი აუდიოჩანაწერით, რომლის თანახმად, ვ.: „ორშაბათს იქნება თანხაო. მეთქი არ მაინტერესებს, ეგენი პროექტს დაამთავრებენ თუ არ დაამთავრებენ, იქ მეთქი, თანხა მისაცემია მეთქი, მკიდია მეთქი. ჰოდა კაიო, ორშაბათს მოგცემთო თანხასო ყველა ვარიანტშიო, უსიკვდილოთო. ლ-ი: ჰო ორშაბათს არ ვიქნები მე აქეთ. ვ.: ჰოდა ჩაგირიცხავ მაშინ როგორც ჩაგირიცხე. ლ.: ჰო, კაი ბატონო.

21. 2016 წლის 1 აგვისტოს ი-სა და ვ. მ-ს შეხვედრის ამსახველ აუდიოვიდეოჩანაწერის კრებსის თანახმად, მათ შორის საუბრისას აღნიშნულია, რომ ვ. მ-ს თანხა სრულად მიჰქონდა მ-ში და თავად

მხოლოდ შუამავლის ფუნქციას ასრულებდა. 2016 წლის 11 აგვისტოს ვიდეო-/აუდიოჩანაწერის თანახმად, ვ. ეუბნება ი-ს: მე არ მჭირდება ფულის გადათვლა, ვისაც ჭირდება იმან გადათვალოს. ასევე ეუბნება, რომ როგორც შეთანხმდნენ პირველი ეტაპი გადაილახა ჩვეულებრივ, მეორე ეტაპზე კი ერთი გაჭედვა მოხდებოდა. საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზით არ დგინდება, რომ ვ. მ. უშუალოდ ლ. ძ-ს გულისხმობს.

22. 2016 წლის 29 სექტემბერს დაზარალებულ ი-სა და ვ. მ-ს შორის განხორციელებული სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერის კრებსის თანახმად, ვ. მ. ეუბნება ი-ს – „დღეს უნდა მივიდე ერთ პიროვნებასთან, უნდა შევახედო", თუმცა იმავე დღეს მოგვიანებით აღნიშნული საუბრის შემდეგ ბრალდებულებს შორის შემდგარი საუბრის თანახმად, ვ. მ. არ აპირებს ლ. ძ-სთვის აღნიშნული პროექტის ჩვენებას.

23. 2016 წლის 13 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც ი-მ ქ. თ. ა.მდებარე კაფე-ბარ „კ-ში" შეხვედრისას ვ. მ-ს გადასცა შეთანხმებული თანხა – 5 000 აშშ დოლარი, „თ." ბ. გამოთხოვილი ლ. ძ-ს ანგარიშის ამონაწერით დგინდება, რომ 2016 წლის 13 ოქტომბერს ლ. ძ-ს ოთხჯერადად ჩაერიცხა 600 აშშ დოლარი და 100 აშშ დოლარი ანუ ჯამში 2500 აშშ დოლარი.

24. საქმეში არსებული ვ. მ-სა და ლ. ძ-ს შორის განხორციელებული სატელეფონო საუბრები და მიმოწერა ადასტურებს ვ. მ-ს და ლ. ძ-ს შორის ურთიერთობას ზემოაღნიშნული გ-ს პროექტის დამტკიცების საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ვერ ადასტურებს რომ ვ. მ-ს მიერ ჩარიცხული თანხა არ წარმოადგენს გასამრჯელოს გაწეული კონსულტაციის ან დახმარებისთვის, ისევე როგორც საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით ვერ დასტურდება რომ ლ. ძ. არის სწორედ ის პირი, ვისაც გულისხმობს ვ. მ. დაზარალებულთან კომუნიკაციისას.

25. ანალოგიურად, ზემოაღნიშნული აუდიო-/ვიდეოჩანაწერი, სადაც მსჯავრდებული ვ. მ. ამბობს რომ შედარებით რთული იქნება მომდევნო ეტაპი – უშუალოდ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება, რაც წინასწარ შეთანხმებას საჭიროებს იმ პიროვნებასთან, რომელიც მ-ის ა-ის ს-ში განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებაში ეხმარება, უტყუარად არ ადასტურებს რომ ლ. ძ. სწორედ ის პირი ვისაც გულისხმობს ი-სა და ვ. მ–ს შორის შემდგარ საუბარში ეს უკანასკნელი. მით უფრო რომ საქმის მასალებით არ დასტურდება არც ის გარემოება რომ ლ. ძ-მ იცოდა ვ. მ-სა და ი. ი-ს შორის წარმოებული მოლაპარაკების დეტალები (როგორც სამუშაოს მოცულობა – ე.წ. „მესამე ეტაპი", ასევე მოთხოვნილი თანხის ოდენობა) და ჰქონდა დაზარალებულის ნდო-

ბის ბოროტად გამოყენებით/ მოტყუებით ქონებრივი სარგებლის მიღების განზრახვა.

26. საქმის მასალებით დასტურდება რომ ლ. ძ. ინფორმირებულია მხოლოდ 6000 აშშ დოლარის თაობაზე. 2016 წლის 24 აგვისტოს ჩანაწერის თანახმად:

ლ.: გუშინ იმას ვურეკავდი იმ ზ-ს იმაზე და გუშინ ვერ მიპასუხა და დღეს კიდე დაველაპარაკები.

ვ.: დაელაპარაკე აბა და ისენიც მე მირეკავენ რა ხდებაო მაგაზეო და.

ლ.: ჰო კაი.

ვ.: კაი. და მანდ მესამე ეტაპიც უნდა გავაკეთოთ.

ლ. ჰა?

ვ.: მესამე ეტაპზეც უნდა გავიდეთ.

ლ.: ჰო.

ვ.: მესამე ეტაპი უფრო „კაი პონტია".

ლ.: გასაგებია.

ვ.: კაი.

27. აღნიშნული საუბრების ერთობლივი ანალიზი უტყუარად ვერ ადასტურებს რომ ლ. ძ. და ვ. მ. შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ლ. ძ. სწორედ ამ სატელეფონო საუბრიდან იგებს, რომ ეს საქმე შესაძლებელია კიდევ გაგრძელდეს (ე.წ. „მესამე ეტაპი"), მაგრამ არ ინტერესდება რა არის ეს „კაი პონტი" ან რა სარგებელი უნდა მიეღო მას.

28. ე.წ. „მესამე ეტაპის" შესახებ ვ. მ. ესაუბრება ასევე სხვა მამაკაცს (იხ. 2016 წლის 16 ოქტომბრის ჩანაწერის კრებსი). კერძოდ:

ვ.: მომისმინე, რასთან დაკავშირებით გირეკავ, ხვალ შენ და დ. სადღაც 12-ის მერე საით იქნებით?

მ: ს-ში.

ვ.: ს-ში იქნებით ორივე.

მ: ალბად.

ვ.: ე.ი. რომ მოვიდე, გნახავთ ორივეს. იმ თემასთან დაკავშირებით ბიჭო, რაღაცეები ამოძრავდა და.

მ: რავი, დარეკე, არამგონია, რომ სადმე ვიყოთ გასული და ხვალაც ს-ში ვიქნები.

ვ.: ანუ მესამე ეტაპი იწყება რა და მესამე ეტაპზე განაცხადები ახლა იწყება და სამუშაო იწყება იანვრიდან, მარა განაცხადები ახლავე იწყება რა, კომპანიების.

მ: ჰო გამოდი და დავილაპარაკოთ, ვნახოთ რა.

ვ.: ჰო.

29. საქმეში არსებული 2016 წლის 27 ოქტომბრის სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერის კრებსით დგინდება, რომ ლ. ძ. დაუკავ-

შირდა ვ. მ-ს და შეატყობინა – „ვ., ველაპარაკე რა იქ...რაღაც ესენია. ძირითადად არის უფრო გრაფიკული ტიპის ესენი, რა, შენიშვნები გასაკეთებელი...ბევრი რაღაცეები ჩანს, რაღაცეები გამოსაყოფია და რაღაცა. ეხლა ჩამომიწერა ყველაფერი რა, და ამ ჩამოწერილს გამომიგზავნის მეილზე და უკვე რომ დააწყებინო მაგას გაკეთება... „ეხლა მანდ რაღაც ცვლილებებია, ის განყოფილების უფროსი წასულა, ეხლა სხვა არის მოვალეობის შემსრულებელი და მაქსიმუმ შაბათ-კვირას ან მაქსიმუმ ორშაბათს დაახარვეზებენ და ეგრევე რომ შევიტანოთ, რა“. „ხო, მანამდე გადავხედავთ კიდეც და თუ რაღაცაა დავურეკავთ კიდეც. ის არის ლ. იხილავს. ხომ იცი ლ., მ-ს ქმარი?“. „ჰოდა, პრობლემა არ არისო რა. ამ ყველაფერს აგზავნის, მოგცემ მე შენ“. როცა ლ. ძ. დაინტერესდა ვინ აკეთებდა პროექტს, ვ. მ-მ უთხრა – „ბ. არიან და...“. „და ჩემი სახელით გადის“. საბოლოოდ ლ. ძ. ვ. მ-ს შეუთანხმდა – „იცი რა ვქნათ „ვაფშე?“ მაგეებს გამოგიგზავნი, რაღაცეებს რომ გამომიგზავნიან და სანამ ატვირთავ, რომ შევახედოთ, რა, „ვაფშე“ ... გამომიგზავნე, მეც გადავხედავ და ლ-საც ვთხოვ, რომ გადაავლოს თვალი, რომ მერე საბჭოზე რომ იმასა ვქნა, რა“...

30. ამდენად, ლ. ძ-ს ბრალეულობის დაფუძნება პრაქტიკულად შემდეგ 3 ძირითად არგუმენტზე, ერთი მხრივ 2016 წლის 24 აგვისტოს მსჯავრდებულებს შორის წარმოებული მიმოწერისას ლ. ძ-ს დაინტერესებაზე „მეორე ნაწილს როდის იძლევიან“, 2016 წლის 15 სექტემბრის სატელეფონო საუბრისას ვ. მ-ს ნათქვამზე, რომ „ხვალ გავაშვებინებ ყველა ვარიანტში და ისინი მზად არიან, რო... ანუ როგორი თემაა იცი? საპროექტო ერთი ნაწილის არის და მეორე ნაწილი არის, ვინც იხდის რა და ისინი მზად არიან, რომ გადაიხადონ, „პროსტა“ ამათ ელოდებიან, რომ ატვირთონ“; 2016 წლის 4 ოქტომბერს მსჯავრდებულებს შორის განხორციელებული სატელეფონო საუბრისას ვ. მ-ს ნათქვამზე რომ „ეხლა ვიყავი შეხვედრაზე, ჰოდა, ამ /.../ პროექტი ვერ დაამთავრეს... ჰოდა, ორშაბათს იქნება თანხაო. მეთქი, არ მაინტერესებს ეგენი პროექტს დაამთავრებენ, თუ არ დაამთავრებენ, იქ მეთქი, თანხა მისაცემია-მეთქი, მკიდია-მეთქი. ჰოდა, კაიო, ორშაბათს მოგცემთო თანხასო ყველა ვარიანტშიო, უსიკვდილოდო“ ვერ ადასტურებს ლ. ძ-ს მხრიდან მოტყუების გზით მისაკუთრების მიზნის არსებობას.

31. საქმის მასალებით დასტურდება რომ ვ. მ-მ ლ. ძ-ს ორჯერ (2016 წლის 11 აგვისტოს და 13 ოქტომბერს) ჩაურიცხა დაზარალებულ ი. ი-სთვის გამორთმეული თანხიდან შესაბამისად 2000 და 2500 აშშ დოლარი. კერძოდ, 2016 წლის 8 აგვისტოს დაზარალებულთან შეხვედრის შემდეგ იმავე დღეს 18:29:00-18:29:40სთ ვ. მ-სა და ლ. ძ-ს შორის განხორციელებული სატელეფონო საუბრის აუდიოჩა-

ნაწერის თანახმად, ვ. მ-მ ლ. ძ-ს აცნობა, რომ თანხა ჩაირიცხებოდა ხუთშაბათს (11 აგვისტოს). 2016 წლის 10 აგვისტოს (18:26:17-18:27:05სთ) ვ. მ-სა და ლ. ძ-ს შორის განხორციელებული სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერის თანახმად, ვ. მ-მ ლ. ძ-ს სთხოვა „გაუშვი ის თემა, ხვალ დაგირეკავ და რომელ იმაზე ჩავრიცხო, ის მითხარი. ორ საათზე უნდა მოიტანონ ხვალ, ეგრე მითხრეს ეხლა“, რაზეც ლ. ძ. დაპირდა რომ ეტყოდა და გაუშვებდნენ. იმავე დღეს 19:28:59 სთ-ზე ვ. მ-სთვის ლ. ძ-ს მიერ გაგზავნილი მოკლეტექსტური შეტყობინებით დგინდება, რომ ამ უკანასკნელმა ვ. მ-ს გაუგზავნა პირადი მონაცემები და „თ.“ ბ. გახსნილი ანგარიშის რეკვიზიტები. მას შემდეგ, რაც ვ. მ-მ 2016 წლის 11 აგვისტოს ი. ი-სგან მიიღო პირველი 5000 აშშ დოლარი, იმავე დღეს 14:32:01-14:32:50 სთ-ზე ვ. მ-სა და ლ. ძ-ს შორის განხორციელებული სატელეფონო საუბრის აუდიო ჩანაწერით ირკვევა რომ ვ. მ-მა ლ. ძ-ს აცნობა საბანკო ანგარიშზე სამჯერადად 600 აშშ დოლარის და 200 აშშ დოლარის ჩარიცხვა (რაც დასტურდება საქმეში არსებული „თ. “ ბ. გამოთხოვილი ლ. ძ-ს ანგარიშის ამონაწერით).

2016 წლის 13 ოქტომბერს, მას შემდეგ რაც ი. ი-მ ქ. თ., ა. მდებარე კაფე-ბარ „კ“-ში შეხვედრისას ვ. მ-ს გადასცა შეთანხმებული თანხა – 5 000 აშშ დოლარი, „თ.“ ბ. გამოთხოვილი ლ. ძ-ს ანგარიშის ამონაწერით დგინდება, რომ იმავე დღეს ლ. ძ-ს ჩაერიცხა ჯამში 2500 აშშ დოლარი.

32. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების თავისებურება მისი ჩადენის ხერხში მდგომარეობს. ქონებრივი სარგებლის მიღება (ქონების დაუფლება ან ქონებაზე უფლების მოპოვება) უნდა განხორციელდეს მოტყუებით. შესაბამისად, არ არის საკმარისი მხოლოდ მატერიალური სარგებლის მიღება, აუცილებელია დადგინდეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი და დანაშაულის სპეციალური ხერხით – დაზარალებულის მოტყუებით/ ნდობის ბოროტად გამოყენებით – ჩადენა. მოტყუება, გულისხმობს ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯებას ან გარკვეულ გარემოებათა განზრახ დაფარვას ქონების მესაკუთრის შეცდომაში შეყვანის მიზნით (მაგალითად, წინასწარი შეცნობით ცრუ მონაცემების შეტყობინება ან იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დაფარვა, რომლის შეტყობინება სავალდებულო იყო დაზარალებულისათვის). „თაღლითობის შემადგენლობის ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს ის რომ დამნაშავე მოტყუების გზით ეუფლება სხვის კუთვნილ ნივთს, რომელსაც მოტყუებული პირი თავისი ნებით გადასცემს ან თავისი ნებით თმობს უფლებას მასზე (მაგ.იხ. უზენაესი სასამართლოს განაჩენი №2104ა3-07). შესაბამისად, ქმედების სსკ 180-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის აუ-

ცილებელია რეალობის დამახინჯებულად მიწოდების მტკიცება. ამასთან მნიშვნელობა არ აქვს მოტყუება გამოხატული იქნება აქტიური თუ პასიური ფორმით. მაგრამ ის გარემოება, რომ მსჯავრდებული ლ. ძ. ეუბნება ვ. მ-ს რა უნდა გადასცეს დამკვეთს – „შუალედური თემა შეიძლება იყოსთქო“ (საუბრის შინაარსის გათვალისწინებით), არ ადასტურებს დაზარალებულის მოტყუების განზრახვას უდავოდ. პირიქით, მსჯავრდებული აწვდის ინფორმაციას სავარაუდო შედეგების შესახებ (ანუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს).

33. კასატორი საჩივარში მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილ კრებსებში არცერთი ზარი თუ ტექსტური შეტყობინება არ ხორციელდება ლ. ძ-ს ინიციატივით, იგი ყოველთვის პასუხობს ვ. მ-ს ზარებსა თუ ტექსტურ შეტყობინებებს, რომლითაც უმეტეს შემთხვევაში აძლევს მას რჩევებს ან უზიარებს თავის მოსაზრებებს და ამდენად, აღნიშნული მტკიცებულებებით ვერ იქნება დადასტურებული ლ. ძ-ს და ვ. მ-ს მიერ ერთიანი განზრახვით დანაშაულის ჩადენა.

34. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ არის მსჯავრდებულებს შორის კომუნიკაციის ინიციატორი, ან ვინ ახორციელებს უშუალო კომუნიკაციას დაზარალებულთან. ამიტომ საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება დაცვის მხარის პოზიციას რომ ლ. ძ-ს უდანაშაულობა მტკიცდება მათ შორის იმ გარემოებითაც, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, ლ. ძ-ს არ ჰქონია შეხება დაზარალებულ ი-სთან (რაც დაადასტურა თავად დაზარალებულმაც) და მსჯავრდებულებს შორის კომუნიკაციის ინიციატორი ყოველთვის ვ. მ-ა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დაზარალებულთან უშუალო კონტაქტის არარსებობა a priori არ გამორიცხავს დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილეობას.

35. ამდენად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ლ. ძ. ვ. მ-ს ნამდვილად უწევდა კონსულტაციას, უზიარებდა გამოცდილებას და პირადი კავშირების მეშვეობით ეხმარებოდა პროექტთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებში, მათ შორის ინფორმაციის მოძიებაში (არკვევს რა მდგომარეობაა, როდის იგზავნება საბუთები და ა.შ.). თუმცა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა არ დასტურდება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი დიდი ოდენობით ნივთის მოტყუებით დაუფლების მცდელობაში ლ. ძ-ს მონაწილეობა.

36. საქმეში არსებული მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულმა ვ. მ-მ ისარგებლა რა იმ გარე-

მოებით, რომ ამხანაგობის წევრები და შპს „დ. გ-ს“ დამფუძნებლები მას მიიჩნევდნენ თბილისის მ-ს ა-ის ს-თან პირადი კავშირების მქონე არქიტექტორად, ვითომდა გავლენიანი თანამდებობის პირისთვის მისაცემად მათ მოსთხოვა 38000 აშშ დოლარი; თუმცა ვერ დგინდება უტყუარად ის გარემოება, რომ ამ თანხის მისაკუთრებას იგი ლ. ძ-სთან ერთად აპირებდა – დანაშაულებრივი კავშირი ვ. მ-სა და ლ. ძ-ს შორის.

37. სასამართლო ითვალისწინებს რომ მტკიცებულებები რომლებიც საფუძვლად ედება გამამტყუნებელ განაჩენს პირველ რიგში უნდა შეფასდეს მათი უტყუარობის და საკმარისობის თვალსაზრისით. საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის და 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას, რაც სსსკ მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე გულისხმობს მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში.

38. განაჩენი უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებას, დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან (El-Masri v The Former Yugoslav Republic of Macedonia, 39630/09, §151, ECtHR,13/12/2012; Hassan v The UK, 29750/09, §48, ECtHR,16/09/2014). საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს.

39. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ ადასტურებს ლ. ძ-ს ბრალეულობას მისთვის შერაცხულ ქმედებაში.

40. სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს ვ. მ-ს ბრალეულობის თაობაზე და მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მის მიერ ჩადენილი დანაშაული, კერძოდ:

41. პირველი ინსტანციის სასამართლოში დაზარალებულმა ი-მ

განმარტა, რომ არის შპს „დ. გ-ს“ მოწილის – მ. კ-ს დედა და ამ წილის ფაქტობრივი მფლობელი. 2015 წელს შპს „დ. გ-სა“ და „კ-ს“ შორის გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც საზოგადოებას ქ. თ., დ-ში მდებარე 38 500 m^2 მიწის ნაკვეთზე უნდა განეხორციელებინა დეველოპერული პროექტი – აეშენებინა საცხოვრებელი კორპუსები. მის მიერ მოძიებული იქნა ინვესტორი, არქიტექტორი და სამშენებლო კომპანია. არქიტექტორების – თ. მ-სა და ვ. გ-ს მიერ შემუშავებული იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმა (გ...), რომელსაც ქ. თბილისის ა-ის ს-ში შეტანის შემდეგ აღმოაჩნდა ხარვეზები. „კ-ს“ იურისტმა, ნ. წ-მ შესთავაზა, რომ „გ“-ს დამტკიცებაში დასახმარებლად საქმეში ჩაერთოთ შპს „ა-ს“ არქიტექტორი ვ. მ., რომელსაც იცნობდა სხვა პროექტიდან, სადაც იგი საკუთარ ვალდებულებას კეთილსინდისიერად და დიდი პროფესიონალიზმით ასრულებდა. პირველი შეხვედრა ვ. მ-სთან გაიმართა გ. მ-ს საკუთრებაში არსებულ ოფისში და მასში ასევე მონაწილეობდნენ ნ. წ., ნ. გ., ქ. ო., თ. მ., ზ. მ. და ამხანაგობის რამდენიმე წევრი. ნ. წ-მ შეკრებილ პირებს გააცნო ვ. მ., როგორც ქალაქის მ-ში კარგი კავშირების მქონე პიროვნება. თ. მ-ს შეკითხვაზე ვ. მ-მ თქვა, რომ მ-ის ა-ს ს-ის მიერ დადგენილი ხარვეზის გამოსწორება საქმეს არ უშველიდა, თუ მ-ში კონტაქტები არ ჰქონდათ და 40 000 აშშ დოლარი ითხოვა მათთვის სასურველი შედეგის მიღწევაში რომ დახმარებოდა. ამაზე თ. მ. გაბრაზდა, ყველაფერი კანონიერად კეთდება და ეს თანხა რაში უნდა გადავიხადოო, რაზეც ვ. მ-მ უპასუხა – მ-ში მიმაქვს, მაგრამ ვისთან – საიდუმლოაო. მათ შორის მოხდა კონფლიქტი, რა დროსაც ბილწსიტყვაობას და ფიზიკურ გაწევ-გამოწევასაც ჰქონდა ადგილი. მან გაიგონა, როგორ დაიქადნა ვ. მ-მ, რომ მის გარეშე ვერაფერს მიაღწევდნენ. ამ ინციდენტიდან ორი დღის შემდეგ ნ. წ-მ სთხოვა საერთო ენა გამოენახა ვ. მ-სთან, რადგან ის, მისი განმარტებით, ერთ-ერთი უძლიერესი სპეციალისტი და საქმის საუკეთესოდ მომგვარებელი იყო. ნ. წ-სთან ერთად შეხვდა ვ. მ-ს ა. მდებარე კაფე „კ-ში“, სადაც ეს უკანასკნელი დაპირდა საკუთარი კავშირების გამოყენებით დახმარებას. დაზარალებულის განმარტებით, ორი შეხვედრის მანძილზე ვ. მ-ს ქცევა საეჭვოდ ეჩვენა, იფიქრა, რომ იგი „მოგზავნილი“ იყო და უკანონობაში ჩათრევით მისთვის ზიანის მიყენება სურდა. აღნიშნულის გამო, მიმართა სამართალდამცავ ორგანოს და დანაშაულში ვ. მ-ს მხილების მიზნით, თანხმობა განაცხადა მონაწილეობა მიეღო ფარულ საგამოძიებო მოქმედებებში. მას შემდეგ, არაერთხელ შეხვდა ვ. მ-ს და გადასცა მის მიერ მოთხოვნილი თანხის ნაწილი. ვ. მ-მა უთხრა, რომ მასთან ხელშეუხებელმა მაღალჩინოსანმა გამოგზავნა შეტყობინებით, რომ თუ შეთანხმებულ თანხას

არ გადაიხდიდა, „გ.“ დაიბლოკებოდა და არ დამტკიცდებოდა. მანვე ითხოვა, რომ 38 000 აშშ დოლარი გადახდილიყო სამ ეტაპად, ორჯერ 5 000-5 000 და ბოლოს – 28 000 აშშ დოლარის ოდენობით. შეხვედრებისას ვ. მ. ეუბნებოდა, რომ თანხა სრულად მიჰქონდა იმ გავლენიან პირთან, თავად საქმეში არანაირი მატერიალური დაინტერესება არ გააჩნდა. მისივე დაპირებით „გ.“ დამტკიცდებოდა სამ თვეში, მაგრამ, რეალურად, დაშვებული უამრავი ხარვეზის და საქმეზე მის მიერ მოგონილი სხვადასხვა მიზეზით (ხან მაღალჩინოსნის, ხან კი თავად ვ. მ-ს საზღვარგარეთ ყოფნა, გულის ოპერაცია, საბჭოს შემადგენლობის შეცვლა და ა. შ) თითქმის ერთი წლის განმავლობაში გაჭიანურდა ეს პროცესი. ამხანაგობის წევრებს ეჭვიც კი შეეპარათ იმაში, რომ საქმის გაჭიანურება განპირობებული იყო მის მიერ აღებული ვალდებულების შეუსრულებლობით – ვ. მ-სთვის თანხის გადაუცემლობით. აღნიშნულის გამო, იმავე ოფისში, იმავე შემადგენლობით, შედგა შეხვედრა, სადაც ვ. მ-მ ქ. ო-ს შეკითხვაზე დააფიქსირა, რომ ი-ს მიმართ არანაირი პრეტენზია არ ჰქონდა. ამავე შეხვედრაზე ვ. მ-მ განაცხადა, რომ საკუთარი გასამრჯელოს სახით 130 $მ^2$ ფართს ითხოვდა, რასაც დასთანხმდა. დაზარალებულის განმარტებით, მან ორჯერ გადასცა ვ. მ-ს 5000-5000 აშშ დოლარი, ხოლო „გ–-“ პროექტის დამტკიცებისა და ოფიციალურად ვებგვერდზე ატვირთვის შემდეგ, ბოლოჯერ შეხვდა მას დარჩენილი თანხის გადასაცემად, თუმცა, მხოლოდ ოპერატიული თანხა – 5 000 აშშ დოლარი მიუტანა, დარჩენილი თანხის მოგვიანებით გადახდის შეპირებით, რაც, ცხადია, ვ. მ-ს არ მოეწონა, მაგრამ თანხა გამოართვა, რა დროსაც მოხდა კიდეც მისი დაკავება. ი-მ ჩვენების მიცემისას რამდენჯერმა განმარტა, რომ გენერალური რეგულირების გეგმა შეადგინა თ. მ-მ, ხოლო ვ. მ-მ მათგან 40000 აშშ დოლარის გადაცემა მოითხოვა ქ.თ-ის მ-ში მაღალჩინოსანზე გადასაცემად „გ“-ს დამტკიცებისთვის დახმარების გაწევის მიზნით.

42. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმე ნ. გ-ს ჩვენებით დასტურდება, რომ 2016 წლის ზაფხულში შპს „დ. გ-სა“ და „კ-ს“ შორის გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „გ-ს“ ვალდებულებას წარმოადგენდა სამშენებლო საძიებო დოკუმენტაციის და პროექტის მომზადება, ინვესტორის მოძიება, მშენებლობის განხორციელების მიზნით, რათა დაახლოებით 14 000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი გადასცემოდა ასოციაციას. ქ.თ., კ. ჰქონდა ოფისი, რომელიც უსასყიდლოდ დაუთმო ამხანაგობას. 2016 წლის ზაფხულში ოფისში შედგა შეხვედრა, სადაც ნ. წ-მ ვ. მ-ს გაუწია რეკომენდაცია, როგორც კარგ და გამოცდილ პროფესიონალს, რომელსაც შეეძლო მასშტაბურ „გ“-

ზე მუშაობა და მათ დაეხმარებოდათ „გ“-ს დამტკიცებაში. შეხვედრას ესწრებოდნენ თ. მ., ოჯახის ახლობელი და მინდობილი პირი – ზ. მ., ნ. წ., ი., ქ. ო., თავად და კიდევ რამდენიმე პიროვნება. ვ. მ-მ თქვა, რომ „გ“-ს გააკეთებდა, რაც ძალიან დიდი მოცულობის სამუშაო იყო. როცა თ. მ-მ ჰკითხა გასამრჯელოს სახით რას ითხოვდა, ვ. მ-მ უპასუხა, რომ 40 000 დოლარი უნდა გადაეცათ მისთვის, რაც არ იქნებოდა მისი გასამრჯელო, რადგან „ზევით“ უნდა მიეტანა და მის წილზე მოგვიანებით ისაუბრებდნენ. თ. მ. დაინტერესდა, ვისთან აპირებდა თანხის მიტანას, თუმცა ვ. მ-მ უარი უთხრა იმ პირის ვინაობის გამხელაზე. აღნიშნულის თაობაზე მათ შორის კონფლიქტი მოხდა. ზ. მ-მ აივანზე გაიყვანა თ. მ., ხოლო ნ. წ-მ ვ. მ. მან პირადად სთხოვა ვ. მ-ს მორიგებაზე წამოსულიყო, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო. მოწმის განმარტებით, ვ. მ. იგინებოდა და იმუქრებოდა – „ვნახოთ, როგორ გავა საკითხი ხუთშაბათის სხდომაზეო“, რაზეც თავის მხრივ ნ. წ-ს უსაყვედურა. მოწმემ დაადასტურა, რომ იმავე ოფისში გამართულ მეორე შეხვედრას არ დასწრებია, მაგრამ გადმოცემით იცის, რომ ვ. მ-ს გასამრჯელოს სახით 130 $მ^2$ ფართი მოუთხოვია.

43. მოწმე ნ. გ-მ მოსამართლის შეკითხვაზე განმარტა, ვ. მ-ს და თ. მ-ს შორის დაპირისპირება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ვ. მ-მ უარი განაცხადა იმ პირის დასახელებაზე, რომელთანაც თანხა უნდა მიეტანა.

44. ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურეს პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმეებმა – თ. მ-მ და ზ. მ-მ, კერძოდ:

პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმე თ. მ-მ დაადასტურა მის მიერ შეტანილი ქ.თ-ის მ-ში განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ელექტრონულად შეტანის ფაქტი, საიდანაც მიიღო პასუხი, რომ „გ“-ში იყო მცირედი ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრაც არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა. პროექტის დახარვეზების შემდეგ დაუკავშირდა ი., რომელმაც უთხრა, რომ კ-ს წევრებს სურდათ მასთან და სხვა დამფუძნებლებთან შეხვედრა სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის, – საპროექტო დავალების დახარვეზების მიზეზებზე სასაუბროდ. შეხვედრა შედგა კ-ს ქუჩაზე არსებულ ოფისში, სადაც გაიცნო ვ. მ., რომელმაც პროექტის დამტკიცებაში დახმარებისთვის 40000 აშშ დოლარი მოითხოვა. როცა ვ. მ-ს უთხრა, რომ დახმარების გარეშე შეძლებდა პროექტის გაკეთებას, ამ უკანასკნელმა უპასუხა არ დაგიმტკიცებენო, რაზედაც მოუვიდათ კამათი. პროექტი თავად შეადგინა, ვ. მ-ს არანაირი მონაწილეობა მასში არ მიუღია. მოწმემ განმარტა, რომ ვ. მ-მ თანხა მოითხოვა „გ-“-ს დამტკიცებისთვის და ეს თანხა უნდა მიეტანა მ-

ში ვიღაც მაღალჩინოსნისთვის, რომლის ვინაობა არ გაამხილა. ამ შეხვედრის შემდეგ მას ვ. მ. აღარ უნახავს. მისივე თქმით, თუკი ვ. მ. დაურეკავდა და შესთავაზებდა „გ"-ს პროექტის მომზადებას, შეიძლება მოლაპარაკებულიყვნენ კიდეც და გადაერიცხა მისთვის შესრულებული სამუშაოსათვის განკუთვნილი თანხა და არა ისე, რომ მისი მოთხოვნით აეღო და ისე მიეცა მისთვის 40000 აშშ დოლარი.

45. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმე ზ. მ-მ რამდენჯერმე განაცხადა, რომ ვ. მ-მ თანხა მოითხოვა „გ"-ს დამტკიცებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ დამტკიცდებოდა. მოსამართლის შეკითხვაზე კი განაცხადა: „ჩვენ გვინდოდა „გ"-ს დამტკიცება და ამაში უნდა დაგვხმარებოდა ვ. და აქედან გამომდინარე ეს თანხა თქვა ამ ადამიანმა".

46. 2016 წლის ივლისის თვეში, ქ. თ. კ. მდებარე ოფისში შეხვედრის ფაქტი დაადასტურეს მოწმეებმა – ნ. წ-მ და ქ. ო-მ იმ განსხვავებით, რომ ისინი თითქოს არ შესწრებიან თ. მ-სა და ვ. მ-ს საუბარს და არ იციან, რატომ წარმოიშვა კონფლიქტი მათ შორის. მათივე თქმით, ვ. მ-საგან გაიგეს, რომ მას ანაზღაურების ნაწილი შესთავაზეს თანხის სახით, ხოლო ნაწილი ფართების სახით, რაზედაც არ დათანხმდა.

47. ამასთან, ნ. წ-ს ჩვენების თანახმად, აღნიშნული შეხვედრის შემდეგ მისთვის უცნობია, თუ რაზე შეთანხმდნენ ვ. მ. და ი., რა ფინანსური მოლაპარაკება იყო მათ შორის. მისივე განმარტებით, იმავე ოფისში მეორედ მოხდა შეხვედრა იმ მიზეზით, რომ ვინაიდან ჭიანურდებოდა „გ"-ს დამტკიცება, ქ. ო-ს გაუჩნდა ეჭვი, რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის ვალდებულებას ი. ვ. მ-ს მიმართ. შეხვედრისას კი გაირკვა, რომ ვ. მ-ს ი-ს მიმართ არანაირი პრეტენზია არ გააჩნდა და ამავე შეხვედრაზე ვ. მ-მ დამატებით მოითხოვა 130 კვ.მ. ფართი. რა ვალდებულებებზე იყო საუბარი, მისთვის უცნობია. იგივე ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა ქ. ო-მაც. ამასთან, მოწმე ნ. წ-მ დაცვის მხარის შეკითხვაზე განმარტა, რომ კონკრეტულად რა შეთანხმება იყო ვ. მ-სა და ი-ს შორის, მისთვის უცნობია, ასევე მან არ იცოდა „გ"-ს პროექტის ღირებულება რას შეადგენდა, მისთვის ცნობილია, რომ მოთხოვნილი იყო 40 000 აშშ დოლარი".

48. კასატორების მოსაზრებით, საქმის მასალებიდან გამომდინარე, ვერ დგინდება დაზარალებულ ი-ს თუნდაც მცირე ოდენობით მატერიალურად დაზარალების ფაქტი.

49. საკასაციო სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება უსაფუძვლოდ მიაჩნია, კერძოდ: პირველი ინსტანციის სასამართლოში დაზარალებულმა ი-მ, დაცვის მხარის შეკითხვაზე ნამდვილად განაც-

ხადა, რომ მან განიცადა, როგორც მორალური, ისე მატერიალური ზიანი 12 000 აშშ დოლარის ოდენობით. მორალური – ვინაიდან ვ. მ. ამყოფებდა ტყუილში, რაც მასზე ფსიქოლოგიურად მოქმედებდა, ხოლო მატერიალური თვალსაზრისით, ვინაიდან „გ.“-ს დამტკიცება გაჭიანურდა ერთი წლის განმავლობაში. დაცვის მხარე დაკმაყოფილდა დაზარალებულის მხოლოდ ამ განმარტებით და არ დაინტერესებულა რას წარმოადგენდა დაზარალებულის მიერ დასახელებული 12 000 აშშ დოლარი და რატომ თვლიდა დაზარალებული სწორედ ამ თანხის ფარგლებში თავს დაზარალებულად. ცხადია, აღნიშნული თანხა პირდაპირ კავშირში არ არის ვ. მ-ს ბრალდებაში მითითებულ თანხასთან და არც რაოდენობრივად შეესაბამება დაზარალებულის მიერ მსჯავრდებულისთვის გადაცემული თანხის ოდენობას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს დაუმთავრებელ დანაშაულს.

50. სასამართლო ითვალისწინებს რომ დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების და ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის განსაზღვრა სცილდება სისხლის სამართლის რეგულირების სფეროს და უნდა გადაწყდეს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებების შესაბამისად სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში.

51. მსჯავრდებულ ვ. მ-ს მიერ მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა დასტურდება საქმეში არსებული დაზარალებულისა და მსჯავრდებულის შეხვედრების ამსახველი ფარული აუდიოვიდეო ჩანაწერებით, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია ი-ს მიერ სასამართლოში მიცემულ ჩვენებასთან.

52. საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან არ იკვეთება მსჯავრდებულ ვ. მ-ს მიერ დაზარალებულისთვის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მიწოდებული ინფორმაციის სისწორე. კერძოდ, არ დასტურდება, რომ მსჯავრდებულის მიერ მოთხოვილი თანხა ნამდვილად იყო განკუთვნილი სხვა პირებისთვის გადასაცემად. აღნიშნული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორების – მსჯავრდებულ ვ. მ-ს ადვოკატების მოსაზრებას, თითქოს საქმის მასალებით ვ. მ-ს თაღლითური განზრახვა არ იკვეთება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ ნაწილში განაჩენი არის კანონიერი და არ არსებობს საკასაციო საჩივრის გაზიარების საფუძველი.

53. სასამართლო ითვალისწინებს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება სასამართლოებს ავალდებულებს, ნათლად მიუთითონ საფუძვლები, რომლებსაც დაეყრდნენ გადაწყვეტილების მიღებისას.....ვალდებულების ფარგლები შეიძლება განსხვავდებოდეს სადავო გადაწყვეტილების ბუნებიდან გამომდინარე და ის უნ-

და განისაზღვროს თითოეული საქმის გარემოებების გათვალისწინებით ..ზემოაღნიშნული ვალდებულება არ მოითხოვს მომჩივნების მიერ წარმოდგენილ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, § 31, ECtHR,11/11/2011), არამედ გულისხმობს, რომ სამართალწარმოების მხარეები უნდა ელოდნენ კონკრეტულ და მკაფიო პასუხებს იმ არგუმენტებზე, რომლებიც გადამწყვეტია სამართალწარმოების შედეგებისთვის (იხ. Tchankotadze v. Georgia, no. 15256/05, §103, ECtHR, 21/06/2016; და Deryan v. Turkey, no. 41721/04, § 33, ECtHR, 21/07/2015). გადაწყვეტილებიდან ნათლად უნდა ჩანდეს, რომ განხილული იქნა საქმის არსებითი საკითხები" (Lobzhanidze and Peradze v. Georgia, no 21447/11, no35839/11, §65, 66; ECtHR, 27/02/2020).

54. ვინაიდან ლ. ძ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში, მსჯავრდებულ ვ. მ-ს გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი. მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს თაღლითობის მცდელობად, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლების მცდელობა, ჩადენილი დიდი ოდენობით – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით.

55. სასამართლო არ იზიარებს პროკურორ ლაშა ფანჩულიძის საჩივრის მოტივებს მსჯავრდებულ ვ. მ-სათვის შეფარდებული სასჯელის დამძიმების თაობაზე.

56. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მსჯავრდებულ ვ. მ-სათვის შეფარდებული სასჯელი – ჯარიმა 30 000 ლარი – საქართველოს სსკ-ის 19,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებშია, სააპელაციო სასამართლომ სრულად შეაფასა სასჯელის დანიშვნის როგორც ზოგადსავალდებულო გარემოებები და პირის ინდივიდუალური მახასიათებლები, ასევე – სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობანი და ვ. მ-ს საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, განუსაზღვრა სამართლიანი სასჯელი, შესაბამისად, არ არსებობს მისი როგორც დამძიმების, ასევე – შემსუბუქების საფუძველი. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი სასჯელის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ:

1. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორ ლაშა ფანჩულიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. მსჯავრდებულ ლ. ძ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

3. მსჯავრდებულ ვ. მ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – ზ. გ-ს და მ. ა-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

5. ლ. ძ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

6. გამართლებულ ლ. ძ-ს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

7. ვ. მ-ს ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

8. ვ. მ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 30000 ლარი. საქართველოს სსკ 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 2017 წლის 30 აგვისტოდან 2018 წლის 22 მარტის ჩათვლით პატიმრობაში გატარებული ვადის გათვალისწინებით, მას დანიშნული სასჯელი შეუმცირდეს და საბოლოოდ სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა – 25000 ლარი.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ივნისის განაჩენი გირაოსა და ყადაღის გაუქმების, ასევე – ნივთმტკიცებების ნაწილში დარჩეს უცვლელად.

10. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

1. კიბერდანაშაული

კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა

განჩინება
საქართველოს სახელით

№777აპ-19 2 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ივლისის განაჩენზე მსჯავრდებულ გ. დ-ს და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ბ. ვ-ს, თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორ ლაშა ფანჩულიძის საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საკითხი და

გამოარკვია:

1. ბრალდების შესახებ დადგენილებით გ. დ-ს, – დაბადებულს .... წელს, – ბრალად ედებოდა კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 19 დეკემბრის განაჩენით გ. დ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

გ. დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი. მასვე, დამატებითი სასჯელის სახით 2 წლით ჩამოერთვა საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება.

გაუქმდა გ. დ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება

– გირაო და განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში გირაოს შემტან პირს სრულად უნდა დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი თანხა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. დ-მ ჩაიდინა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. დ. მუშაობდა რა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ...-ს ... სამმართველოს ... დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლად, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად წარმოადგენდა მოხელეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ...-ს ... სამმართველოს ... დეტექტივის თანაშემწე გამომძიებელმა გ. დ-მ, სამსახურებრივი საჭიროების გარეშე 2013 წლის 3 აგვისტოდან 2014 წლის 9 ოქტომბრის ჩათვლით, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცული კომპიუტერული ბაზიდან მოიპოვა თ. ლ-ს, გ. ბ-ს, გ. წ-ს და სხვა პირთა პერსონალური ინფორმაცია. გ. დ-მ ხსენებულ პირთა პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა ლ. გ-ს. აღნიშნული ქმედებით გ. დ-მ დაარღვია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2012 წლის 24 აგვისტოს N709 ბრძანება, რომლის თანახმადაც მას ეკრძალებოდა შიდა საინფორმაციო სისტემაში მონაცემების მოპოვება გამოყენება ან გავრცელება არასამსახურებრივი მიზნით.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების მხარემ და ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა და გ. დ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში; ასევე გ. დ-ს მიმართ სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენება.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ივლისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 19 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. მსჯავრდებული გ. დ. და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ბ. ვ. საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და გ. დ-ს გამართლებას.

პროკურორი ლაშა ფანჩულიძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: გ. დ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში; ასევე გ. დ-ს მიმართ

სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის დამძიმებას.

6. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრები და მიაჩნია, რომ იგი არ აკმაყოფილებს საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

7. სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის პრეტენზიას მტკიცებულებათა არასაკმარისობის თაობაზე და მიაჩნია, რომ დაცვის მხარის პოზიცია მსჯავრდებულ გ. დ-ს უდანაშაულოდ ცნობის შესახებ მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან და მტკიცებულებათა ერთობლიობიდან.

8. კასატორები აპელირებენ, რომ გამოძიებას საფუძვლად დაედო გ. დ-ს ყოფილი მეუღლის ჩვენება, რომლის მიზანს წარმოადგენდა გ. დ-ს დასჯა პირადი მოტივებიდან გამომდინარე.

9. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შესაძლოა ლ. გ-ს მიერ სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვის მოტივაცია იყო გ. დ-ნ დაძაბული ურთიერთობა, თუმცა ლ. გ-ს მიერ გამოძიებისთვის მიწოდებული ინფორმაცია ჯერ გამოძიების ორგანოს, ხოლო შემდგომ სასამართლოების მიერ დეტალურად იქნა გამოკვლეული.

10. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობაში სამართლებრივი ანალიზის შედეგად, უტყუარად და ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ 2013 წლის 3 აგვისტოდან 2014 წლის 9 ოქტომბრის ჩათვლით, გ. დ-მ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცული მონაცემთა ბაზიდან მოიპოვა თ. ლ-ს, გ. ბ-ს, გ. წ-ს და სხვა პირთა პერსონალური ინფორმაცია და მიაწოდა ლ. გ-ს, კერძოდ:

11. მოწმე ლ. გ-ს ჩვენებით, ცალსახად არის დადასტურებული რომ გ. დ. არის მისი შვილების მამა, შესაბამისად მათ ჰქონდათ ახლო ურთიერთობა, რა დროსაც 2013-2014 წლებში, გ. დ. მას უგზავნიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზიდან სხვადასხვა პიროვნებების ფოტოსურათებს, რომელსაც ერთვოდა მათივე პირადი მონაცემები. მისი თხოვნით ან საკუთარი სურვილით ამოწმებდა ამავე ბაზის მეშვეობით მისთვის ან მისი საახლობლოსთვის საინტერესო პიროვნებების პირად მონაცემებს. ასე მაგალითად: მისი მეგობრის ი. რ-ს ინტერესის დასაკმაყოფილებლად გ. დ-მ შსს-ს მონაცემთა ბაზაში მოიძია ლ. ზ-ს მიერ საზღვრის კვეთის ინფორმაცია, მოგვიანებით კი გაუგზავნა მას ლ. ზ-ს, ამავე ბაზიდან ამოღებული ფოტოსურათი. ამავე ი. რ-ს ინტერესის დასაკმაყოფილებლად გ. დ-მ მონაცემთა ბაზიდან მოი-

პოვა თ. ლ-ს შესახებ ინფორმაცია და გადასცა კიდეც მას. ამასთან საყურადღებოა ის გარემოება, რომ თავდაპირველად, გ. დ-მ მას შეცდომით გადასცა სხვა თ. ლ-ს ფოტოსურათი, რომელიც გვარსახელის დამთხვევის გამო შეეშალა. ამავე ი. რ-ს ინტერესის დასაკმაყოფილებლად გ. დ-მ მონაცემთა ბაზაში გადაამოწმა გ. ბ-ი, გადასცა მას ამ პიროვნების ფოტოსურათი და ინფორმაცია ნასამართლობის შესახებ. გ. დ-მ მონაცემთა ბაზაში მოიძია და გაუგზავნა მას ასევე ა. ჩ-ს შესახებ ინფორმაცია, რომელიც აინტერესებდა მის დეიდაშვილს ა. რ-ს. გ. დ-მ, საკუთარი ინიციატივით გაუგზავნა მას გ. ნ-ს ფოტოსურათი, რომელიც იყო დაკავებული და აღმოჩნდა მისი ნაცნობი და სხვა.

12. მოწმე ლ. გ-ს ჩვენება სრულად შეესაბამება მოწმეების – ი. რ-ს და ა. რ-ს ჩვენებებს, კერძოდ: ი. რ-მ ცალსახად დაადასტურა, რომ გ. დ-მ სხვადასხვა დროს გადაამოწმა მისთვის საინტერესო პიროვნებები – ლ. ზ., რომლის შესახებ აინტერესებდა იმყოფებოდა თუ არა იგი საქართველოში და თ. ლ., რომელზეც იგი უბრალოდ ეჭვიანობდა და რომლის ფოტოსურათი გაუგზავნა გ. დ-მ ლ. გ-ს. მოწმემ ასევე დაადასტურა, რომ თავდაპირველად გ. დ-მ მათ სხვა თ. ლ-ს ფოტოსურათი გადაუგზავნა. მოწმე ა. რ-მ დაადასტურა, რომ მისი თხოვნით, გ. დ-მ ლ. გ-ს გადაუგზავნა ა. ჩ-ს შესახებ ინფორმაცია, რომელიც იყო მისი მეგობრის შეყვარებული.

13. ლ. გ-ს ჩვენება გ. დ-ს მიერ მისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზიდან მოპოვებული ინფორმაციის გადაცემის თაობაზე ასევე უტყუარად არის დადასტურებული საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტის №.... დასკვნითა და ფლეშ-ბარათის დათვალიერების ოქმით, რითაც ცალსახად არის დადასტურებული, რომ ლ. გ-ს ტელეფონსა და კომპიუტერში ნანახი იქნა არაერთი ფაილი, რომელიც განეკუთვნება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცულ ინფორმაციას.

14. საქართველოს შსს ოპერატიული-ტექნიკური და საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის წერილებით უტყუარად არის დადასტურებული, რომ სწორედ გ. დ-ს მიერ, მასზე გაპიროვნებული ერთჯერადი პაროლის გენერაციის მოწყობილობით (DIGIPASS) INFO.MIA.GE-ზე გადამოწმებული იქნა სხვადასხვა დროს ის პირები, რომელთა შესახებ ინფორმაცია აინტერესებდა ლ. გ-ს ან მის საახლობლოს.

15. საქართველოს შსს ... სამმართველოს ... განყოფილების წერილით დადასტურებულია და არც თავად გ. დ. უარყოფს იმ გარემოებას, რომ არცერთი ზემოხსენებული პირის მიმართ (ვის შესახებ პირადი მიზნით ინფორმაციის მოპოვებას და სხვისთვის გადაცემას ედავება ბრალდება გ. დ-ს), არ დაწყებულა გამოძიება ან/და

სისხლისამართლებრივი დევნა. ამასთან, სასამართლოში დაკითხულმა ყველა პოლიციელმა (გარდა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მოწმეებისა), ცალსახად დაადასტურა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ საქართველოს შსს საინფორმაციო ბაზიდან მიღებული ინფორმაციის არასამსახურებრივი მიზნით გამოყენება აკრძალულია, რაც ასევე დადასტურებულია საქართველოს შსს მინისტრის №709 ბრძანებით.

16. რაც შეეხება ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულ გ. დ-ს საქართველოს სსკ-ის 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნობის შესახებ, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის მოტივაციას ბრალდების ამ ნაწილში მსჯავრდებულ გ. დ-ს გამართლების თაობაზე და მიუთითებს: მოცემულ შემთხვევაში გ. დ-ს ბრალდების მხარე ედავება, რომ მან უნებართვოდ შეაღწია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა სამსახურებრივ პორტალზე, საიდანაც უკანონოდ მოიპოვა თ. ლ-ს, გ. ბ-ს, გ. წ-ს და სხვა პირთა პერსონალური ინფორმაცია. საქართველოს სსკ-ის 284-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, უნებართვო შეღწევაში მოიაზრება უკანონო შეღწევა, აგრეთვე ისეთი შემთხვევა, როდესაც უფლების მფლობელს პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუცია უფლება ქმედების ჩამდენი პირისათვის. საქმის არსებითი განხილვისას გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა, რომ გ. დ-ზე სამსახურებრივად იყო განპიროვნებული მოწყობილობა „დიჯიპასი“, რომლის საშუალებითაც ხდება წვდომა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა სამსახურებრივ პორტალ pol.ge-ზე. ასევე, მოწმეებმა განაცხადეს, რომ პორტალზე შესვლა ხდება სპეციალური კოდის საშუალებით, რომელსაც ფლობდა გ. დ.. ამდენად, ვინაიდან გ. დ-ს მიენიჭა სპეციალური კოდის საშუალებით „დიჯიპასით“ სარგებლობის უფლება, მის მიერ პორტალ pol.ge-ზე შესვლა ვერ იქნება მიჩნეული როგორც უნებართვო, უკანონო შეღწევა. რაც შეეხება ზემოაღნიშნულ ბაზაში შესვლის შემდეგ, მასში დაცული ინფორმაციის მოპოვებას არასამსახურებრივი მიზნებისათვის, აღნიშნული არ ექცევა კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის შემადგენლობაში, ვინაიდან თითოეული პიროვნების პერსონალურ გვერდზე შესვლისას გ. დ-ს არ დაჭირვებია რაიმე დაბრკოლების გადალახვა, სპეციალური პაროლის ან მონაცემის დაფიქსირება, რომლით სარგებლობის უფლებაც მასზე არ იყო გადაცემული. იგი მხოლოდ საძიებო პირის პირადი მონაცემების მითითებით ეცნობოდა ინფორმაციას იმ სისტემაში, სადაც კანონიერი გზით იყო შესული. საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას და

მიუთითებს, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევას ადგილი ექნება თუ პირი გაცდა თავის სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებს და შევიდა ისეთ სისტემაში, რომელზე წვდომაც მას არ ჰქონდა და ეკრძალებოდა. გ. დ-ს კი სამსახურებრივად ხელი მიუწვდებოდა კომპიუტერულ სისტემაზე და მასში შესასვლელად რაიმე აკრძალვა არ ჰქონია დადგენილი.

17. რაც შეეხება ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულ გ. დ-ს საქართველოს სსსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შეფარდებული სასჯელის დამძიმების შესახებ, საკასაციო სასამართლო აღნიშნულს არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული საბოლოო სასჯელის ზომა შეესაბამება სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა სრულად შეაფასეს სასჯელის დანიშვნის როგორც ზოგადსავალდებულო გარემოებები და პირის ინდივიდუალური მახასიათებლები, ისე – საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობა.

18. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი საფუძველი, საკასაციო საჩივრები დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

19. საკასაციო სასამართლომ საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3, მე-32, მე-33, მე-4 ნაწილების საფუძველზე

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მსჯავრდებულ გ. დ-ს და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ბ. ვ-ს, თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორ ლაშა ფანჩულიძის საკასაციო საჩივრები არ იქნეს დაშვებული განსახილველად.

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ

1. სამოხელეო დანაშაული

ქმედების გადაკვალიფიცირება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებიდან სამსახურებრივ გულგრილობაზე

განაჩენი
საქართველოს სახელით

№824ა3-19 14 მაისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
შ. თადუმაძე

ზეპირი მოსმენით განიხილა საქართველოს გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის უფროსი პროკურორის – ზინიკო ქობალიას, მსჯავრდებულ თ. მ-ს, მსჯავრდებულ ნ. ე-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. ხ-სა და მსჯავრდებულ ა. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. გ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილებით ნ. ე-ს და ა. ხ-ს – ბრალად ედებოდათ თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; რ. ს-ს – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ესე იგი მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, სხვისთვის უპირატესობის მისაღებად, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია; თ. მ-ს – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ესე იგი მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწი-

ნააღმდეგოდ, სხვისთვის უპირატესობის მისაღებად, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ხოლო ა. გ-ს – სამსახურებრივი გულგრილობა ე.ი. მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

სამშენებლო საქმიანობის წარმოების მიზნით, ნ. ე-მ 2006 წლის 12 ივლისს დააფუძნა შპს „№...“ (ს/ნ ...) (შპს „ბ.“), რომლის დირექტორებს წარმოადგენდნენ ნ. ე. და ა. ხ.

რ. ს. 2013 წლის 14 მაისიდან 2014 წლის 15 აგვისტომდე პერიოდში მუშაობდა საქართველოს ო. თ. მ. 2014 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 14 აგვისტომდე პერიოდში მუშაობდა საქართველოს ო. ა. გ. 2014 წლის 3 იანვრიდან ამავე წლის 15 აგვისტომდე პერიოდში მუშაობდა საქართველოს ო-ე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რ. ს., თ. მ. და ა. გ. წარმოადგენდნენ საჯარო მოხელეებს და ვალდებულნი იყვნენ, მათზე დაკისრებული მოვალეობები შეესრულებინათ კეთილსინდისიერად, საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

2013 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლ-სა და შპს „N–“-ს შორის დაიდო ხელშეკრულება გ. კორპუსების სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 2 640 000 ლარი, ხოლო სამუშაოს შესრულების ვადად – 2014 წლის 3 ივნისი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შპს „№...-იმ“ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, 2013 წლის 2 ოქტომბერს წარადგინა შპს „ა-ს“ საბანკო გარანტია 211 200 ლარის ოდენობით, 2013 წლის 22 ოქტომბერს შპს „№...-იმ“ სამინისტროში წარადგინა ამავე წლის 18 ოქტომბრით დათარიღებული სს „ლ-ს“ 1 000 000 ლარის საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტია, ხოლო 2013 წლის 22 ოქტომბერს – შპს „ა-ს“ საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტია 300 000 ლარის თაობაზე. 2013 წლის 27 ნოემბერს, საზოგადოებამ დამატებით წარადგინა სს „ლ-ს“ 1340 000 ლარის საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტია. აღნიშნული გარანტიების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 3 აგვისტო. ზემოაღნიშნული საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტიების წარდგენის საფუძველზე, სამინისტრომ შპს „№...-ს“ ავანსის სახით ჩაურიცხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული თანხა – 2 640 000 ლარი, რომელიც სს „ლ-ში“ განთავსდა სპეციალურ ანგარიშზე. შპს „№...-იმ“ ბანკში წარდგენილი მიღება-ჩაბა-

რებისა და სამუშაოს შესრულების აქტების (ე.წ. ფორმა №...-ს) წარდგენის შემდგომ, საზოგადოებას კუთვნილ ანგარიშზე ერიცხებოდა მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული სამუშაოს ღირებულება. 2013 წლის 18 ნოემბერს, ამავე წლის 28 ნოემბერსა და 2014 წლის 3 აპრილს, შპს „№...-"-ის მიერ, როგორც სამინისტროში, ასევე სს „ლ-ი" წარადგენა სამი მიღება-ჩაბარების აქტი ვ-ში განლაგებულ ორ საცხოვრებელ კორპუსში 1 017 060.58 ლარის სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე. აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტები სამინისტროს მხრიდან დაადასტურა ტ. რ. ს-მ, ხოლო შპს „№...-"-ის მხრიდან – საწარმოს დირექტორმა ნ. ე-მ. აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე ბანკის მიერ საზოგადოებას ჩაერიცხა აქტებში დაფიქსირებული სამუშაოს ღირებულება.

საზოგადოების დირექტორებმა – ნ. ე-მ და ა. ხ-მ განიზრახეს ყალბი მიღება-ჩაბარების აქტების დამზადებითა და შემდგომ სს „ლ-ში" წარდგენის გზით, მოტყუებით დაუფლებოდნენ სამინისტროს მიერ ჩარიცხულ ფულად თანხებს, რომლის მიღების უფლებაც, ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, შეეძლოთ მხოლოდ სათანადო ღირებულების სამუშაოს შესრულებისა და სამინისტროსთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების ასლის ბანკში წარდგენის შემდეგ. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ა. ხ-მ სს „ლ-ში" წარადგინა ნ. ე-ს მიერ დამოწმებული, 9 ცალი ყალბი მიღება-ჩაბარების აქტი და ასევე, ყალბი ფორმა №..., რომელთა მიხედვითაც, თითქოსდა ორგანიზაციას სრულად ჰქონდა შესრულებული 2 640 000 ლარის ღირებულების სამუშაო. შესაბამისად, აღნიშნული თანხა სრულად გადაირიცხა საზოგადოების ანგარიშზე, მაშინ, როცა ხელშეკრულების ვადის ამოწურვის დროს, 2014 წლის 3 ივნისამდე პერიოდისთვის, შპს „№...-იმ" სამინისტროში წარადგინა სამი მიღება-ჩაბარების აქტი და თანდართული ფორმა №... მხოლოდ 1 017060.58 ლარის სამშენებლო სამუშაოების შესრულებაზე. 2014 წლის 1 აგვისტოს შპს „№..."-ის დირექტორმა ა. ხ-მ სამინისტროში წარადგენა №... მიღება-ჩაბარების აქტი 1 269 573 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულების თაობაზე, რომელსაც საზოგადოების სახელით ხელმოწერით კვლავ ადასტურებდა ნ. ე.. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდისათვის საზოგადოებას არ ჰქონდა შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, არ ჰქონდა მას წარდგენილი ექსპერტიზის შესაბამისი დასკვნა და სამინისტროს ინსპექტირების ჯგუფის მიერ არ მომხდარა მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირებული სამუშაოს შემოწმება ადგილზე გასვლის გზით, ტ. რ. ს-მ შპს „№..."-ისთვის უპირატესობის მინიჭებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად

გამოყენების გზით, მოაწერა ხელი ა. ხ-ს მიერ წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტს, რითაც ამ უკანასკნელს შეუქმნა სს „ლ-თან“ ყალბი დოკუმენტის გამოყენებით დიდი ოდენობით ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლების სამართლებრივი საფუძველი, ხოლო ტ. უფროსმა თ. მ-მ, რომლისთვისაც ცნობილი იყო, რომ შპს „№...-ის“ არ ჰქონდა სრულად შესრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, ზემოხსენებული №... მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შეადგინა მოხსენებითი ბარათი და წარადგინა სამინისტროს საფინანსო დეპარტამენტში, რომლითაც ადასტურებდა შპს „№...“-ის მიერ შესრულებული სამუშაოს სამინისტროს მიერ მიღებასა და ბანკის მიერ საზოგადოებისათვის თანხის ჩარიცხვის სამართლებრივ საფუძველს.

2013 წლის 2 ოქტომბერს შპს „№...-ის“ სამინისტროში წარდგენილი აქვს სადაზღვეო კომპანია „ა-ს“ მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 211 200 ლარის ოდენობით, რომლის მიხედვითაც, შპს „№...“-ის მხრიდან ხელშეკრულების პირობის დარღვევის შემთხვევაში, სამინისტროს უფლება ჰქონდა „ა-სათვის“ მოეთხოვა აღნიშნული საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ფულადი თანხა. შესრულებული სამუშაოს ღირებულების განსაზღვრის მიზნით, საქმეზე დაინიშნა საინჟინრო ექსპერტიზა, რომლის დასკვნითაც დადგინდა, რომ სამშენებლო სამუშაოებზე ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოები არ შეესაბამება წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტებში მოცემულ მოცულობებს და რაოდენობებს. ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა 1 557 886.36 ლარით, ნაცვლად საზოგადოების მიერ ყალბი მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებული 2 639 497.84 ლარისა. ამდენად, შპს „№...“-ის დირექტორები – ნ. ე. და ა. ხ. ყალბი მიღება-ჩაბარების აქტებისა და ფორმა №-ს გამოყენებით მოტყუებით დაეუფლნენ 1 081 611.48 ლარს.

მიუხედავად იმისა, რომ შპს „№...“-მ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და ნაკისრი ვალდებულებები მხარეს შესრულებული არ ჰქონდა, ს-მა ა. გ-მ გამოიჩინა სამსახურებრივი გულგრილობა და მასზე დაკისრებული ვალდებულების მიუხედავად, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში – 2014 წლის 3 აგვისტომდე პერიოდში, სამინისტროს სასარგებლოდ არ მოითხოვა „ა-ს“ მიერ შპს „№...“-ისათვის გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 211 200 ლარის ოდენობით, რითაც სამინისტრომ ვერ მიიღო ზემოხსენებული თანხა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი გან-

ხილვის კოლეგიის 2018 წლის 26 ივნისის განაჩენით:

ნ. ე-სა და ა. ხ-ს ამოერიცხათ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

ნ. ე. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლების დღიდან – 2017 წლის 13 სექტემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა ფაქტობრივი დაკავებიდან საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლებამდე საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის დრო – 2017 წლის 11 ივლისიდან იმავე წლის 13 სექტემბრამდე.

ა. ხ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდის ათვლა უნდა დაეწყოს განაჩენის აღსრულების მომენტიდან.

რ. ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 10000 ლარი. მასვე დამატებითი სასჯელის სახით ჩამოერთვა კერძო სამართლის იურიდიულ პირებში ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავების უფლება 1 წლით.

გაუქმდა რ. ს-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გირაოს შემტან პირს სრულად უნდა დაუბრუნდეს გირაოს სახით გადახდილი თანხა – 10000 ლარი.

თ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 15000 ლარი. მასვე დამატებითი სასჯელის სახით ჩამოერთვა კერძო სამართლის იურიდიულ პირებში ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავების უფლება 1 წლით.

გაუქმდა თ. მ-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გირაოს შემტან პირს სრულად უნდა დაუბრუნდეს გირაოს სახით გადახდილი თანხა – 8000 ლარი.

ა. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა

ჯარიმა – 15000 ლარი.

გაუქმდა ა. გ-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გირაოს შემტანპირს სრულად უნდა დაუბრუნდეს გირაოს სახით გადახდილი თანხა – 5000 ლარი.

3. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

4. საქართველოს გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის უფროსი პროკურორი – ზინიკო ქობალია საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას სასჯელის დამძიმების კუთხით და მსჯავრდებულების – რ. ს-ს, თ. მ-სა და ა. გ-სათვის უფრო მკაცრი სასჯელების განსაზღვრას.

მსჯავრდებული თ. მ. საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

მსჯავრდებულ ნ. ე-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი შ. ხ. საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ნ. ე-ს უდანაშაულოდ ცნობას.

მსჯავრდებულ ა. გ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. გ. საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ა. გ-ს გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების ა. გ-ს, ნ. ე-ს, თ. მ-სა და რ. ს-ს მიმართ, აგრეთვე, შეამოწმა დაცვის მხარის წარმომადგენლებისა და ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. ბრალდების მხარე ა. გ-ს ედავება მასში, რომ მან, როგორც სმა, მასზე დაკისრებული ვალდებულების მიუხედავად, საბანკო გარანტიის (№...) მოქმედების ვადაში (2014 წლის 3 აგვისტოს ჩათვლით) სამინისტროს სასარგებლოდ არ მოითხოვა „ა-ს“ მიერ შპს „№...“-ისათვის გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 211 200 ლარის ოდენობით.

3. ა. გ. და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი ითხოვენ ა. გ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

4. სასამართლო არ ეთანხმება მსჯავრდებულ ა. გ-ს დამცველის

საკასაციო საჩივარში დაყენებულ მოთხოვნას მისი უდანაშაულოდ ცნობისა და გამამართლებელი განაჩენის დადგენის თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული არ დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით.

5. სასამართლოს უსაფუძვლოდ მიაჩნია კასატორ ა. გ-სა და ა. გ-ს მტკიცება, რომ ა. გ-ს უფლებამოსილებაში არ შედიოდა ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიის უკან გამოთხოვა, მსჯავრდებულმა არაფერი იცოდა შპს „№...-ს“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე და მოქმედებდა თავისი უფლებამოსილების შესაბამისად.

6. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით დგინდება, რომ ა. გ. იკავებდა საქართველოს ო. და წარმოადგენდა მოხელეს.

7. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №... დადგენილებით, დამტკიცებული სამინისტროს დებულების თანახმად, სამინისტროს საფინანსო დეპარტამენტის (და შესაბამისად მისი უფროსის) სამსახურებრივ მოვალეობას წარმოადგენდა მათ შორის სამინისტროს ფუნქციონირების ფინანსური უზრუნველყოფა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამინისტროს საჭიროებისთვის საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოთა შესყიდვასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზების უზრუნველყოფა და მათ ჯეროვნად შესრულებაზე კონტროლი.

8. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ საფინანსო დეპარტამენტის დაქვემდებარებაში/ სტრუქტურაში შედის აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველო, შესყიდვების სამმართველო და საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველო. სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას დაკითხული არაერთი მოწმის ჩვენებითა და წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით დასტურდება საფინანსო დეპარტამენტის მიერ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოთხოვნის ვალდებულება (მაგალითად, ლ. ბ-ს, ზ. ლ-ს და გ. ბ-ს ჩვენებებით, სამინისტროს შიდა აუდიტის 2014 წლის 14 აგვისტოს დასკვნით). მათ შორის ისიც რომ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიების მოთხოვნაზე კონტროლი ეკისრება შესყიდვების სამმართველოს (მაგალითად, ნ. კ-ს ჩვენებით, აღნიშნულის შესახებ პირდაპირი მითითებაც ჰქონდა ა. გ-სგან, სამინისტროს შიდა აუდიტის ... 2014წ. დასკვნა). სწორედ შესყიდვების სამმართველოს უნდა მოეთხოვა გარანტორისგან („ა.“) გარანტიით გათვალისწინებული თანხის მიღება.

9. საქმეში წარმოდგენილი ა. გ-ს მიერ მიწოდებული ინფორმაციითაც დასტურდება, რომ მის ფუნქციებში შედიოდა მათ შორის

„სამინისტროში ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების კოორდინაცია და მართვა“; საბანკო გარანტიების საფუძველზე შეუსრულებლობის ან ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში თანხის მოთხოვნა და აღნიშნული საკითხის კონტროლი.

10. ამასთან, ა. გ-ს, დაკავებული თანამდებობის გათვალისწინებით, ასევე ეკისრებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლითა და ამავე კანონის 76-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვალდებულებები: სამსახურებრივი უფლებამოსილების საჯარო სამსახურის პრინციპებისა და საჯარო ინტერესების დაცვის საფუძველზე განხორციელება, სამსახურებრივი უფლებამოსილების რესურსების ეკონომიურად გამოყენება და ხარჯვა, საჯარო დაწესებულების ქონების რაციონალურად გამოყენება.

11. კასატორი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის გამოთხოვა არ განახორციელა, ვინაიდან საფინანსო დეპარტამენტს არ ჰქონდა გარანტიის გამოთხოვისთვის შესაბამისი საფუძველი. კერძოდ, ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის ოფიციალური წერილი, მათ შორის, სატენდერო კომისიის ოქმი ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ, რომელიც, კასატორის განმარტებით, უნდა დაერთოს წერილს გარანტიის გამოთხოვის შესახებ.

12. კასატორის მტკიცებით, ა. გ-ს კომპეტენციასა და მოვალეობებში არ შედიოდა იმის გადამოწმება – შპს „№...-ს“ რეალურად ჰქონდა თუ არა შესრულებული აღნიშნულ სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. სამინისტროს საფინანსო დეპარტამენტში შემოსულ დოკუმენტებში ნაჩვენები იყო, რომ კონტრაგენტის მიერ სამინისტროს წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება შესრულებული იყო. მაგრამ ნამდვილად ასე იყო თუ არა სინამდვილეში, ეს უნდა შეემოწმებინა და დაედგინა ხსენებული სამინისტროს ტ., რაც ამ უკანასკნელის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს.

13. სასამართლო ეთანხმება კასატორს, რომ საფინანსო დეპარტამენტის ფუნქცია და ვალდებულება არ იყო მშენებლობის საკითხებზე და შესაბამისად, ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე მონიტორინგის და კონტროლის განხორციელება (ხელშეკრულების შესრულების პირობებზე ზედამხედველობის ვალდებულება ეკისრებოდა ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტს); სამინისტროსა და შპს „N№...-ის“ შორის ურთიერთვალდებულებები განსაზღვრული იყო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №... ხელშეკრულებით, რომელიც განსაზღვრავს ხელშეკრულების პირობების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლის მექანიზმს

და აკონკრეტებს მის შესრულებაზე პასუხისმგებელ დეპარტამენტს.

14. იმავდროულად, სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაობის დაუსრულებლობა გულისხმობდა ხელშეკრულების პირობების დარღვევას, რაც ცალსახად ქმნიდა „ა-ნ“ დადებული საგარანტიო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გამოთხოვის საფუძველს. სასამართლო ითვალისწინებს ადვოკატის მითითებას დათვალიერების 26/11/2014წ ოქმზე, რომელიც ადასტურებს მსჯავრდებულის მიერ შესრულების აქტის გადაწერას აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს უფროსზე რეზოლუციით „საჭიროებს დაზუსტებას და არ მოახდინოთ ანგარიშსწორება“, რის საფუძველზეც სამმართველომ გამოითხოვა საავანსო გარანტია. სასამართლო ასევე ითვალისწინებს ა. გ-ს განმარტებას, რომლის თანახმად, 1 აგვისტოს საფინანსო დეპარტამენტის მიერ მომზადდა წერილი და მინისტრის ხელმოწერით გაიგზავნა საბანკო გარანტიის საფუძველზე ავანსად ჩარიცხულ თანხებსა და ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოს შორის სხვაობის უკან დაბრუნების (შეუსრულებელი ვალდებულების ნაწილის თანხის სამინისტროს ბიუჯეტში დაბრუნების) შესახებ.

15. ა. გ-ს განმარტებით, შპს „№...“-ის მე-4 შუალედური მიღება-ჩაბარების აქტებისა და ფორმა №...-ის საფინანსო დეპარტამენტში ოფიციალურად შემოსვლის მომენტისთვის საფინანსო დეპარტამენტისთვის უკვე ცნობილი იყო (არსებობდა ინფორმაცია) და სს „ლ-დან“ მიღებული იყო ბანკში შპს „№...-ს“ მიერ წარდგენილი 11 შუალედური მიღება-ჩაბარების აქტები და ფორმა №...-ები, მაშინ როცა სახელშეკრულებო პერიოდში შპს-ს მიერ სამინისტროში წარმოდგენილი იყო მხოლოდ 3 მიღება-ჩაბარების აქტი და ფორმა №... . ამიტომ აღნიშნულ მოთხოვნაზე სამინისტროს მხრიდან არ მომხდარა რეაგირება, შეჩერებული იქნა მათი განხილვა და არ გატარდა ბუღალტერიაში. ამდენად, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ მსჯავრდებულისთვის 1 აგვისტოს ცნობილი იყო ხელშეკრულების პირობების სავარაუდო დარღვევის შესახებ, რაც დასტურდება, მათ შორის საბანკო გარანტიის გამოთხოვითაც „ლ-დან“. თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, ასევე იმისდამიუხედავად, რომ იწურებოდა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა, ა. გ-მ არ გადაამოწმა ინფორმაცია სამუშაოების დასრულების შესახებ და არ განუხორციელებია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის გამოთხოვა.

16. სასამართლო ასევე ითვალისწინებს მოწმეების – ნ. კ-ს, დ.

ვ-სა და ზ. კ-ს ჩვენებებს. მოწმე ნ. კ-ს ჩვენებით (ს.), იგი დეპარტამენტის უფროს ა. გ-ს მუდმივად აწვდიდა ინფორმაციას მათ შორის ხელშეკრულების ვადების, საბანკო გარანტიების ვადების და ხელშეკრულების შესრულების თაობაზე. ამასთან, მან უშუალოდ შპს „№...-ის“ შემთხვევაშიც შეატყობინა ა. გ-ს, რომ კომპანია არ ასრულებდა ხელშეკრულების პირობებს და შესაბამისად, სახეზე იყო საბანკო გარანტიების გამოთხოვის საფუძველი.

17. მოწმეების – საქართველოს ო. ნ. კ-ს, სააქციო საზოგადოება „ლ-ს“ კორპორატიული საბანკო საქმიანობის დეპარტამენტის თავმჯდომარის – ზ. კ-ს, ზემოაღნიშნული სამინისტროს შიდა აუდიტის, სამსახურის სპეციალისტის – ზ. ლ-ს, სს „ლ-ს“ წარმომადგენლის – დ. ვ-სა და გ. ბ-ს ჩვენებებით დასტურდება: ა. გ-ისათვის ცნობილი იყო სამშენებლო კომპანია – შპს „№...-ის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაძლო შეუსრულებლობის თაობაზე, აგრეთვე, მოწმე ნ. კ-ს მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციიდან გამომდინარე, არსებობდა რეალური საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მასთან წარდგენილი დოკუმენტები შპს „№...-ს“ მიერ ვალდებულებების შესრულების თაობაზე შესაძლებელია ყალბი ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ა. გ-მ არ გამოითხოვა აღნიშნული სამშენებლო კომპანიის მიერ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, 2013 წლის 2 ოქტომბერს 211 200 ლარზე წარდგენილი შპს „ა-ს“ საბანკო გარანტია. ამ ქმედებით მან უხეშად დაარღვია ხსენებული სამინისტროს საფინანსო დეპარტამენტის დებულებასა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღნიშნულ ნორმებში მითითებული ის სამსახურებრივი და თანამდებობრივი ვალდებულებები, რომელთა შეუსრულებლობით არსებითი ზიანი მიადგა სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს (დიდი ოდენობით ფინანსური ზარალი).

18. ამდენად, ა. გ-ს ბრალეულობა დასტურდება მოწმეთა ჩვენებებითა და საქმეში არსებული დოკუმენტური ხასიათის მტკიცებულებებითაც. შესაბამისად, სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას და მიაჩნია, რომ საქმეში არ მოიპოვება კანონიერი და დასაბუთებული საფუძველი ა. გ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დასადგენად. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება რომ მსჯავრდებულმა ა. გ-მ ჩაიდინა სამსახურებრივი გულგრილობა.

19. სასამართლო არ იზიარებს არც ბრალდების მხარის პოზიციას მსჯავრდებულ ა. გ-ს მიმართ დადგენილი სასჯელის გამკაცრების შესახებ და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულ ა. გ-ისათვის შეფარდებული სასჯელის სახე

და ზომა შეესაბამება როგორც ჩადენილი ქმედების ხასიათსა და ამ ქმედებით გამოწვეულ შედეგებს, ასევე მსჯავრდებულის პიროვნებას.

20. მსჯავრდებული თ. მ. საკასაციო საჩივრით ითხოვს უდანაშაულოდ ცნობას და გამამართლებელი განაჩენის დადგენას. კერძოდ, კასატორის მტკიცებით 2014 წლის 1 აგვისტოს მან ნამდვილად დაადასტურა თავისი ხელმოწერით მიღება-ჩაბარების აქტი №... რომელშიც, როგორც შემდგომში გაირკვა, შპს „№...-ს“ მიერ შესრულებულად იყო ნაჩვენები 1 269 573 ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სინამდვილეში არ ყოფილა შესრულებული. მაგრამ ამ უკანასკნელი გარემოების შესახებ მან არაფერი იცოდა, რადგან ენდო მისი ხელქვეითი მოხელის, სამინისტროს ტ. მ. – რ. ს-ის მიერ ხელმოწერილ და მისთვის წარდგენილ მოხსენებით ბარათს, ასევე მის განმარტებას, რომ სამშენებლო სამუშაოები ნამდვილად შესრულებული იყო. კასატორი უთითებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლ-ს ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების მე-4 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სამმართველოს ხელმძღვანელობა და სამმართველოს უფროსი: ა) წარმართავს სამმართველოს საქმიანობას; ბ) პასუხისმგებელია დეპარტამენტის უფროსის წინაშე სამმართველოსთვის დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებაზე; გ) ანაწილებს მოვალეობებს სამმართველოს მოხელეებს შორის და აძლევს მათ შესაბამის მითითებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი თ. მ. აკეთებს ასეთ დასკვნას: მას, როგორც სამმართველოს უფროსს, არ ევალებოდა უშუალოდ თვითონ გასულიყო სამშენებლო ობიექტზე, პირადად მოეხდინა ინსპექტირება და შეემოწმებინა რეალურად არსებული მდგომარეობა. მოცემულ შემთხვევაში, ეს ფუნქცია დაკისრებული ჰქონდა ტ. მ. რ. ს-ეს, რომელიც მისთვის წარდგენილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ სამშენებლო სამუშაოების შესრულების მხრივ ყველაფერი წესრიგში იყო, რის გამოც მას, როგორც სამმართველოს უფროსს, ამ მოხსენებით ბარათზე დაყრდნობით, უნდა დაედასტურებინა შპს „№...-ს“ დირექტორების მიერ მისთვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტი და შემდგომი მსვლელობა მიეცა მისთვის. ეს იყო ჩვეულებრივი სამუშაო პროცესი და ამით მას დანაშაული არ ჩაუდენია.

21. თ. მ-ისთვის ცნობილი იყო, რომ შპს „№...-ის“ მიერ არ იყო სრულად შესრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მსჯავრდებულმა მოხსენებითი ბარათი წარადგინა საფინანსო დეპარტამენტში, რომლითაც ადასტურებდა შპს „№...-ის“ მიერ შესრულებული სამუშაოს მიღებას სამინისტროს მი-

ერ და ბანკის მიერ თანხის ჩარიცხვის სამართლებრივ საფუძველს კომპანიისთვის.

22. სასამართლო ვერ გაიზიარებს თ. მ-ს პოზიციას მისი უდანაშაულობის თაობაზე, რადგან საქმეში არსებული მტკიცებულებები არ იძლევა საამისო საფუძველს. თ. მ. არ უარყოფს, რომ მან ფაქტობრივად ყალბი დოკუმენტი დაამოწმა და ამ დოკუმენტს მისცა შემდგომი მსვლელობა, რამაც შესაძლებლობა მისცა მსჯავრდებულებს მიეტაცებინათ დიდი ოდენობით სახელმწიფო თანხები. იგივე გარემოებები დასტურდება მსჯავრდებული რ. ს-ს ჩვენებითა და სხვა მოწმეების ჩვენებებით, ამოღებული დოკუმენტური მტკიცებულებებით.

23. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტები და ფორმა №...-ები ეტაპობრივად შემოდიოდა სამინისტროს კანცელარიაში, რომელიც ელექტრონულად ეწერებოდა გ. ნ-ს და ის შესასრულებლად აწერდა ტქნიკური ზედამხედველობის სამმართველოს. სამმართველო ამოწმებდა შპს „№...-ის“ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული სამუშაოების შესრულების ნამდვილობას ობიექტზე გასვლით, რის შემდეგაც გ. ნ-ს მიერ უფლებამოსილი პირი (რ. ს.) ხელს აწერდა შპს „№...-ის“ მიერ წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებსა და ფორმა №... და ამით დასტურდებოდა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს შესაბამისობა დოკუმენტებში დაფიქსირებულ სამუშაოებთან. საბოლოოდ შუალედური მიღება-ჩაბარების აქტები და ფორმა №...-ები ეგზავნებოდა საფინანსო დეპარტამენტს.

24. მთავრობის №...-ე დადგენილების და სამინისტროს №... ბრძანების თანახმად, ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტს ევალებოდა სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში დასრულების მიზნით კალენდარული გრაფიკების პერიოდული კონტროლი და შესაბამისი წინადადებების წარდგენა შემდგომი რეაგირების მიზნით.

25. კასატორი მიუთითებს რომ მას, როგორც ხელმძღვანელს, არ ევალებოდა პირადად მოეხდინა სამშენებლო ობიექტის ინსპექტირება. თუმცა კასატორის მიერვე მითითებული ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ცალსახად ადგენს დეპარტამენტის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობას მისი ქვემდებარე სამმართველოს სამსახურებრივი ამოცანების შესრულებაზე, რაც გულისხმობს მათ შესასრულებლად ხელქვეითი მოხელეების საქმიანობაზე ჯეროვანი კონტროლის განხორციელებას, მათი მხრიდან მათ შორის შესაძლო სამსახურებრივი, თუ დანაშაულებრივი გადაცდომების თავიდან აცი-

ლების მიზნით. ზემდგომ ხელმძღვანელ პირს უფლება არ აქვს ბრმად ენდოს ხელქვეითი მოხელის მიერ მისთვის წარდგენილ ნებისმიერ სამსახურებრივ დოკუმუნტს, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება ძალიან დიდ სახელმწიფო თანხებს – მილიონობით ლარის ოდენობით. ზემდგომი ხელმძღვანელის, უფროსის თანამდებობრივი მდგომარეობა მას ავალდებულებს სისტემატური კონტროლი განახორციელოს ქვემდგომი მოხელეების საქმიანობის კანონიერებაზე. ამას უპირობოდ გულისხმობს როგორც ზემოაღნიშნული დებულების მე-4 მუხლი, ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიც.

26. სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ის გარემოება, რომ ყალბი აქტი დასამოწმებლად მას წარუდგინა ს-მ, რ. ს-მ, რომელიც თავისი მოხსენებითი ბარათით არწმუნებდა აქტში მითითებული ფაქტის ნამდვილობაში, თ. მ-ს არ ათავისუფლებდა ვალდებულებისგან – საფუძვლიანად შეესწავლა და შეემოწმებინა მიღება-ჩაბარების აქტში ასახული ინფორმაციის სინამდვილისადმი შესაბამისობა. თ. მ. ვალდებული იყო ხსენებულ დოკუმენტში ასახული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება მასზე ხელმოწერის შესახებ და ისე მიეცა შემდგომი მსვლელობა ამ დოკუმენტისთვის.

27. მიუხედავად ამისა, სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უტყუარი მტკიცებულებით დადასტურებულ უდავო ფაქტობრივ გარემოებებს მისცა არაზუსტი სამართლებრივი შეფასება, როდესაც მსჯავრდებულ თ. მ-ს ქმედება დააკვალიფიცირა როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. საქმეში არ არსებობს იმის დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულება, რომ თ. მ. სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ მოქმედებდა განზრახ და მისი მიზანი იყო არამართლზომიერი უპირატესობა მიენიჭებინა შპს „№...-ისათვის“. მართალია, მსჯავრდებული რ. ს. თავის აღიარებით ჩვენებაში მიუთითებს, რომ 2014 წლის 1 აგვისტოს ზემოაღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის დამოწმებისას პირადად მისთვის ცნობილი იყო შპს „№...-ს“ დირექტორების მიერ სს „ლ-ში“ სხვა, შესაძლო ყალბი მიღება-ჩაბარების აქტების წარდგენის შესახებ, მაგრამ ის არაფერს ამბობს – აღნიშნულის შესახებ იცოდა თუ არა თ. მ-მაც. სააპელაციო სასამართლო განაჩენში აღნიშნავს: თ. მ-მ მაინც დაამტკიცა მისთვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტი, მიუხედავად იმისა, რომ ტ-თვის ცნობილი იყო ზემოაღნიშნული ყალბი აქტების არსებობის შესახებ. თუმცა სააპელაციო სასამართლო ვერ ამბობს, რომ იგივე გარემოების შესახებ ცნობილი იყო პირადად თ.

მ-სთვის და ამ უკანასკნელმა ყალბი დოკუმენტი წინასწარი შეცნობით დაამოწმა თავისი ხელმოწერით, რათა ამ გზით არამართლზომიერი უპირატესობა მიენიჭებინა შპს „№...-ისათვის". აღნიშული არ დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებითაც.

28. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ თ. მ-ს, რომელიც უსაფუძვლოდ ენდო მისი ხელქვეითი მოხელის მიერ მისთვის წარდგენილ დოკუმენტებს და იმედოვნებდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, ჩადენილი აქვს არა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, არამედ სამსახურებრივი გულგრილობა, ესე იგი თავისი სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების დარღვევა გამოიწვია, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. საგულისხმოა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განვითარებული შემდეგი მსჯელობა ხელქვეითი მოხელისადმი გამოჩენილი ნდობა თ. მ-ს არ ათავისუფლებდა მოვალეობისგან – საფუძვლიანად შეესწავლა რ. ს-ს მიერ მისთვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის სინამდვილისადმი შესაბამისობა და ისე მიეღო გადაწყვეტილება, არაპირდაპირ სწორედ იმაზე მიანიშნებს, რომ თ. მ-ს ქმედება ჩადენილი აქვს გაუფრთხილებლობით და არა განზრახ. ამიტომ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება თ. მ-ს მიმართ, მის სასიკეთოდ, კერძოდ, მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე. რაც შეეხება სასამართლოს მიერ თ. მ-სთვის შეფარდებულ სასჯელს, აღნიშნული სასჯელის სახე – ჯარიმა გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო სასჯელის ზომა – ჯარიმა 15 000 ლარის ოდენობით შეესაბამება, როგორც ჩადენილი ქმედების სიმძიმეს, ისე მსჯავრდებულის პიროვნებას, სრულად აკმაყოფილებს სასჯელის განსაზღვრისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც აღნიშნულ ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად. სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ჯარიმასთან ერთად ითვალისწინებდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას. საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილის სანქციით აღნიშნული სასჯელის გამოყენება გათვალისწინებული არ არის. ხოლო დამატებითი სასჯელის სახით თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის გამოყენება, საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის საშიშროების, ხა-

სიათის, ხარისხის და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს შეუნარჩუნოს პირს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება.

29. სასამართლო ითვალისწინებს რომ „სასჯელი ერთი მხრივ უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივ ....ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით....სახელმწიფოს ევალება ადამიანისთვის, საზოგადოებისთვის, სახელმწიფოსთვის საფრთხის შემქმნელი რისკების სწორად შეფასება, პროგნოზირება, რეალური საფრთხეების ობიექტურად აწონვა და მათ ასაცილებლად ან გასანეიტრალებლად გონივრული, უკიდურესად აუცილებელი, ამასთან, საკმარისი ღონისძიებების გამოყენება. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38, II-33).

30. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენის მოტივს და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხს და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, ასაკს და მიიჩნევს რომ სასჯელის მიზნების უზრუნველყოფისთვის არ არსებობს სსკ-ის 43-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლები.

31. სასამართლომ განიხილა მსჯავრდებულ ნ. ე-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. ხ-ს საკასაციო საჩივარი, რომლითაც ის ითხოვს მსჯავრდებულის გამართლებას. სასამართლომ შეისწავლა საქმეში არსებული ის მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც მოხდა ნ. ე-ს დამნაშავედ ცნობა და შეამოწმა ისინი, როგორც მათი მოპოვების კანონიერების, ასევე მსჯავრდებულის ბრალეულობის დასადასტურებლად მათი უტყუარობისა და საკმარისობის თვალსაზრისით. სასამართლოს მხედველობაში აქვს საქმეში არსებული დოკუმენტური მტკიცებულებები, კერძოდ, სამშენებლო კომპანია შპს „№...“-ს სახელით მისი დირექტორების – ნ. ე-ისა და ა. ხ-ის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლ-ში და „ლ-ში“ წარდგენილი, აღნიშნულ სამინისტროსა და შპს-ს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების „№...“-ს მიერ სრულად შესრულების დამადასტურებელი მიღებაჩაბარების აქტები და მათზე თანდართული ფორმა №..., რომლებიც შპს „№...-ს“ მხრიდან ხელმოწერილი და დამოწმებულია მისი

დირექტორის, ნ. ე-ს მიერ, რაც უდავო ფაქტს წარმოადგენს. მაგრამ აღნიშნული დოკუმენტები სრულიად არ შეესაბამებოდნენ რეალობას, ვინაიდან, სინამდვილეში ხსენებული შპს-ს მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მხოლოდ ნაწილობრივ იყო შესრულებული, თუმცა ხსენებულ დოკუმენტებში ნაჩვენები იყო, რომ სამშენებლო სამუშაოები სრულად იყო შესრულებული. საბოლოო ჯამში, ამ დოკუმენტებში შესრულებულად ნაჩვენები სამუშაოებისა და რეალურად შესრულებული სამუშაობების ღირებულებებს შორის სხვაობა თანხობრივად შეადგენდა 1 081 611 ლარსა და 48 თეთრს, რომელიც უკანონოდ გადაერიცხა შპს „№...“-ს. აღნიშნული გარემოებები დასტურდება არამარტო მითითებული დოკუმენტებით, არამედ ასევე მათთან დაკავშირებით ჩატარებული სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნითაც (25.11.2014 წ., №...). გარდა ამ მტკიცებულებებისა, მსჯავრდებულ ნ. ე-ს მიერ მისთვის შერაცხული ქმედების ჩადენა დასტურდება აგრეთვე საქმეზე მოწმედ დაკითხული, „ლ-ს“ წარმომადგენლების – დ. ვ-ს, ი. ჩ-სა და ზ. კ-ს ჩვენებებით. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული დოკუმენტები და მოწმეების ჩვენებები წარმოადგენენ პირდაპირ მტკიცებულებებს, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებს მსჯავრდებულ ნ. ე-ს მიერ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებითა და დიდი ოდენობით თაღლითობის ჩადენას, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით.

32. სასამართლო აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ ნ. ე-ს ინტერესების დამცველი კასატორი თავის საჩივარში შემოიფარგლება საპროცესო დარღვევების არსებობის თაობაზე ზოგადი მსჯელობით და არ უთითებს აღნიშნულის დამადასტურებელ კონკრეტულ გარემოებებზე, რაც სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას შეემოწმებინა კასატორის მიერ მითითებული საკითხების შესაბამისობა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან ანდა მსჯავრდებულის შესაძლო უდანაშაულობის თაობაზე იმ პირობებში, როდესაც ბრალდების მხარეს წარმოდგენილი აქვს ბრალის დამადასტურებელი, კანონიერი გზით მოპოვებული სარწმუნო პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობა.

33. სასამართლომ ყურადღებით განიხილა ასევე ნ. ე-ს მიმართ გამოყენებული სასჯელის სახე და ზომა – თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით და თვლის, რომ აღნიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათს, იმ მაკვალიფიცირებელ გარემოებებს, რომლებშიც იქნა ჩადენილი ეს ქმე-

დება, ამ უკანასკნელით გამოწვეულ შედეგებსა და მსჯავრდებულის პიროვნებას, აკმაყოფილებს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ამასთან, წარმოადგენს აუცილებელ და საკმარის ზომას სასჯელის კანონით გათვალისწინებული მიზნების მიღწევისთვის. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, გასაჩივრებული განაჩენი ნ. ე-ს მსჯავრდების ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

34. ამავე დროს, სასამართლოს საჭიროდ მიაჩნია ყურადღება გაამახვილოს შემდეგ გარემოებაზე: ნ. ე-ს, მაკვალიფიცირებელ გარემოებებში ჩადენილ თაღლითობასთან ერთად, ბრალდება წარდგენილი ჰქონდა აგრეთვე აღნიშნული თაღლითობის ჩასადენად ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენების მიზნით დამზადებისა და გამოყენების თაობაზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა 1-ლი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია და მსჯავრდებულ ნ. ე-ს მის მიმართ წარდგენილი ბრალდებიდან ამოურიცხა სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალი, როგორც ზედმეტად წარდგენილი. აღნიშნულთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლო განაჩენში მიუთითებს, რომ საქმეში არ მოიპოვება საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ ნამდვილად ნ. ე-მ დაამზადა ის ყალბი დოკუმენტები (იგულისხმება ზემოხსენებული ყალბი მიღება–ჩაბარების აქტები და მათზე თანდართული ასევე ყალბი ფორმა №...-ები), რომლებიც შემდგომში მან გამოიყენა ანუ წარადგინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლ-სა და „ლ-ში“. რაც შეეხება ამ დოკუმენტების გამოყენებას, ეს უკანასკნელი, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენდა ნ. ე-ს მიერ ჩადენილი თაღლითობის ქმედების შემადგენელ ელემეტს, რის გამოც მას ცალკე კვალიფიკაცია არ სჭირდება.

35. სასამართლო, შემდგომში სწორი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, განმარტავს: ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებაში პირის ბრალეულად ცნობისთვის სრულიად საკმარისია იმის უტყუარად დადგენა, რომ მან შეასრულა დოკუმენტის გაყალბების თუნდაც ერთი, მაგრამ აუცილებელი ელემენტი საიმისოდ, რომ ამ დოკუმენტს სამოქმედოდ საჭირო ძალა შეეძინა და გამხდარიყო სხვა დანაშაულებრივი მიზნებისთვის გამოსაყენებლად ვარგისი. მოცემულ საქმეზე მტკიცებულებების სახით ამოღებული ყალბი მიღება-ჩაბარების აქტები და მათზე თანდართული ფორმა №...-ები დამოწმებულია შპს „№...-ს“ დირექტო-

რის, ნ. ე-ს მიერ – მისი ხელმოწერითა და აღნიშნული დაწესებულების ბეჭდით, რომლის გარეშეც ამ დოკუმენტებს არავითარი ძალა არ ექნებოდათ და სრულიად გამოუყენებადი იქნებოდნენ შესაბამის სახელმწიფო უწყებასა თუ კერძო დაწესებულებაში ოფიციალური დოკუმენტის სახით წარდგენისათვის. ხსენებული დოკუმენტების მითითებული რეკვიზიტები რომ ნამდვილად ნ. ე-ს მიერაა შესრულებული, საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, სადავოდ არ ითვლება და ამის თაობაზე თვით მსჯავრდებული და მისი დაცვის მხარეც არ დავობს. როგორც ირკვევა, მსჯავრდებულმა ნ. ე-მ განახორციელა სინამდვილისადმი სრულიად შეუსაბამო შინაარსის მქონე, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადების საბოლოო და გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ელემენტი, როდესაც ისინი მან, როგორც შპს „№...“-ს დირექტორმა, თავისი პირადი ხელმოწერითა და მისი ქვემდებარე დაწესებულების ოფიციალური ბეჭდით დაამოწმა. ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში, ნ. ე-ს ბრალეულობისთვის არსებითი მნიშვნელობა ვერ მიენიჭება შემდეგ გარემოებას – მის მიერ ხელმოწერამდე და ბეჭდით დამოწმებამდე ზემოხსენებული ყალბი დოკუმენტები ფიზიკურად ვინ შეადგინა ან გააფორმა, თვითონ მან, თუ ვინმე სხვა პირმა. ის გარემოება კი, რომ ეს დოკუმენტები მსჯავრდებულის მიერ გამოყენების მიზნით იქნა დამზადებული, ასევე უდავოდაა დადასტურებული იმ უტყუარი ფაქტით, რომ მათი დამზადების შემდეგ, ისინი მან წარადგინა ზემოხსენებულ სამინისტროსა და „ლ-ში“, წინასწარ გამიზნული თაღლითობის ჩასადენად. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნ. ე-სთვის წარდგენილი ბრალი მის მიერ ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენების მიზნით დამზადების თაობაზე, სასამართლოს მიერ უსაფუძვლოდ იყო ამორიცხული მისი მთლიანი ბრალდებიდან. აღნიშნულის მიუხედავად სასამართლო საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, გასაჩივრებულ განაჩენს საქართველოს სსკ–ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ბრალდების ნაწილში მსჯავრდებულ ნ. ე-ის მიმართ საუარესოდ ვერ შეაბრუნებს საამისოდ აუცილებელი საპროცესო საფუძვლის – ბრალდების მხარის მოთხოვნის არარსებობის გამო, ამიტომ, აღნიშნულ განაჩენს ნ. ე-ს მსჯავრდების ნაწილში, ტოვებს უცვლელად.

36. სასამართლომ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 309-ე მუხლით გათვალისწინებული სარევიზიო წესით გადაამოწმა გასაჩივრებული განაჩენის კანონიერება რ. ს-ს მსჯავრდების ნაწილშიც, რომელსაც მოცემულ საქმეზე საკასაციო საჩივარი არ შეუტანია. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებების შემოწ-

მებით დგინდება, რომ მსჯავრდებულ რ. ს-ს ნამდვილად აქვს ჩადენილი მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რის გამოც ამ ნაწილში გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველი არ არსებობს და ის უნდა დარჩეს უცვლელად.

37. სასამართლომ შეისწავლა ასევე ბრალდების მხარის წარმომადგენლის, პროკურორ ზინიკო ქობალიას საკასაციო საჩივარი, რომლითაც კასატორი ითხოვს მსჯავრდებულებისთვის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელების გამკაცრებას. გარემოებები, რომლებსაც ეყრდნობა კასატორი, აფუძნებენ იმ ქმედებების ძირითად შემადგენლობებს ანუ კვალიფიკაციას, რაც მსჯავრდებულებს შეერაცხათ. პროკურორს საკასაციო საჩივარში არ მიუთითებია რაიმე ისეთ მნიშვნელოვან და არსებითი ხასიათის ახალ გარემოებებზე, რომლებიც შეიძლება საფუძველი გამხდარიყო მსჯავრდებულთა მიმართ სასჯელების გამკაცრებისთვის.

38. სასამართლო თვლის, რომ მსჯავრდებულებისთვის დანიშნული სასჯელი უზრუნველყოფს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას; სასჯელის დანიშნვისას სასამართლომ გაითვალისწინა მსჯავრდებულთა მიმართ არსებული შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, თითოეული მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი, დამდგარი შედეგი, თითოეულის პირადი და ეკონომიკური მდგომარეობა; დანიშნული სასჯელი პასუხობს სასჯელის ინდივიდუალიზაციის და სამართლიანობის მოთხოვნებს.

39. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ პროკურორ ზ. ქობალიას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და მსჯავრდებულებისთვის დანიშნული სასჯელები უნდა დარჩეს უცვლელად.

40. სასამართლო ითვალისწინებს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება სასამართლოებს ავალდებულებს, ნათლად მიუთითონ საფუძვლები, რომლებსაც დაეყრდნენ გადაწყვეტილების მიღებისას (იხ. Taxquet v. Belgium [GC], ECtHR, no. 926/05, § 91, ECtHR 2010, და Nikolay Genov v. Bulgaria, no. 7202/09, §27, 13/07/2017). იმავდროულად, დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, § 31, ECtHR, 11/11/2011); ზედა ინსტანციის სასამართლოებს უფლება აქვთ დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ., Hirvisaari v. Finland, ECtHR, N49684/99, §30, 25/12/2001).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის უფროსი პროკურორის – ზინიკო ქობალიას, მსჯავრდებულ თ. მ-ს, მსჯავრდებულ ნ. ე-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. ხ-სა და მსჯავრდებულ ა. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. გ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

თ. მ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

თ. მ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.

3. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ

1. დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ

მტკიცებულების განადგურების მცდელობა

განაჩენი
საქართველოს სახელით

22[1]-20 28 მაისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
მ. ვასაძე

განიხილა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანი ბორჩაშვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 8 აპრილის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილებით ე. ნ-ს ბრალი დაედო სისხლის სამართლის საქმეზე მტიცებულების განადგურების მცდელობაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2020 წლის 17 იანვარს, დაახლოებით 16:40 საათზე, ქ.ბ-ში მდებარე, დ. კ-ს №... საცხოვრებელ ბინაში ყოფნის დროს, ე. ნ-მ სცადა გაენადგურებინა დ. კ-ს კუთვნილი მარიხუანა, რა მიზნითაც 12 ცალ ქოთანში არსებულ მიწის მასაში, დ. კ-ს მიერ უკანონოდ დათესილი და კულტივირებული მცენარე მარიხუანა გადაჭრა და ჩაყარა იმავე კორპუსის მეექვსე სართულზე მდებარე ი. ჯ-ს №... საცხოვრებელი ბინის აივანზე. ბათუმის რაიონული პროკურატურის მიერ ე. ნ-ს ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 368-ე მუხლით.

2. საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ შუამდგომლობისა და საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე ოქმის თანახმად, ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ანი ბორჩაშვილმა მხედველობაში მიიღო: ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და სიმძიმე, მსჯავრდებულის პიროვნული მა-

ხასიათებლები, ასევე ის გარემოებები, რომ ე. ნ-მ აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას; სადავოდ არ გაუხდია ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და უარი განაცხადა სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე; ნებაყოფლობით მიმართა პროკურატურას განცხადებით და თანხმობა განაცხადა ბრალზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ. 2020 წლის 9 მარტს, საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-211-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, ბრალდებულ ე. ნ-ს, მისი ინტერესების დამცველ ადვოკატ გ. თ-სა და პროკურორ ანი ბორჩაშვილს შორის, ზემდგომი პროკურორის თანხმობით, წერილობით გაფორმდა ოქმი საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოში პროკურორმა ანი ბორჩაშვილმა, ასევე ბრალდებულმა ე. ნ-მ და მისი ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. თ-ემ მხარი დაუჭირეს არსებულ შეთანხმებას, მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება და ბრალდებულის მიმართ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე.

4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 მარტის განჩინებით ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანი ბორჩაშვილის შუამდგომლობა, ბრალდებულ ე. ნ-სთან დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისა და საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა და მას უარი ეთქვა მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე.

5. აღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა ანი ბორჩაშვილმა, რომელიც საჩივრით ითხოვდა განჩინების გაუქმებასა და ე. ნ-სთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 8 აპრილის განჩინებით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 მარტის განჩინება დარჩა უცვლელად და სისხლის სამართლის საქმე ე. ნ-ს მიმართ დაუბრუნდა ბათუმის რაიონულ პროკურატურას.

7. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორი ანი ბორჩაშვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 8 აპრილის განჩინების გაუქმებას, ე. ნ-სთან, მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მეშვეობით, დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას; საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის

გამოტანას, კერძოდ: ე. ნ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 368-ე მუხლით, ხოლო სასჯელის სახედ და ზომად ჯარიმის – 5000 ლარის შეფარდებას.

8. სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე პროკურორმა გ. ბახტაძემ, ბრალდებულმა ე. ნ-მ და მისი ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. თ-ემ.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ პროკურორის საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 8 აპრილის განჩინება; დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება ბრალდებულ ე. ნ-სა და პროკურორ ანი ბორჩაშვილს შორის შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით და დამტკიცდეს სასამართლოს მიერ. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო საქმის მასალებისა და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე ამოწმებს, დასაბუთებულია თუ არა ბრალდება, არსებობს თუ არა ამ კოდექსით გათვალისწინებული გარემოებები და არის თუ არა კანონიერი და სამართლიანი შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი. ამავე მუხლის მე-6[1] ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ კოდექსის მე-3 მუხლის მე-11[1] ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს, ან დაადგენს, რომ პროკურორის შუამდგომლობა ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევით არის წარმოდგენილი, იგი საქმეს პროკურორს უბრუნებს.

4. სასამართლო დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას ე. ნ-ს მიმართ არ განხორციელებულა ძალადობა, დაშინება, მოტყუება, მუქარა ან რაიმე უკანონო დაპირება; მას არ შეზღუდვია უფლება, მიეღო იურიდიული დახმარება. სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ იქნა, რომ ე. ნ. სრულად აცნობიერებს საპ-

როცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ, კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, აღიარებს ბრალს და ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომაზე. ე. ნ. ასევე აცნობიერებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია არ მიიღოს მხედველობაში შეთანხმების საფუძველზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

5. ე. ნ-სთვის ცნობილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მისი უფლებები; მისთვის ასევე ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმება არ ათავისუფლებს მას სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

6. სასამართლო ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11[1] ნაწილის თანახმად, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არის მტკიცებულებები, რომლებიც დაარწმუნებდა ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე.

7. სასამართლომ განიხილა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანი ბორჩაშვილის საკასაციო საჩივარი და მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინებით პროკურორს არასწორად ეთქვა უარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე. კერძოდ, სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ბრალდებულ ე. ნ-ს ქმედება არასწორად არის დაკვალიფიცირებული, რის გამოც მხარეებს უარი უნდა ეთქვას მათ შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე.

8. სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოში ოფიციალურ წარდგენამდე სისხლის სამართლის საქმეში არსებული მასალები – ინფორმაცია, მონაცემი, დოკუმენტი, ნივთი, საგანი და სხვა, არ წარმოადგენს მტკიცებულებას, რის გამოც მისი განადგურება ვერ დაკვალიფიცირდება საქართველოს სსკ-ის 368-ე მუხლით. აღნიშნული პოზიციის დასაბუთებისას სასამართლო ეყრდნობა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებულ დებულებას, რომლის თანახმად, მტკიცებულება არის „კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულე-

ბენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას". მაგრამ სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ყურადღების მიღმა დატოვა ის გარემოება, რომ იმავდროულად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვა ნორმებში წარმოდგენილი დებულებები მიუთითებს მტკიცებულებების არსებობის შესაძლებლობაზე ჯერ კიდევ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე, სასამართლოში მათ წარდგენამდე, მაგალითად, საქართველოს სსსკ-ის იმავე მე-3 მუხლის 25-ე ნაწილი, 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ნ" ქვეპუნქტი, 38-ე მუხლის მე-7 ნაწილი, 39-ე მუხლი, 83-ე მუხლის მე-8 ნაწილი, 169-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტი.

9. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს, რომ რიგ შემთხვევებში საქმის წარმოება და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება შეიძლება განხორციელდეს საქმის სასამართლოში განხილვისას, მათ შორის წინასასამართლო სხდომამდეც. მაგალითად, საქართველოს სსსკ-ის 105-ე მუხლის საფუძველზე გადაწყვეტილება გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის შესახებ; გადაწყვეტილება პირის მიმართ განრიდების გამოყენების შესახებ, გადაწყვეტილება პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ და ა. შ. გამოძიების ეტაპზე გადაწყვეტილება პროცესის მწარმოებელი სუბიექტის მიერ მიღებული უნდა იქნეს საქმეზე შეკრებილი ინფორმაციის მატარებლების – მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე და უნდა იყოს დასაბუთებული, რაც გულისხმობს რომ მიღებულ დადგენილებაში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული როგორც მიღებული გადაწყვეტილება, ასევე კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებსაც ის ეყრდნობა. აღნიშნული საპროცესო ნორმების შინაარსი პირდაპირ მიანიშნებს, რომ სხვადასხვა ფაქტობრივი მონაცემი, დოკუმენტი, ინფორმაცია, ნივთი თუ ნივთიერება, რომელთაც საქმესთან შეხება გააჩნიათ, შეფასებული უნდა იქნეს სსსკ-ის 82-ე მუხლის საფუძველზე (მათი საკმარისობის და რელევანტურობის თვალსაზრისით) და მტკიცებულების სამართლებრივ სტატუსს იძენენ სასამართლოში მათ წარდგენამდეც (რაც არ გა-

მორიცხავს მათ დაუშვებლად ცნობას წინასასამართლო სხდომაზე).

10. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და სისხლის სამართლის კოდექსის 368-ე მუხლების მიზნებისთვის მტკიცებულების ცნების შინაარსზე. კერძოდ, საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილში მოცემული ნორმისგან განსხვავებით საქართველოს სსკ-ის 368-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულების ცნება სისხლის სამართლის საქმეზე უფრო ფართოდ უნდა იქნეს განმარტებული და მასში მოაზრებული უნდა იქნეს მათ შორის ე.წ. სამხილიც, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილში მითითებულ გარემოებებზე და რომლის მოპოვებას მხარე ახორციელებს საკუთარი პოზიციის სისწორის მტკიცების მიზნებისთვის.

11. საქართველოს სსკ-ის 368-ე მუხლის დაცვის ობიექტია მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესი; ამასთან, ამ მუხლში წარმოდგენილი ნორმის მიზანია მტკიცებულებითი ხასიათის ინფორმაციის დაცვა და საბოლოო ჯამში მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის პრევენცია, რაც არ უკავშირდება მხოლოდ საპროცესო წესით დამაგრებული ინფორმაციის მატარებლების დაცვას. ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მესამე პირთა მხრიდან განადგურებისგან იმ ინფორმაციის დაცვაც, რომლის მოპოვებას ემსახურება კონკრეტული საგამოძიებო თუ სხვა საპროცესო მოქმედების განხორციელება. ამასთან მნიშვნელობა არ აქვს ხელყოფის ობიექტი მამხილებელი თუ გამამართლებელი ხასიათის ინფორმაციის მატარებელია. აღნიშნული რეგულაცია თანაბრად უზრუნველყოფს როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისა და საკუთარი პოზიციის მტკიცების შესაძლებლობას, ხელს უწყობს შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაციას და დაცვის უფლების, საბოლოო ჯამში კი – მართლმსაჯულების სრულყოფილად განხორციელებას. განსხვავებული ინტერპრეტაცია ქმნის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი ობიექტების მიზანმიმართული განადგურებისათვის პროცესის მონაწილის ან გარეშე პირის დაუსჯელობის საფრთხეს, ხოლო ამგვარი, თუნდაც საპროცესო წესით ჯერ კიდევ დაუმაგრებელი მტკიცებულების განადგურებამ კი შეიძლება გამოიწვიოს უდანაშაულო პირის მსჯავრდება ან, პირიქით, დანაშაულის ჩამდენი პირისთვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილება.

12. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონმდებელი აღნიშნული ქმე-

დების განხორციელებას პირდაპირ განზრახვას უკავშირებს. შესაბამისად, პირს მტკიცებულების განადგურებისას გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ეს შედეგი. მნიშვნელოვანია, დანაშაულის სუბიექტს გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ ინფორმაციის მატარებელი ობიექტი, რომლის განადგურებასაც ის ახდენს, შეიძლება მომავალში კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად. საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება საააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ე. ნ-ს ქმედებაში მისთვის ბრალად წარდგენილი დანაშაულის ჩადენის განზრახვის არარსებობის თაობაზე. როგორც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, ე. ნ-მ 12 ქოთანში არსებული ე.წ. მარიხუანა გადაჭრა და გადაყარა მეზობლის აივანზე, რათა პოლიციის თანამშრომლებს ჩხრეკისას არ აღმოეჩინათ ისინი. მოცემულ შემთხვევაში ნათელია ე. ნ-ს მიერ განხორციელებული ქმედების მიზანი.

13. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ობიექტური მხრივ, საქართველოს სსკ-ის 368-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გამოიხატება სამართალწარმოების მონაწილის მიერ ინფორმაციის მატარებელზე ისეთ ზემოქმედებაში, რომლის შედეგად იგი წყვეტს თავის არსებობას ან ისეთ შეუქცევად დაზიანებას განიცდის, რის გამოც ის გამოუსადეგარი ხდება თავისი დანიშნულებით გამოყენებისთვის. მოცემული სისხლისსამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული ქმედების მომიჯნავე შემადგენლობებისგან განსხვავება მდგომარეობს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებლის მიმართ ზემოქმედების ხარისხში და არა იმაში აღნიშნული ობიექტი დანაშაულის ჩადენის იარაღი, საგანი თუ მტკიცებულებად ცნობილი სხვა ობიექტია საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის ვიწრო გაგებით. კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 368-ე მუხლი ადგენს დასჯადობას აღნიშნული ობიექტების განადგურებისთვის და არა პროცესის მწარმოებელი ორგანოსთვის მათ ხელმისაწვდომობაში დაბრკოლებების შექმნის გამო (მაგ. გადამალვა). შესაბამისად, მომიჯნავე ქმედებების შემადგენლობები (მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლი) ითვალისწინებს აღნიშნული საგნების მომავალში მოპოვების შესაძლებლობას, თუნდაც არაგონივრული ძალისხმევის შედეგად, თავდაპირველ მდგომარეობაში ან არსებითად სახეშეცვლილი მდგომარეობის გარეშე, ხოლო საქართველოს სსკ-ის 368-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა გულისხმობს სუბიექტის მხრიდან ისეთი ქმედების განხორციელებას, რაც იწვევს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინ-

ფორმაციის (ინფორმაციისა მატარებლის, ან მასზე არსებული ინ-ფორმაციის) განადგურებას.

14. როგორც საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით და სასამართლო განხილვით დგინდება, ე. ნ-მ აღიარა დანაშაული, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას, უდავოდ ცნო ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, მისთვის განეული იურიდიული დახმარების პირობებში ნებაყოფლობით და გაცნობიერებულად განაცხადა უარი სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე, თანხმობა განაცხადა ბრალზე საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, აღიარებს ბრალს და ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომაზე.

15. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ასევე საპროცესო შეთანხმების მიხედვით ე. ნ-ს მიმართ გამოსაყენებელი სასჯელის სამართლიანობაზე. სასჯელის განსაზღვრისას, საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის თანახმად, მხედველობაშია მისაღები სასჯელის შემდეგი მიზნები: სამართლიანობის აღდგენა; ახალი დანაშაულის თავიდან აცილება; დამნაშავის რესოციალიზაცია. საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელის სახე და ზომა არის კანონიერი და სამართლიანი, უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის მიზნების მიღწევას და პასუხობს სსკ-ის 53-ე მუხლის მოთხოვნებს. შესაბამისად, არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით განსაზღვრული, პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები.

16. ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს: ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანი ბორჩაშვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 8 აპრილის განჩინება საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორის ანი ბორჩაშვილის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ უნდა გაუქმდეს; უნდა დაკმაყოფილდეს სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა და დამტკიცდეს მასა და ბრალდებულ ე. ნ. შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11[1] ნაწილით, 192-ე, 213-ე, 300-309-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანი ბორჩაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 8 აპრილის განჩინება.

3. დაკმაყოფილდეს სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა და დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ანი ბორჩაშვილსა და ე. ნ-ს შორის;

4. ე. ნ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19,368-ე მუხლებით და მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 5000 (ხუთი ათასი) ლარი.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ

პენიტენციურ დაწესებულებაში პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის ფიზიკური შეურაცხყოფა, ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ

განაჩენი
საქართველოს სახელით

№902აპ-19 21 მაისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ც-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. ჯ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 30 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 24 იანვრის განაჩენით გ. ც. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით (2017 წლის 1 თებერვლის, დაახლოებით 14:10 საათის ეპიზოდი) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით (2017 წლის 1 თებერვლის, დაახლოებით 18:11 საათის ეპიზოდი) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით (2017 წლის 25 მარტის ეპიზოდი) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით (2017 წლის 19 მაისის ეპიზოდი) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სსკ-ის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით (2017 წლის 25 მარტის ეპიზოდი) დანიშნულმა სასჯელმა – 11 წლით თავისუფლების აღკვეთამ შთანთქა დანარჩენი სამი ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით მას მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ახლად დანიშნულ სასჯელს – 11 წლით თავისუფლების აღკვეთას – ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენებით განსაზღვრული სასჯელების – თავისუფლების აღკვეთისა და ჯარიმის მოუხდელი ნაწილიდან – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, გ. ც-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო განაჩენის მიღების დღიდან – 2019 წლის 24 იანვრიდან.

2. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ც-მ ჩაიდინა პენიტენციურ დაწესებულებაში, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის ფიზიკური შეურაცხყოფა, ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ (ოთხი ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგში: მესტიის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის განაჩენით გ. ც. მსჯავრდებულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ, ჯგუფურად, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩადენილი მკვლელობის მცდელობისათვის.

სასჯელის მოხდის პერიოდში, 2017 წლის 1 თებერვალს, დაახლოებით 14:10 საათზე, გ-ს მ-ს ს. მ-ში მდებარე პენიტენციური დეპარტამენტის №... დაწესებულების მ. სარეჟიმო კორპუსის №... დეესკალაციის ოთახში, მსჯავრდებულმა გ. ც-მ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ამავე დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორ მ. ნ-ს, კერძოდ, ხელი დაარტყა გულმკერდის არეში.

2017 წლის 1 თებერვალს, დაახლოებით 18:11 საათზე, გ-ს მ-ს ს. მ-ში მდებარე პენიტენციური დეპარტამენტის №... დაწესებულების მ. სარეჟიმო კორპუსის №... დეესკალაციის ოთახში, მსჯავრდებულმა გ. ც-მ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ამავე დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორ მ. ნ-ს, კერძოდ, ხელი დაარტყა შუბლის არეში.

2017 წლის 25 მარტს, დაახლოებით 23:03 საათზე, ქ.ბ-ში, თ. მ-ის ქუჩა №...-ში მდებარე პენიტენციური დეპარტამენტის №... დაწესებულების სარეჟიმო კორპუსის №... დეესკალაციის ოთახში, მსჯავრდებულმა გ. ც-მ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ამავე დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორებს – ნ. ჟ-სა და მ. ზ-ს, კერძოდ, ხელი დაარტყა მათ სახის არეში, რის შედეგად მ. ზ-მ მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად.

2017 წლის 19 მაისს, დაახლოებით 12:00 საათზე, ქ.ბ-ში, თ. მ-ის

ქუჩა №...ში მდებარე პენიტენციური დეპარტამენტის N- დაწესებულების სარეჟიმო კორპუსის №... დეესკალაციის ოთახში, მსჯავრდებულმა გ. ც-მ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ამავე დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორ ზ. შ-ს, კერძოდ, ფეხი დაარტყა მარჯვენა ზედა კიდურის არეში.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ, რომელიც საჩივრით ითხოვდა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 30 სექტემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 24 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. მსჯავრდებული გ. ც. და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ს. ჯ. საკასაციო საჩივრებით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და გ. ც-ს გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას გ. ც-ს საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით (2017 წლის 1 თებერვლის დაახლოვებით 18:11 საათის; ასევე 2017 წლის 25 მარტის და 2017 წლის 19 მაისის ეპიზოდში) მსჯავრდების ნაწილში და მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება მსჯავრდებულის მიერ მითითებული დანაშაულების ჩადენა. კერძოდ,

3. გ. ც-ს მიერ მ. ნ-სთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი (2017 წლის 1 თებერვლის, დაახლოებით 18:11 საათის ეპიზოდი) დასტურდება ოქმით ჯანმრთელობის დაზიანების შესახებ და აღნიშნული ოქმის ხელმომწერი დაზარალებულ მ. ნ-ს და თვითმხილველი მოწმეების – ლ. ჩ-ის და გ. ბ-ს ჩვენებებით, ასევე მოწმის – დ. ს-ის ჩვენებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 2017 წლის 1 თებერვლის ცნობით და, სამედიცინო ექსპერტიზის №– დასკვნით, რომლის სისწორეც დაადასტურა ექსპერტმა მ. ლ-მ.

4. იგივე რიცხვით დათარიღებული ჯანმრთელობის დაზიანების შესახებ ოქმის თანახმად, 2017 წლის 1 თებერვალს, დაახლოებით 18:05 საათზე, პენიტენციური დეპარტამენტის №... დაწესებულების მ. სარეჟიმო კორპუსის №... დეესკალაციის ოთახში განთავსებულმა მსჯავრდებულმა გ. ც-მ მიმართა თვითდაზიანებას, კერძოდ, პლასტმასის ჯამის ნატეხის საშუალებით მიიყენა ნასერი ჭრილობა (სიგრძით 2 სმ) მარცხენა წინა მხრის ქვედა მხარეში. მიუხედავად სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორ მ. ნ-ს არაერთი მოწოდებისა, რომ დამშვიდებულიყო და დაეცვა სამართლებრივი რეჟიმი, მსჯავრდებულმა გ. ც-მ მ. ნ-ს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ, შეკრული მუჭი დაარტყა შუბლის მარცხენა მიდამოში. მ. ნ. ინახულა დაწესებულების ექიმმა. მას შუბლის მარცხენა მიდამოში აღენიშნებოდა კანის სიწითლე. ოქმს ხელმოწერით ადასტურებენ როგორც დაზარალებული მ. ნ., ასევე მოწმეები – ლ. ჩ., გ. ბ. და თ. ნ..

5. დაზარალებულ მ. ნ-ს ჩვენებით, 2015 წლის სექტემბრიდან მუშაობს პენიტენციური დეპარტამენტის №... დაწესებულებაში, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორის თანამდებობაზე. 2017 წლის 1 თებერვალს, საღამოს, ვიზუალური და ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის განყოფილებიდან გადასცეს ინფორმაცია, რომ გ. ც. თვითდაზიანებებს იყენებდა. აღნიშნულის გამო, იგი რამდენიმე თანამშრომელთან ერთად შევიდა დეესკალაციის იმ ოთახში, სადაც მოთავსებული იყო გ. ც., რა დროსაც გ. ც-მ მას შუბლის არეში მოულოდნელად დაარტყა მუშტი, რის შედეგადაც განიცადა ფიზიკური ტკივილი.

6. მოწმე ლ. ჩ-ის ჩვენებით, 2017 წლის 1 თებერვალს ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, როდესაც საღამოს, ვიზუალური და ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის განყოფილებიდან გადასცეს ინფორმაცია, რომ გ. ც. თვითდაზიანებებს იყენებდა, რის გამოც მ. ნ-სა და გ. ბ-სთან ერთად შევიდა დეესკალაციის ოთახში, რა დროსაც მსჯავრდებულმა გ. ც-მ მ. ნ-ს მიზანმიმართულად დაარტყა მუშტი შუბლის არეში.

7. მოწმე გ. ბ-ს ჩვენებით, 2010 წლიდან მუშაობს პენიტენციური დეპარტამენტის №... დაწესებულებაში. მოწმემ დაადასტურა 2017 წლის 1 თებერვალს, საღამოს, გ. ც-ს მიერ, მისი თანდასწრებით, მ. ნ-ს მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი.

8. პენიტენციური დეპარტამენტის №... დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ინსპექტორის – თ. ნ-ის მიერ 2017 წლის 1 თებერვალს გაცემული ჯანმრთელობის დაზიანების შესახებ ოქმის თანახმად, მ. ნ-ს მარცხენა საფეთქლის მიდამოში აღენიშნებოდა რბილი ქსოვილების მსუბუქი დაჟეჟილობა.

9. 2017 წლის 25 მარტით დათარიღებული ოქმის თანახმად, 2017 წლის 25 მარტს, დაახლოებით 23:03 საათზე, №... პენიტენციური დაწესებულების მ. სარეჟიმო კორპუსის №... დეესკალაციის ოთახში განთავსებული მსჯავრდებული გ. ც. დეესკალაციის ოთახში კარზე აბრახუნებდა და აგინებდა დაწესებულების ადმინისტრაციას და თანამშრომლებს, ასევე, დააზიანა დეესკალაციის ოთახში არსებული ტყავის ლეიბი, რა დროსაც იქ შესულ მორიგე განწესის წევრებს, ინსპექტორ-კონტროლიორებს – მ. ზ-ს, ნ. ჟ-სა და ზ. გ-ს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ: მ. ზ-ს გაარტყა ხელი სახის არეში, რომელსაც აღენიშნება ლოყის შიგნითა ზედაპირზე – ნახეთქი დაზიანება, მარჯვენა თვალბუდის არეში მედეალურად – ნაკაწრი დაზიანება, ზედა ტუჩის მარჯვენა კუთხის არეში – ნაკაწრი, ასევე მარჯვნივ ქვედა ყბაზე – კბილის მოტეხილობა. მანვე ინსპექტორ-კონტროლიორ ნ. ჟ-ს გაარტყა ხელი, რომელსაც გარეგანი დათვალიერებით დაზიანება არ აღენიშნება, ხოლო ინსპექტორ-კონტროლიორ ზ. გ-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და უწევდა წინააღმდეგობას. გარეგანი დათვალიერებით ზ. გ-ს დაზიანება არ აღენიშნება. მორიგე ექიმმა მ. ხ-მ ინსპექტორ-კონტროლიორ მ. ზ-ს გაუწია პირველადი სამედიცინო დახმარება. ოქმს ხელმოწერით ადასტურებენ როგორც მ. ზ. და ნ. ჟ-ი, ასევე – ი. ხ-ში, ზ. გ., მ. ხ. და გ. შ..

10. მსჯავრდებულ გ. ც-ს მიერ დაზარალებულების – ნ. ჟ-ის, მ. ზ-ისა და ზ. შ-ისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტები დადასტურებულია როგორც დაზარალებულების ჩვენებებით, ასევე – დანაშაულის თვითმხილველი პირების ჩვენებებით.

11. 2017 წლის 25 მარტის და 2017 წლის 19 მაისის ეპიზოდებთან დაკავშირებით საქმეში წარმოდგენილი დაზარალებულების და მოწმეთა ჩვენებები თანხვედრაშია №... დაწესებულებიდან გამოთხოვილ ვიდეოჩანაწერებში ასახულ ინფორმაციასთან, სადაც გარკვევით ჩანს მომხდარი ძალადობის ფაქტები. ამასთან, მ. ზ-ისთვის გ. ც-ს მიერ მიყენებული დაზიანება დასტურდება ასევე სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით.

12. დაზარალებულ ნ. ჟ-ის ჩვენებით, 2015 წლიდან იგი მუშაობს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №... პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორის თანამდებობაზე. 2017 წლის 25 მარტს პენიტენციური დეპარტამენტის №... დაწესებულებიდან №... დაწესებულებაში გადაიყვანეს მსჯავრდებული გ. ც.. ვინაიდან იგი აპროტესტებდა აღნიშნულ დაწესებულებაში გადაყვანას და იყო ძალიან აგრესიული, მოათავსეს დეესკალაციის ოთახში, თუმცა არც იქ მშვიდდებოდა, რის გამოც მიღებულ იქნა გადაწ-

ყვეტილება მისთვის ხელბორკილის დადების შესახებ. ხელბორკილის დასადებად იგი მ. ზ-სთან, ზ. გ-სა და ბ. გ-სთან ერთად შევიდა დეესკალაციის ოთახში, რა დროსაც გ. ც-მ ჯერ მას დაარტყა ხელი სახის არეში, ხოლო შემდეგ – მ. ზ-ს. ნ. ჟ-ის განმარტებით, დარტყმის შედეგად მან განიცადა ტკივილი.

13. დაზარალებულ მ. ზ-ის ჩვენებით, 2015 წლიდან იგი მუშაობს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №... პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორის თანამდებობაზე. 2017 წლის მარტში, ნ. ჟ-სა და სხვა თანამშრომლებთან ერთად, ხელბორკილის დასადებად შევიდა გ. ც-თან დეესკალაციის ოთახში, რათა ამ უკანასკნელს თვითდაზიანება არ მიეყენებინა. მათი შესვლისთანავე გ. ც-მ მასაც დაარტყა ხელი სახის არეში და ნ. ჟ-საც. მ. ზ-ის განმარტებით, დარტყმის შედეგად მან განიცადა ფიზიკური ტკივილი, მოსდიოდა სისხლი და მოტყდა კბილი.

14. მოწმე ბ. გ-ის ჩვენებით, მუშაობს პენიტენციური დეპარტამენტის №... დაწესებულების დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. 2017 წლის 25 მარტს გ. ც. პენიტენციური დეპარტამენტის №... დაწესებულებიდან გადაიყვანეს №... დაწესებულებაში. დაწესებულებაში შეყვანისას იგი იყო ძალიან აგრესიული, არ ექვემდებარებოდა შინაგანაწესს და დაწესებულების თანამშრომლებს არ აძლევდა შემოწმების შესაძლებლობას, რის გამოც იგი განათავსეს დეესკალაციის ოთახში, სადაც უშუალოდ მისი თანდასწრებით, დაწესებულების ინსპექტორ-კონტროლიორებს – ნ. ჟ-სა და მ. ზ-ს სახის არეში მიაყენა დარტყმები. ასევე, მისთვის თანამშრომლებისგან ცნობილია, რომ 2017 წლის მაისში გ. ც-მ ზ. შ-საც დაარტყა ფეხი ხელის არეში.

15. სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ პენიტენციური დეპარტამენტის №... დაწესებულების №... დეესკალაციის ოთახში განთავსებული ვიდეოკამერის ჩანაწერზე ასახულია, თუ როგორ აყენებს გ. ც. ფიზიკურ შეურაცხყოფას ნ. ჟ-სა და მ. ზ-ს, კერძოდ, ვიდეოჩანაწერის გამოკვლევისას მკაფიოდ ჩანს, რომ 2017 წლის 25 მარტს, 23:03 საათზე, დეესკალაციის ოთახში შედის დაწესებულების ხუთი თანამშრომელი, რომელთაგან ორს გ. ც. აყენებს ფიზიკურ შეურაცხყოფას, კერძოდ, ნ. ჟ-ს მარცხენა ხელს ორჯერ ურტყამს სახის არეში, ხოლო მ. ზ-ს ჯერ მარჯვენა, ხოლო შემდეგ მარცხენა ხელს ურტყამს სახის არეში.

16. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 18 აპრილით დათარიღებული სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, პირადი შემოწმების მონაცემებით, მ. ზ-ს აღენიშნებოდა დაზიანება ნაჭდე-

ვებისა და სისხლნაჟღენთის სახით სახის არეში, ასევე – ქვედა ყბის მარჯვენა მე-5 კბილის ნაწილობრივი ჩამოტეხა. დაზიანებები მიყენებულია მკვრივი, ბლაგვი საგნის (საგნების) მოქმედებით და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად. დაზიანებათა ხანდაზმულობა არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში მითითებულ თარიღს.

17. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით, დისტანციური წესით, დაიკითხა ექსპერტი მ. მ., რომელმაც დაადასტურა მის მიერ გაცემული როგორც ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის სისწორე, ასევე, სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის სისწორე, რომლის თანახმად, პირადი შემოწმების მონაცემებით ნ. ჟ-ს სხეულზე ფიზიკური დაზიანების რაიმე ობიექტური კვალი არ აღენიშნებოდა.

18. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 8 აპრილით დათარიღებული სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, პაციენტის (გ. ც-ს) ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დინამიკური დაკვირვების დღიურის მორიგე ექიმის ჩანაწერის, №... დაწესებულების აქტი №...-ის მონაცემებითა და პირადი გასინჯვით გ. ც-ს აღენიშნება ნაკვეთი ჭრილობები მარცხენა წინამხრის, მარცხენა მტევნის, კისრის მარცხენა გვერდითი ზედაპირის მიდამოებში, სისხლნაჟღენთი მარჯვენა მხრის მიდამოში. დასკვნის თანახმად, ჭრილობები განვითარებულია მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით, სისხლნაჟღენთი – მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით და ისინი მიეკუთვნებიან მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად, ხოლო ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგებიან წინასწარ ცნობებში მითითებულ თარიღს. დასკვნის სისწორე დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა მ. ლ-მ.

19. 2017 წლის 19 მაისით დათარიღებული ოქმის თანახმად, 2017 წლის 19 მაისს, დაახლოებით 12:00 საათზე, №... პენიტენციური დაწესებულების მ. კორპუსის №... დეესკალაციის ოთახში განთავსებულ მსჯავრდებულ გ. ც-თან, მორიგე ჯგუფმა შეიყვანა ექიმი წნევის გასაზომად, რა დროსაც მსჯავრდებულმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ინსპექტორ-კონტროლიორ ზ. შ-ს, კერძოდ, ფეხი დაარტყა მას. მორიგე ექიმმა დაათვალიერა ინსპექტორ-კონტროლიორი ზ. შ., რომელსაც რაიმე დაზიანება არ აღენიშნება. ოქმს ხელმოწერით ადასტურებენ როგორც დაზარალებული ზ. შ., ასევე – მ. ი., ა. მ., თ. ც. და გ. შ..

20. დაზარალებულ ზ. შ-ის ჩვენებით დგინდება, რომ იგი მუშაობს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №... პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟი-

მის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორის თანამდებობაზე. 2017 წლის 19 მაისს იგი ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, რა დროსაც თანამშრომელმა აცნობა, რომ გ. ც. ასული იყო სარკმლის გისოსზე და ცდილობდა ვიდეოსამეთვალყურეო კამერის ჩამოგდებას. იგი ინსპექტორ-კონტროლიორ მ. ი-სთან ერთად შევიდა დეესკალაციის ოთახში, სადაც გ. ც-მ ჩამოაგდო ვიდეოკამერა. აღნიშნულის გამო გ. ც-ს დაადეს ხელბორკილი და გადაიყვანეს დეესკალაციის სხვა ოთახში, ხოლო მოგვიანებით, ხელბორკილის მოხსნისას, გ. ც-მ, ინსპექტორ-კონტროლიორ მ. ი-ის თანდასწრებით, მიაყენა მას ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ, რამდენიმე დარტყმა მიაყენა სხეულის არეში, რის შედეგადაც განიცადა ფიზიკური ტკივილი.

21. მოწმე მ. ი-მ სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას დაადასტურა გ. ც-ს მიერ ზ. შ-ისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი და განმარტა, რომ 2017 წლის 19 მაისს ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, რა დროსაც თანამშრომელმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ გ. ც. ცდილობდა ვიდეოსამეთვალყურეო კამერის დაზიანებას, რის გამოც ის და ზ. შ. შევიდნენ გ. ც-ს საკანში, სადაც ამ უკანასკნელმა ჩამოაგდო ვიდეოსამეთვალყურეო კამერა. რამდენადაც გ. ც. იყო აგრესიული, მათ დაადეს ხელბორკილი და გადაიყვანეს დეესკალაციის სხვა ოთახში, ხოლო მოგვიანებით, ხელბორკილის მოხსნის შემდეგ, შეამოწმა ექიმმა. ამ დროს მან ზ. შ-ს გამიზნულად მიაყენა დაზიანება, ხოლო მას შემთხვევით მოხვდა მსჯავრდებულის მიერ მოქნეული ხელი.

22. მოწმე ა. მ-მ სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას განმარტა, რომ მუშაობს პენიტენციური დეპარტამენტის №... დაწესებულებაში ინსპექტორ-კონტროლიორის თანამდებობაზე. 2017 წლის მაისში მას ვიზუალური და ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის განყოფილებიდან შეატყობინეს, რომ უნდა შესულიყვნენ გ. ც-თან, რომელიც მოთავსებული იყო დეესკალაციის ოთახში, ვინაიდან იგი ასული იყო სარკმლის გისოსზე და ცდილობდა ვიდეოსათვალთვალო კამერის ჩამოგდებას. ადგილზე მისვლისას იგი წინააღმდეგობას უწევდა დაწესებულების თანამშრომლებს, რის გამოც მათ გ. ც-ს დაადეს ხელბორკილი და გადაიყვანეს დეესკალაციის სხვა ოთახში. მისთვის ასევე ცნობილია, რომ მოგვიანებით, ხელბორკილის მოხსნის შემდეგ, გ. ც-მ ზ. შ-ს ფეხი დაარტყა ხელის არეში, თუმცა აღნიშნულ ფაქტს უშუალოდ არ შესწრებია.

23. მოწმე გ. შ-მ სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას განმარტა, რომ მუშაობს პენიტენციური დეპარტამენტის №... დაწესებულებაში უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორის თანამდებობაზე. 2017 წლის 19 მაისს ინსპექტორ-კონტროლიორმა მ. ი-მ შე-

ატყობინა, რომ მსჯავრდებულმა გ. ც-მ ზ. შ-ს ფეხი დაარტყა ხელის არეში, რაც შემდეგ დაუდასტურა თავად ზ. შ-მაც.

24. სასამართლო სხდომაზე გამოიკვლიეს პენიტენციური დეპარტამენტის №... დაწესებულების №... დეესკალაციის ოთახში განთავსებული ვიდეოკამერის ჩანაწერი, რომელზეც ასახულია გ. ც-ს მიერ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება ზ. შ-სთვის. კერძოდ, ვიდეოჩანაწერში მკაფიოდ ჩანს, რომ 2017 წლის 19 მაისს, 11:57 საათზე, დეესკალაციის ოთახში შედიან დაწესებულების ორი თანამშრომელი და სამედიცინო მუშაკი. 11:59 საათზე, წნევის გაზომვის შემდეგ გ. ც. დგება ლეიბიდან და ექიმის (თ. ც.) გვერდით მდგომ დაწესებულების თანამშრომელს – ზ. შ-ს ურტყამს ფეხს.

25. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით, დისტანციური წესით, დაიკითხა ექსპერტი მ. მ., რომელმაც დაადასტურა მის მიერ გაცემული სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის სისწორე, რომლის თანახმად, პირადი შემოწმების მონაცემებით ზ. შ-ს სხეულზე ფიზიკური დაზიანების რაიმე ობიექტური კვალი არ აღენიშნებოდა.

26. სასამართლო იმავდროულად აღნიშნავს რომ მართალია ოქმს ხელს აწერენ გ. შ. და ა. მ-ც, თუმცა როგორც მათი ჩვენებებიდან ირკვევა ზ. შ-სთვის ფიზიკური დაზიანების მიყენების ფაქტს ისინი უშუალოდ არ შესწრებიან, აღნიშნულ ნაწილში მათი ჩვენებები ირიბი ჩვენებებია და ვერ დაედება საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს.

27. ამდენად, ზ. შ-ისთვის დაზიანების მიყენება დასტურდება როგორც თვითმხილველი მოწმის მ. ი-ის და დაზარალებულის ჩვენებებით, ასევე – ვიდეოკამერის ჩანაწერით.

28. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 22 მაისის სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, პირადი შემოწმების მონაცემებით გ. ც-ს აღენიშნებოდა ნაჭდევები და სისხლნაჟღენთები სხეულის სხვადასხვა არეში, რაც განვითარებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის (საგნების) ზემოქმედებით და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, რასაც შედეგად ჯანმრთელობის მოშლა არ მოჰყოლია. დაზიანებები ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში მითითებულ თარიღს. გ. ც-ს აგრეთვე აღენიშნებოდა მრავლობითი ნაწიბურები მარცხენა წინამხრის არეში. აღნიშნული დაზიანებების ხანდაზმულობის, მიმყენებელი საგნისა და სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა შეუძლებელია. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით, დისტანციური წესით, დაიკითხა ექსპერტი ლ. ფ., რომელმაც დაადასტურა მის მიერ გაცემული ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის სისწორე.

29. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის №... დასკვნის (2017 წლის 18 აპრილი) თანახმად გ. ც. დაავადებულია პარანოიდული შიზოფრენიით, რემისიის მდგომარეობა (კოდი ... დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-10 გადასინჯვის მიხედვით). ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის დროს – 2017 წლის 1 თებერვალს, დაახლოებით 14:10 საათზე, 2017 წლის 1 თებერვალს, დაახლოებით 18:11 საათზე, 2017 წლის 25 მარტს, დაახლოებით 23:03 საათზე და 2017 წლის 19 მაისს, დაახლოებით 12:00 საათზე, გ. ც. დაავადებული იყო პარანოიდული შიზოფრენიით, მას ჰქონდა რემისიის მდგომარეობა და მას არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის (შეზღუდული შერაცხადობა). თავისი ფსიქიკური მდგომარეობით გ. ც-ს შეუძლია, ანგარიში გაუწიოს თავს და უხელმძღვანელოს მას, მისცეს სწორი ჩვენება და მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში. გ. ც. იმგვარი ფსიქიკური ავადმყოფობით, რომელიც ხელს უშლის სასჯელის მოხდას, დაავადებული არ არის. გ. ც-ს აქვს ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის საკუთარი დაცვის განხორციელებაში. გ. ც. არანებაყოფლობით სტაციონარულ ფსიქიატრიულ დახმარებას ან იძულებით მკურნალობას არ საჭიროებს. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა ექსპერტი მ. ფ., რომელმაც დაადასტურა მის მიერ გაცემული ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის სისწორე.

30. სასამართლო სხდომაზე დაიკითხნენ გამომძიებლები – მ. ც., გ. ბ., ბ. ლ. და გ. ფ., რომლებმაც დაადასტურეს გ. ც-ს საქმეზე მათ მიერ ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების სისწორე და კანონთან შესაბამისობა.

31. საკასაციო სასამართლო უსაფუძვლობის გამო ვერ გაიზიარებს კასატორის – მსჯავრდებულ გ. ც-ს ინტერესების დამცველის მიერ საჩივარში წარმოდგენილ პოზიციას იმის თაობაზე, რომ მ. ნ-ს შემთხვევაში ადგილი ჰქონდა არა ფიზიკური შეურაცხყოფის განზრახ მიყენებას, არამედ ხელებისა და ფეხების ქნევის დროს შემთხვევით მოხვედრას, რაც გამოწვეული იყო დაწესებულების თანამშრომელთა პროვოკაციული ქმედებების გამო ბრალდებულის გაღიზიანებითა და უკმაყოფილებით. დაუსაბუთებელია ასევე კასატორის მტკიცება, რომ ნ. ჟ-ის, მ. ზ-სა და ზ. შ-ის ეპიზოდების შემთხვევაშიც არ არის საქმეში უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა გ. ც-ს მიმართ წარდგენილ ბრალს ამ ეპიზოდების ნაწილში. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ მსჯავ-

რდებულ გ. ც-სთვის დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების თაობაზე მოცემულ საქმეში არ არის წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულება. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, სასამართლოში დაკითხული არაერთი მოწმის ჩვენებით, საქმეში წარმოდგენილი თვითდაზიანების შესახებ ოქმებითა და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით დადგენილია, რომ გ. ც. მიდრეკილია თვითდაზიანებისაკენ. საქმეზე დაკითხული ყველა მოწმე ბრალდებულს ახასიათებს, როგორც აგრესიულ და თვითდაზიანებისაკენ მიდრეკილ პირს, რომელსაც, მისივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ესაჭიროება მუდმივი კონტროლი. ამასთან, სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული ვიდეოჩანაწერების არცერთ მონაკვეთში არ ვლინდება გ. ც-ს მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტი, მაშინ, როდესაც უდავოდ დგინდება თავად მსჯავრდებულის მხრიდან დაწესებულების თანამშრომლებისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტები.

32. ამავე დროს, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საააპელაციო სასამართლოს პოზიციას საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით წარდგენილი ბრალის ნაწილში (2017 წლის 1 თებერვლის, დაახლოებით 14:10 საათის ეპიზოდი) გ. ც-ს მსჯავრდებასთან დაკავშირებით. გ. ც-ს მიერ მ. ნ.სათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაზე მიუთითებს მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულება – დაზარალებულის ჩვენება, რომლის თანახმად, 2017 წლის 1 თებერვალს ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, რა დროსაც, დაახლოებით 14:00 საათზე, დეესკალაციის ოთახში მყოფმა გ. ც-მ დაუძახა, რის გამოც მან შეიხედა საკვების მისაწოდებელი სარკმლიდან, ე.წ. „კარმუშკიდან". მსჯავრდებული ითხოვდა საკანში დაბრუნებას, რაზეც მან უპასუხა, რომ დამშვიდების შემდეგ დააბრუნებდნენ საკანში. აღნიშნულით გაღიზიანებულმა გ. ც-მ მუშტი დაარტყა მას გულმკერდის არეში, რის გამოც განიცადა ფიზიკური ტკივილი.

33. გ. ც-ს მსჯავრდების მოცემულ ეპიზოდში ბრალდების მხარეს სხვა პირდაპირი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. ამასთან, 2017 წლის 1 თებერვალს შედგენილი ოქმის თანახმად, არ დასტურდება მ. ნ-სთვის ფიზიკური დაზიანების მიყენების ფაქტი. რაც შეეხება მოწმეების – ლ. ჩ-ის, გ. ბ-სა და დ. ს-ის ჩვენებებს, ისინი არ არიან შემთხვევის თვითმხილველები და მათი ჩვენებები ეფუძნება დაზარალებულის მიერ მათთვის მიწოდებულ ინფორმაციას (ირიბი ჩვენება).

34. სასამართლო ითვალისწინებს რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N548-ე გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ირიბი ჩვენების გა-

მოყენება გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთებისთვის. კერძოდ, სასამართლომ ცალსახად აღნიშნა, რომ „ირიბი ჩვენების დასაშვებად ცნობისა და მისი გამოყენების საკითხის გადაწყვეტა მკაფიოდ ფორმულირებული მარეგულირებელი ნორმებისა და სათანადო პროცესუალური გარანტიების პირობებში უნდა მოხდეს“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 22/01/2015, II-37;). შესაბამისად, საკანონმდებლო რეგულაციის არარსებობის პირობებში, ირიბი ჩვენებების გამოყენება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისთვის დაუშვებელია (იხ. ასევე, მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №746აპ-19).

35. სასამართლო ასევე ითვალისწინებს რომ მოცემულ შემთხვევაში გ. ც-ს მსჯავრდება აღნიშნულ ეპიზოდში მთლიანად ემყარება ინციდენტში მონაწილე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაზარალებული თანამშრომლის ჩვენებას. ასევე ითვალისწინებს მ. ც-ს მიერ სასამართლოში მიცემულ ჩვენებას, რომლითაც მსჯავრდებულმა ეჭვს ქვეშ დააყენა მ. ნ-ს ჩვენების სანდოობა; დაზარალებულის და მოწმეების ჩვენებებს, რომელთაც ვერ ახსნეს მსჯავრდებულის მხრიდან მ. ნ.სთვის დაზიანების მიყენების მიზეზი. სასამართლო ითვალისწინებს, რომ სასამართლოს ეკისრება ვალდებულება განსაკუთრებული სიფრთხილით შეაფასოს ინციდენტში მონაწილე სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების ჩვენება, როდესაც „მათი ჩვენებები, შესაძლოა, ყოფილიყო სუბიექტური და მიზნად ისახავდა მათი მხრიდან მომჩივნის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას (Ognyanova and Choban v. Bulgaria, no. 46317/99, §99, 23/02/2006, and Antipenkov v. Russia, no. 33470/03, §69, 15/10/2009). Mikiashvili v. Georgia, no. 18996/06, §82, ECtHR, 09/10/2012).

36. სასამართლო თვალისწინებს ასევე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილის იმპერატიული დანაწესის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც კანონის შესაბამისად ვერ დადასტურდება, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი, ხოლო სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის და 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულება-

თა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას, რაც სსსკ მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე გულისხმობს მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში.

37. ამდენად, ვინაიდან წარმოდგენილ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა გ. ც-ს მიერ მისთვის შერაცხული ქმედების (2017 წლის 1 თებერვლის 14:10 საათის ეპიზოდის) ჩადენას, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 30 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება და კასატორის მოთხოვნა აღნიშნულ ეპიზოდთან მიმართებით უნდა დაკმაყოფილდეს.

38. სასამართლო ითვალისწინებს, რომ განაჩენის დასაბუთების ვალდებულება არ მოითხოვს მომჩივნების მიერ წარმოდგენილ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, §31, ECtHR,11/11/2011), სამართალწარმოების მხარეები უნდა ელოდნენ კონკრეტულ და მკაფიო პასუხებს იმ არგუმენტებზე, რომლებიც გადამწყვეტია სამართალწარმოების შედეგებისთვის (იხ. Tchankotadze v. Georgia, no. 15256/05, § 103, ECtHR,21/06/2016; და Deryan v. Turkey, no. 41721/04, § 33, ECtHR, 21/07/2015), ხოლო იმის განსაზღვრისას საჭიროებდნენ თუ არა მომჩივნების არგუმენტები აშკარა პასუხს.... სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რამდენად დასაბუთებული იყო მომჩივნების არგუმენტები ეროვნული სასამართლოების დასკვნებისა და საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებების ეჭვს ქვეშ დასაყენებლად (Lobzhanidze and Peradze v. Georgia, no 21447/11, no35839/11, §69, ECtHR, 27/02/2020). ზედა ინსტანციის სასამართლოებს შეუძლიათ, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ., Hirvisaari v. Finland, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001; Gorou v. Greece (No. 2) no. 12686/03, §37; 41, ECtHR,20/03/2009).

39. ჩადენილი დანაშაულის გამო მსჯავრდებულისთვის შეფარდებული სასჯელის სამართლიანობასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულად შეაფასა სასჯელის დანიშვნის როგორც ზოგადსავალდებულო გარემოებები, ისე – პირის ინდივიდუალური მახასიათებლები და მსჯავრდებულ გ. ც-ს განუსაზღვრა სამართლიანი სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. ც-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. ჯ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 30 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

3. გ. ც. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 2017 წლის 1 თებერვლის, 14:10 საათის ეპიზოდთან დაკავშირებით შერაცხულ ბრალდებაში;

4. გ. ც. ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით (2017 წლის 1 თებერვლის, 18:11 საათის ეპიზოდი) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით (2017 წლის 25 მარტის ეპიზოდი) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით (2017 წლის 19 მაისის ეპიზოდი) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სსკ-ის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით (2017 წლის 25 მარტის ეპიზოდი) დანიშნულმა სასჯელმა – 11 წლით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქას დანარჩენი ორი ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით მას მიესაჯოს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ახლად დანიშნულ სასჯელს – 11 წლით თავისუფლების აღკვეთას – ნაწილობრივ დაემატოს წინა განაჩენებით განსაზღვრული სასჯელების – თავისუფლების აღკვეთისა და ჯარიმის მოუხდელი ნაწილიდან – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, გ. ც-ს სასჯელის ზომად განესაზღვროს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყოს განაჩენის დადგენის დღიდან – 2019 წლის 24 იანვრიდან;

6. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სისხლის სამართლის პროცესი
კერძო ნაწილი
1. საკასაციო განაჩენი

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

განაჩენი
საქართველოს სახელით

№792აპ-19 10 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. დ-სა და მისი ადვოკატის – ი. ი-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ივნისის განაჩენი გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. დ-მ და მისმა ადვოკატმა ი. ი-მ, რომლებიც ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ივნისის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გ. დ-ს უდანაშაულოდ ცნობას.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის უკანონო. განაჩენში შეცვლილია მოწმე ს. გ-ს ჩვენების შინაარსი. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა გამოძიებაში მიცემული ჩვენებით ან იგი ხელოვნურად არის თანხვდენილი ი. ჭ-ს ჩვენებასთან. ს. გ-ს დაკითხვისას არ უთქვამს, რომ ის და მისი ძმა ერთად იყვნენ, როდესაც გ. დ-მ უმიზეზოდ შეაგინა დედა, რაც მისმა ძმამ უამბო მამას – ი. ჭ-ს; ასევე უკრიტიკოდ არის გაზიარებული ი. ჭ-ს ჩვენება; სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება იყო ცალმხრივი და მიკერძოებული – არ დათვალიერებულა შემთხვევის ადგილი, ექსპერტიზის ჩატარების მიზნით არ ამოღებულა შემთხვევის ადგილზე მყოფ პირთა ტანისამო-

სი, სათანადოდ არ გამოკვლეულა ი. ჭ-ს მხრიდან პასუხისმგებლობის თავიდან ასარიდებლად თვითდაზიანების მიყენების შესაძლო ფაქტი; ბრალდების მხარემ შეგნებულად არ წარუდგინა სასამართლოს გ. დ-ს მეუღლის ჩვენება, რომელიც იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე და ასევე, გ. დ-ს მიერ წარდგენილი ქურთუკის დათვალიერების ოქმი და ქურთუკი, რომელსაც ეტყობოდა ადამიანის ფეხსაცმლის კვალი; სასამართლომ მარტო იმიტომ შეიტანა ეჭვი გ. და დ. დ-ების ჩვენებებში ი. ჭ-ს მიერ ხელებითა და ფეხებით გ. დ-სთვის სხეულის სხვადასხვა მიდამოში მიყენებული დარტყმების თაობაზე, რომ გ. დ-ს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დაზიანება ერთი სისხლნაჟღენთის სახით მხოლოდ ხელის ზურგის ზედაპირზე ჰქონდა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 7 თებერვლის განაჩენით გ. დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით (2016 წლის 1 დეკემბერს მოქმედი რედაქცია) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 500 ლარი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ:

გ. დ-მ ჩაიდინა სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, რაც გამოიხატა შემდეგში:

2016 წლის 1 დეკემბერს, დღის საათებში, ... კორპუსთან, გ. დ-მ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ი. ჭ-ს, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 7 თებერვლის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. დ-მ და მისმა ადვოკატმა ი. ი-მ, რომლებმაც ითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 7 თებერვლის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გ. დ-ს უდანაშაულოდ ცნობა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგი-

ის 2019 წლის 7 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით". ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა". მტკიცებულებითი სტანდარტი – „გონივრულ ეჭვს მიღმა", ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

3. ამდენად, უნდა შეფასდეს სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებების შინაარსობრივი მხარე, რათა დადგინდეს, თუ რა ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადასტურების შესაძლებლობას იძლევა თითოეული მტკიცებულება და აკმაყოფილებს თუ არა მათი ერთობლიობა „გონივრულ ეჭვს მიღმა" მტკიცებულებით სტანდარტს, კერძოდ:

4. საქართველოს შსს სსიპ 112-ის ოპერატიული სამმართველოს 2017 წლის 20 იანვრის წერილით ირკვევა, რომ 2016 წლის 1 დეკემბერს, 17:01 საათზე, ტელეფონის ნომრიდან ... მოქალაქე მ. ჩ-ს მიერ დაფიქსირდა გამოძახება. ადგილზე იმყოფებოდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი .... შედგა რეაგირების ოქმი. საქმე გადაიბარა საქართველოს შსს .... ოპერატიულ-სამორიგეო განყოფილებამ.

5. ი. დ. და ს. ქ. (პატრულ-ინსპექტორები) ბრალდების მხარემ მოხსნა სასამართლოში დასაკითხ პირთა სიიდან.

6. საქართველოს შსს .... ოპერატიულ-სამორიგეო განყოფილებამ ცემის ფაქტზე ... შეტყობინება გადასცა საქართველოს შსს ... განყოფილებას, სადაც გამოცხადდა მოქალაქე გ. დ., რომელმაც განაცხადა, რომ სცემა მისი შვილის კლასელის მამამ, მაგრამ ვინაიდან თან ახლავს სამი მცირეწლოვანი შვილი, განცხადების დაწერის დრო არ აქვს და პოლიციაში გამოცხადდება მოგვიანებით.

7. 2016 წლის 1 დეკემბერს შედგენილი გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათით (ფორმა №1) ირკვევა, რომ 2016 წლის 1 დე-

კემბერს საქართველოს შსს ... განყოფილებაში გ. დ-ს განცხადების საფუძველზე, რომ იგი სცემა შვილის კლასელის მამამ, დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №... საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით.

8. ამდენად, უტყუარად დადგენილია და არც მხარეებს გაუხდიათ სადავოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2016 წლის 1 დეკემბერს 112-ში დარეკა და სამართალდამცავებისგან შველა ითხოვა გ. დ-ს მეუღლემ – მ. ჩ-მ. გ. დ-ს განცხადების საფუძველზე დაიწყო გამოძიება მისი ცემის ფაქტზე.

9. ბრალდებულმა გ. დ-მ განმარტა, რომ ჰყავს ოთხი შვილი. 2016 წლის 1 დეკემბერს, დაახლოებით 17:30 საათზე, მის ტელეფონზე გაისმა უსიამოვნო ზარი. უცნობმა ჰკითხა, სად იყო იგი. მან მიუთითა სახლის მისამართი და დაინტერესდა, ვინ ესაუბრებოდა. უცნობმა უპასუხა, რომ მივიდოდა და ეტყოდა, ვინც იყო. ვინაიდან ტელეფონი ხმამაღალ რეჟიმზე ჰქონდა ჩართული, მისმა მეუღლემ მოისმინა და დაინტერესდა, ვინ ურეკავდა. მალევე უცნობმა ისევ დაურეკა და უთხრა, რომ სახლში ყოფილიყო, სადაც მალე მივიდოდა. ასე განმეორდა რამდენჯერმე. 20-30 წუთის შემდეგ კი დაურეკა, ჩამოდიო. მეუღლემ მარტო არ გაუშვა და ვაჟიშვილთან – დ-სთან ერთად გაჰყვა. კორპუსის ქვემოთ მას დახვდა ი. ჭ., რომელიც ბოლთას სცემდა. იგი მიუახლოვდა ი. ჭ-ს და მას შემდეგ, რაც დაზარალებულმა გაიგო, რომ იგი იყო გ., მოულოდნელად მუცელში ჩაარტყა, რასაც მოჰყვა მისი ცემა მუშტებითა და ფეხებით. იგი უმეორებდა ი. ჭ-ს, რომ ვიღაცაში ეშლებოდა, თუმცა დაზარალებული აგინებდა და ემუქრებოდა, რომ მოკლავდა. მის მეუღლეს პლანშეტი არ ჰქონია, ყვიროდა და ტელეფონით ცდილობდა პატრულში დარეკვას. ამასობაში ი. ჭ. განაგრძობდა თავდასხმას. მას დაზარალებულისთვის საპასუხოდ არ დაურტყამს, რადგან აზრზე მოსვლა ვერ მოასწრო. ი. ჭ. არ დაცემულა. მისმა მეუღლემ დარეკა საპატრულო პოლიციაში. როგორც კი თავდამსხმელმა გაიგო, რომ მისი მეუღლე ოპერატორს მისამართს კარნახობდა, გონს მოეგო და გაიქცა, თუმცა გზიდან მოაძახა, რომ მაინც მოკლავდა. 20 წუთში მივიდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, რომელსაც შეატყობინეს მომხდარის თაობაზე და შედგა რეაგირების ოქმი. პატრულმა შესთავაზა პოლიციის განყოფილებაში წაყვანა. დაადგინეს, რომ თავდამსხმელი იყო მისი შვილის თანაკლასელის მამა. პოლიციაში აუხსნეს, რომ შესაძლოა, ორივე მიეცათ პასუხისგებაში და იქნებ არ დაეწერა საჩივარი. მან ორი საათი გაატარა განყოფილებაში, რა დროსაც თან ახლდნენ მცირეწლოვანი შვილები, რომლებიც ნერვიულობდნენ. იგი ითხოვდა გამოეკითხათ, წინააღმდეგ შემთხვევაში წავიდოდა და ასეც მოიქცა. გვიან ღამით მას დაურეკა გამომ-

ძიებელმა და სთხოვდა პოლიციის განყოფილებაში გამოცხადებას, რაზეც მისგან უარი მიიღო. გამოიკითხა მეორე დღეს. ბრალის წარდგენის შემდეგ, შეხვდა პროკურორს და აუხსნა, რომ თავს იცავდა. მისი შვილის გამოკითხვისას გამომძიებელი არ აძლევდა ბავშვს თავისუფალი თხრობის საშუალებას, უსვამდა პასუხისშემცველ შეკითხვებს, რის გამოც გამოკითხვა აღარ გააგრძელებინა. ადვოკატი, რომელიც ბრალის წარდგენის შემდეგ აიყვანა, აღმოჩნდა თაღლითი და კეთილსინდისიერად არ იცავდა მის ინტერესებს. მან გამოკითხვისას გამომძიებელს წარუდგინა მისი ქურთუკი, რომელზეც იყო თავდამსხმელის ფეხის კვალი, რომელიც ამოიღეს. შემთხვევის დღეს იგი სკოლაში ბავშვებთან საერთოდ არ მისულა, მანქანით ელოდებოდა საბურთალოს ქუჩაზე.

10. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გ. დ-ს ჩვენება შეესაბამება თვითმხილველი არასრულწლოვანი მოწმის დ. დ-ს გამოკითხვის ოქმს, რომელიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ და მასში გადმოცემულ გარემოებებს პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული.

11. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან“. მოცემულ შემთხვევაში გ. დ-ს სისხლის სამართლის საქმეზე მოწმე დ. დ-ს გამოკითხვის ოქმი მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რის გამოც იგი მიღებულ იქნა მტკიცებულებად გამოკვლევის გარეშე.

12. არასრულწლოვანი მოწმის – დ. დ-ს 2017 წლის 13 იანვრის გამოკითხვის ოქმის მიხედვით, იგი ცხოვრობს თბილისში, ... მამასთან – გ. დ-სთან, დედა და და-ძმასთან ერთად. ზუსტი რიცხვი არ ახსოვს, ახალ წლამდე, სწავლის დამთავრდების შემდეგ, და-ძმასთან ერთად წამოვიდა სკოლიდან. კიბით დაეშვნენ ... ქუჩაზე, სადაც მამა ელოდებოდათ მანქანით. შემთხვევამდე ერთი დღით ადრე მას და მის დას – თ. დ-ს მოუვიდათ ჩხუბი ს. გ-სა და მის ძმასთან. ერთმანეთს რამდენჯერმე დაარტყეს ხელი. ჩხუბის შესახებ არავისთვის უთქვამს. შემთხვევის დღეს, მამას ტელეფონმა დარეკა და ვინაიდან ხმამაღალ რეჟიმზე ჰქონდა ჩართული, მან გაიგონა, კაცის ხმა, რომელმაც მამას ჰკითხა: „გ. ხარო?“ როდესაც მამამ დაუდასტურა, რომ იყო გ., კაცმა რამდენჯერმე სთხოვა „შენი ნახვა მინდა სასწრაფოდო“ და ეს იმდენჯერ გაუმეორა, რომ მამამ თქვა: „დაველოდოთ, რაღაც საქმე აქვსო“. კაცმა კიდევ რამდენჯერმე დარეკა. მამა კარნახობდა, როგორ მისულიყო მათ სახლთან. ამასობაში მან ტანისამოსი ჩაიცვა და გარეთ გავიდა. ეზოში დაინახა ნაცრისფერი „ბე ემ ვე“, რომლის წინ დადიოდა უცნობი კაცი, სიგარეტს ეწეოდა და თა-

ვისთვის ამბობდა „ამ გ-ს სისხლს დავლევ დღესო“. ამ დროს ჩავიდნენ დედა და მამა. მამამ უცნობს ჰკითხა: „თქვენ მელოდებითო?“ უცნობი წავიდა მამასკენ და მაშინვე დაარტყა ჯერ სახეში ხელი, შემდეგ ფეხი – მუცელში. მამამ რამდენჯერმე ხელით დაიჭირა დარტყმები, თან ეუბნებოდა, ვიღაცაში გეშლებიო. მას ძალიან შეეშინდა და დაიწყო ტირილი. ჩხუბის დროს დედა ქურთუკში ექაჩებოდა უცნობს და ცდილობდა გაეშველებინა, შემდეგ კი დაიწყო საპატრულო პოლიციაში რეკვა. ამავე დროს უცნობი წავიდა მანქანისკენ და საბარგულიდან ამოიღო რკინის ნივთი, რითაც ბორბლებს უჭერენ. დედამ პოლიციაში დარეკა, მოუყვა ყველაფერს და დახმარება ითხოვა. როდესაც უცნობმა გაიგო, რომ დედამ პოლიციაში დარეკა და ყველაფერს მოუყვა, რკინის საგანი ჩადო მანქანაში და თავადაც ჩაჯდა. თან პოლიციას ლანძღავდა და ემუქრებოდა მამას. მანქანის შუშა ჩამოსწია და მამას დაუძახა „მაინც მოგკლავო“. ამ დროს მან დაინახა მისი სკოლელი ს. გ. იმ დღესვე მათთან მივიდა საპატრულო პოლიცია, ავიდნენ ბინაში და გამოკითხეს მამა. მერე პოლიციაში წავიდა დედასთან, მამასა და და-ძმასთან ერთად. პოლიციაში გაიგო, რომ უცნობი იყო ს. გ-ს მამა.

13. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გ. დ-ს ჩვენება ზედმიწევნით ემთხვევა დ. დ-ს გამოკითხვის ოქმში გადმოცემულ ინფორმაციას (რომელიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ) საქმისთვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით და უტყუარად დგინდება, რომ გ. დ. შემთხვევის დღეს სკოლაში საერთოდ არ ყოფილა და იყო თავის სახლში, როდესაც დაურეკა და დაჟინებულად მოსთხოვა შეხვედრა ი. ჭ-მ, შეხვედრისას კი მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ, შეხვედრისთანავე მოულოდნელად სცემა ხელებითა და ფეხებით. გ. დ-ს ი. ჭ-სთვის საპასუხოდ არ დაურტყამს. გ. დ. იგერიებდა თავდასხმას და უმეორებდა ი. ჭ-ს, რომ ვიღაცაში ეშლებოდა. ი. ჭ-მ მხოლოდ მას შემდეგ შეწყვიტა თავდასხმა, რაც აშკარად გაიგონა, რომ გ. დ-ს მეუღლემ საპატრულო პოლიცია გამოიძახა.

14. თუ რა მიზანი ჰქონდა ი. ჭ-ს გ. დ-სთან შეხვედრისას, ნათლად იკვეთება დ. დ-ს გამოკითხვის იმ ნაწილში, სადაც მოწმემ დაადასტურა, რომ გ. დ-სთან შეხვედრამდე ი. ჭ. თავისთვის იმეორებდა „ამ გ-ს სისხლს დავლევ დღესო“. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება ბრალდების მხარეს სადავოდ არ გაუხდია.

15. სასამართლოს გ. დ-სა და დ. დ-ს განმარტებები გ. დ-ს ცემის თაობაზე სარწმუნოდ მიაჩნია, ვინაიდან ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ გ. დ-ს მართლაც აღენიშნებოდა სხეულის დაზიანება, კერძოდ:

16. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერ-

ტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 6 დეკემბრის ექსპერტიზის №... დასკვნით, მოქალაქე გ. დ-ს სხეულზე არსებული დაზიანება – მარჯვენა მტევნის ხელზურგის ზედაპირზე მე-4-მე-5 ნების ძვლების არეში სისხლნაჟღენთის სახით, განვითარებულია რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად. ხანდაზმულობით არსებული დაზიანების განვითარება არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებებში მითითებულ თარიღს – 2016 წლის 1 დეკემბერს.

17. სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ე. ჩ-მ დაადასტურა მის მიერ გაცემული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა.

18. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გ. დ-სა და დ. დ-ს მიერ გაცხადებული გარემოებების საპირისპიროს მიუთითებენ ი. ჭ. და ს. გ. კერძოდ:

19. დაზარალებულმა ი.ჭ-მ განმარტა, რომ ჰყავს ორი შვილი – 8 წლის ს. გ. და 10 წლის გ. ჭ.. გ. დ-ს ქალიშვილი ს. გ-ს ყოფილი თანაკლასელია. შემთხვევის დღეს, რომლის ზუსტი თარიღი არ ახსოვს, საღამოს, როდესაც შვილებს მიაკითხა სკოლაში, ნახა, რომ ბავშვი იყო ატირებული. ჩაეკითხა და გაარკვია, რომ ს-მ და გ. დ-ს შვილმა იკამათეს. სკოლაში მისულმა მსჯავრდებულმა დედა შეაგინა მის შვილებს, რაც მისმა შვილებმა გაიგონეს. როდესაც შეიტყო, რომ გ. დ-მ, ნაცვლად იმისა, რომ ბავშვები შეერიგებინა, შეურაცხყოფა მიაყენა მათ, დამრიგებელს მოსთხოვა მისი ტელეფონის ნომერი. დაზარალებულმა განმარტა, რომ იგი არავის აპატიებდა მისი მეუღლისა და ოჯახის გინებას და გაბრაზება და განრისხება არის ქართველი მამაკაცის ნორმალური რეაქცია შეურაცხყოფაზე. მან დაურეკა გ. დ-ს და გაიგო, რომ იგი ფ-ში იყო. მისამართის დასაზუსტებლად ხელმეორედაც დაურეკა. მისი შვილები მანქანაში ისხდნენ. შეხვედრისას მანქანიდან გადმოვიდა, გადაამოწმა, შემხვედრი ნამდვილად გ. დ. იყო თუ არა, შეეკითხა, რაში იყო საქმე და უთხრა, რომ მისი ბავშვებისა და მეუღლის შეგინებას არავის შეარჩენდა და არ აპატიებდა. იგი იყო აღელვებული და ჰქონდა აგრესიული ტონი. გ. დ-ს მისი მიმართვა არ მოეწონა, აღმოჩნდა ძალიან ძლიერი და მოერია მას. მსჯავრდებულმა ერთხელ დაარტყა და ტუჩის არეში მიაყენა დაზიანება. მან ტკივილიც განიცადა და სისხლიც გამოანერწყვა. ყვრიმალთან შესაძლოა დაზიანება ჰქონდა, თუმცა არ ახსოვს. გ. დ-ს მეუღლეც ეხმარებოდა, რომელიც რაღაც საგანს ურტყამდა მას, თუმცა მისგან დაზიანება არ მიუღია. დარტყმის შედეგად წაბარბაცდა და დაეცა, რა დროსაც ხელებითა და ფეხებით იგერიებდა გ. დ-სა და მისი მეუღლის თავდასხმას. ცოლ-ქმარი

უშვერი სიტყვებით აგინებდა. მსჯავრდებულის მეუღლემ პოლიციაში დაიწყო რეკვა. გაიძახოდა, რომ თავს დაესხნენ და დროზე მისულიყვნენ საშველად. მან გააცნობიერა, რომ ატირებული ბავშვები ახლდნენ თან, შემთხვევის ადგილზე მივიდოდა პატრული, რომელიც სანამ სიმართლეს გაარკვევდა, დაადებდნენ მას ხელბორკილს და წაიყვანდნენ, რის გამოც გაერიდა იქაურობას. დაზიანებები თავად აღენიშნებოდა, მაგრამ ჩათვალა, რომ პატრული მაინც მას დააკავებდა. ექსპერტიზა ჩაუტარდა შემთხვევიდან მეორე დღეს. მას გ. დ-სთვის ფიზიკური შურაცხყოფა არ მიუყენებია, თუმცა ამის სურვილი ჰქონდა. შემთხვევის ადგილზე ბავშვები ტიროდნენ, მაგრამ არ იცის, გ. დ-ს შვილები იყვნენ თუ არა.

დაზარალებულმა ჩვენებაში არაერთხელ აღნიშნა, რომ იგი საერთოდ არ აპირებდა პოლიციაში საჩივრის დაწერას, მაგრამ გაიგო, რომ გ. დ-მ ვრცელი საჩივარი (მისი სიტყვებით „ვეფხისტყაოსანი“) დაწერა მის წინააღმდეგ. ამასთან, მსჯავრდებული და მისი მეუღლე დაემუქრნენ ციხეში ამოლპობით, რის გამოც გადაწყვიტა, თავად მისულიყო და ჩაჰბარებოდა პოლიციას, რათა ეთქვა სიმართლე. შემთხვევის ადგილიდან წასულმა გ-ს მოედანზე შემხვედრ პირველივე პატრულს მოუყვა, რაც მოხდა. პატრულთან გასაუბრების შემდეგ, როგორც ახსოვს, ხელი მოაწერა რაღაც დოკუმენტს. პატრულმა მიაცილა იგი დ-ს ქუჩაზე მდებარე პოლიციაში, სადაც დახვდა გ. დ.. პოლიციაში შეიტყო, რომ მსჯავრდებული ხშირად სტუმრობდა მათ საჩივრებით. პოლიციაში მისვლამდე ბავშვები მიიყვანა სახლში, სადაც გზად უნდა გაევლო. გამომძიებელთან ერთად შემთხვევის ადგილი არ დაუთვალიერებია, რადგან იყო გვიანი.

20. მოწმე ს. გ-მ განმარტა, რომ იგი არის ი. ჭ-ს ვაჟი. მისი თანაკლასელის – თ-ს (თ. დ.) ძმამ დედა შეაგინა უმიზეზოდ, რადგან ეგონა, რომ იგი თ-ს სცემდა, რაც მისმა უფროსმა ძმამ მოუყვა მამას – ი. ჭ-ს. მამამ დაურეკა მასწავლებელს და გამოართვა თ-ს მამის ტელეფონი და მისამართი, რის შემდეგაც დაურეკა და უთხრა, რომ ქვემოთ ჩამოსულიყო, რადგან საქმე ჰქონდა. მამამ მხოლოდ ერთხელ დაურეკა თ-ს მამას, რადგან მისამართი მასწავლებელმა უთხრა და იცოდა. როდესაც თ-ს მამა (გ. დ.) ჩამოვიდა, მამამისმა უთხრა, რატომ იგინებოდა მისი შვილი. მოწმემ აქვე დასძინა, რომ საუბარს კარგად არ უსმენდა. იგი იჯდა მანქანაში. მანქანის შუშა ჩამოწეული იყო და დაინახა, რომ გ. დ-მ პირველმა დაარტყა მამამისს. ესმოდა გინების ხმა, ერთმანეთს აგინებდნენ, თუმცა პირველად ვინ დაიწყო შეურაცხყოფა, არ იცის. გ. დ-ს თან ახლდნენ მისი მეუღლე და შვილები, რომლებიც ტიროდნენ. გ. დ-ს მეუღლე „აიპოდს“ ურტყამდა მამას თავში, თუმცა არ იგინებოდა, ამბობდა ბანდიტი მოვიდა ჩვენთან სახლში, პოლიცია გამოიძახეთო და თავად-

ვე დარეკა პოლიციაში. გ. დ-მ მამამისს ერთხელ დაარტა ტუჩებში და მან დაინახა, როგორ მოსდიოდა მამას სისხლი. შემდეგ მამამ დაარტყა გ. დ-ს ფეხი, ხელი არ დაურტყამს, თუმცა სად მოარტყა, არ დაუნახავს, რადგან მანქანის უკანა სავარძელზე იჯდა და ყველაფერს ვერ ხედავდა. ჩხუბის დროს არავინ დაცემულა. მისი ძმა მანქანაში მის გვერდით იჯდა და ყველაფერს ხედავდა. ისინი ორივენი ტიროდნენ, თუმცა მანქანიდან არ გადასულან. ამ შემთხვევის შემდეგ მათ ქუჩაში შეხვდათ პატრული, რომელმაც ისინი წაიყვანა პოლიციის განყოფილებაში. იგი შემთხვევიდან, მგონი, მეორე დღეს გამოიკითხა, იმავე დღეს – არა.

21. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ზედაპირულ მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ გ. დ-ს მიერ ი. ჭ-ს მიმართ ჩადენილი სხვაგვარი ძალადობის ფაქტი, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, დასტურდება, როგორც დაზარალებულის, ისე მოწმეთა ჩვენებებით. სააპელაციო სასამართლო გვერდს უვლის ი. ჭ-სა და ს. გ-ს ჩვენებების სიღრმისეულ შეფასებას (ჩვენებებში შეინიშნება ფაქტობრივი უზუსტობებიც), რომლებიც საფუძვლად დაედო გ. დ-ს მსჯავრდებას, მაშინ, როდესაც ი. ჭ-სა და ს. -ს ჩვენებები, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგება გ. დ-ს ჩვენებასა და დ. დ-ს გამოკითხვის ოქმში გაცხადებულ ინფორმაციას (რომელიც არც ბრალდების მხარეს გაუხდია სადავოდ) და მეორე მხრივ, ისინი ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხველ გარემოებებს შეიცავს, კერძოდ:

22. საკასაციო პალატა იმეორებს, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადგენად აუცილებელია შეფასდეს თითოეული მტკიცებულების უტყუარობა, დამაჯერებლობა, რაც საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ყველა შემთხვევაში სავალდებულოა განაჩენის გამოტანის დროს. მტკიცებულებათა უტყუარობა უნდა შეფასდეს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: 1. თითოეული მტკიცებულება, მათ შორის მოწმის ჩვენება, შინაარსობრივად ხომ არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას; 2. თითოეული მტკიცებულება ამყარებს სხვა მტკიცებულებებს, თუ მათ შორის არის სხვადასხვა წინააღმდეგობა, რომელთა ხარისხის შეფასება ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციაა; 3. რამდენად გულწრფელი და მიუკერძოებელია მოწმე, ხომ არ აქვს ფიზიკური ნაკლი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს მოვლენების ადეკვატურ აღქმაზე; 4. როგორ პირობებში მოხდა მტკიცებულებების ფორმირება, მაგ: გარემო პირობები – ცუდი ხილვადობა (ნისლი), ხალხმრავალი ადგილი, მანძილი მოწმესა და შემთხვევის ადგილს შორის და სხვა. მტკიცებულებების ამ კრიტერიუმებით შე-

ფასებისა და მათზე განაჩენში სათანადო მსჯელობის გარეშე მტკიცებულებათა უტყუარობის სიღრმისეული შეფასება ფაქტობრივად შეუძლებელია (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის №397აპ-14 განაჩენი, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 4.)

23. ამდენად, სასამართლო ყურადღებას შეაჩერებს ი. ჭ-სა და ს. გ-ს ჩვენებების შინაარსზე, რომლებიც საფუძვლად დაედო გამამტყუნებელ განაჩენს, იმსჯელებს მათზე და განმარტავს, რამდენად აკმაყოფილებს ბრალდების მხარის წარმოდგენილი აღნიშნული მტკიცებულებები გამამტყუნებელი განაჩენისათვის სავალდებულო უტყუარობის სტანდარტს.

– ი. ჭ-მ განმარტა, რომ სკოლაში ნახა ატირებული შვილი, რომლისგანაც შეიტყო, რომ სკოლაში მისულმა გ. დ-მ დედა შეაგინა მის შვილებს, რომლებმაც ეს გაიგონეს, მაშინ, როდესაც ს. გ-მ აღნიშნა, რომ მისი თანაკლასელის – თ-ს (თ. დ.) ძმამ დედა შეაგინა უმიზეზოდ, რადგან ეგონა, რომ იგი თ-ს სცემდა, რაც მისმა უფროსმა ძმამ მოუყვა მამას. საყურადღებოა, რომ ს. გ-ს ჩვენება ამ ნაწილში ემთხვევა დ. დ-ს გამოკითხვის ოქმს, რომლის მიხედვით, შემთხვევამდე ერთი დღით ადრე მას და მის დას – თ. დ-ს მოუვიდათ ჩხუბი ს. გ-ს და მის ძმასთან, რა დროსაც მათ ერთმანეთს რამდენჯერმე დაარტყეს ხელი.

– ი. ჭ-მ განმარტა, რომ მან დაურეკა გ. დ-ს და გაიგო, რომ იგი ფში იყო. მისამართის დასაზუსტებლად ხელმეორედაც დაურეკა, მაშინ, როდესაც ს. გ-მ განმარტა, რომ მამამ მხოლოდ ერთხელ დაურეკა თ-ს მამას, რადგან მისამართი მასწავლებელმა უთხრა და იცოდა.

– ი. ჭ-ს განმარტებით, შეხვედრისას შეეკითხა გ. დ-ს, რაში იყო საქმე და უთხრა, რომ მისი ბავშვებისა და მეუღლის შეგინებას არავის შეარჩენდა და არ აპატიებდა, თუმცა ს. გ-მ აღნიშნა, რომ შეხვედრისას მამამისმა გ. დ-ს მოჰკითხა, რატომ იგინებოდა მისი შვილი.

– ს. გ-მ განმარტა, რომ გ. დ-ს მეუღლე არ იგინებოდა, ამბობდა ბანდიტი მოვიდა ჩვენთან სახლში, პოლიცია გამოიძახეთო და თავადვე დარეკა პოლიციაში, მაშინ, როდესაც ი. ჭ. ცალსახად ამტკიცებდა, რომ ორივე ცოლ-ქმარი უშვერი სიტყვებით აგინებდა მას.

– ი. ჭ-მ განმარტა, რომ გ. დ-ს დარტყმის შედეგად წაბარბაცდა და დაეცა, რა დროსაც ხელებითა და ფეხებით იგერიებდა მსჯავრდებულისა და მისი მეუღლის თავდასხმას, ხოლო ს. გ-მ ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა, რომ ჩხუბის დროს არავინ დაცემულა.

– ი. ჭ-ს განმარტებით, დაცემის შემდეგ იგი ხელებითა და ფეხებით იგერიებდა თავდასხმას, ხოლო ს. გ-მ აღნიშნა, რომ გ. დ-ს დარ-

ტყმის შემდეგ მამამისმა საპასუხოდ დაარტყა გ. დ-ს ფეხი, ხელი არ დაურტყამს.

– ი. ჭ-ს ჩვენებით პოლიციაში მისვლამდე მან ბავშვები მიიყვნა სახლში, სადაც გზად უნდა გაევლო, თუმცა ს. გ-მ განმარტა, რომ შემთხვევის შემდეგ მათ ქუჩაში შეხვდათ პატრული, რომელმაც ისინი წაიყვანა პოლიციის განყოფილებაში.

24. ამდენად, დაზარალებულ ი. ჭ-ს და მოწმე ს. გ-ს ჩვენებებს სასამართლო აფასებს როგორც ურთიერთსაწინააღმდეგოს და ურთიერთგამომრიცხველს, რაც ერთობლიობაში უკარგავს მათ სანდოობას და ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს. შეუძლებელია სასამართლომ ამ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უტყუარად დაადგინოს რაიმე ფაქტი ან გარემოება და მით უფრო, საფუძვლად დაუდოს გამამტყუნებელ განაჩენს.

25. საკასაციო პალატა ყურადღბას ამახვილებს საქმეში არსებულ სხვა გარემოებებზეც, კერძოდ:

26. ეჭვს ბადებს ის ფაქტი, რომ ი. ჭ-მ სასამართლოში ჩვენების მიცემისას არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი არ აპირებდა გ. დ-ს წინააღმდეგ საჩივრის შეტანას, მაგრამ გაიგო, რომ მსჯავრდებულმა ვრცელი საჩივარი (მისი სიტყვებით „ვეფხისტყაოსანი“) დაწერა მის წინააღმდეგ. საყურადღებოა, რომ გარდა ი. ჭ-ს ჩვენებისა, ასევე გამომძიებელ დ. გ-ს ჩვენებითა და საქართველოს შსს ... ოპერატიულ-სამორიგეო განყოფილების №... შეტყობინებით დადასტურებულია, რომ გ. დ-ს 2016 წლის 1 დეკემბერს არც ვრცელი საჩივარი დაუწერია და არც გამოკითხულა. გ. დ. გამოძიებაში პირველად გამოიკითხა შემთხვევიდან მეორე დღეს – 2016 წლის 2 დეკემბერს და მართლაც, ამ გამოკითხვის ოქმს ერთვის მისი ხელით შესრულებული ვრცელი შენიშვნები, ხოლო ი. ჭ. გამოიკითხა შემთხვევის დღეს – 2016 წლის 1 დეკემბერს, 20:12-21:00 საათზე, რასაც წინ უსწრებს მისი განცხადება, რომელიც შედგენილია იმავე დღეს (ზუსტი დრო დაუდგენელია). ამდენად, გაურკვეველია, რომელ ვრცელ საჩივარს გულისხმობდა დაზარალებული, რომელმაც არაერთხელ დაბეჯითებით განმარტა, რომ პირველად სწორედ გ. დ-მ შეიტანა მის წინააღმდეგ ვრცელი საჩივარი, რამაც განაპირობა სწორედ მისი შემდგომი ქცევა. დაზარალებულის ჩვენების სანდოობის შეფასებისას ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ი. ჭ-ს განმარტებით, შემთხვევის ადგილიდან წასულმა პირველივე შემხვედრ პატრულს მოუყვა, რაც მოხდა და პატრულთან გასაუბრების შემდეგ, როგორც ახსოვს, ხელი მოაწერა რაღაც დოკუმენტს, თუმცა სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება ამის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება, რომლის არსებობის შემთხვევაში, მისი მოპოვება ბრალდების მხარისთვის რაი-

მე სირთულესთან არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

27. შემთხვევის დღეს განვითარებული მოვლენების მთლიანი სურათის დასანახად და დაზარალებულის განწყობის დასადგენად, როდესაც მან მიაკითხა მსჯავრდებულს, მეტად საყურადღებოა ი. ჭ-ს განმარტება, რომ იგი არავის აპატიებდა თავისი მეუღლისა და ოჯახის გინებას და გაბრაზება და განრისხება არის ქართველი მამაკაცის ნორმალური რეაქცია შეურაცხყოფაზე. ი. ჭ-მ არ უარყო, რომ შეხვედრისთანავე გ. დ-ს უთხრა, რომ თავისი ბავშვებისა და მეუღლის შეგინებას არავის შეარჩენდა. ამდენად, არც ბრალდების მხარეს გაუხდია სადავოდ ეს გარემოება და პალატასაც დადასტურებულად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ი. ჭ. იყო გაბრაზებული/განრისხებული და გ. დ-ს თავისი ოჯახის შურაცხყოფისთვის პასუხის მისაგებად მიაკითხა.

28. საკასაციო პალატა აღნიშნავს, გარდა ი. ჭ-ს და ს. გ-ს ჩვენებებისა, რომლებიც სასამართლოს შეფასებით ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს, ბრალდების მხარემ გ. დ-სათვის წარდგენილი ბრალდების დასადასტურებლად სასამართლოს წარუდგინა მოწმეების – თ. ხ-ს და დ. გ-ს ჩვენებები და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 6 დეკემბრის ექსპერტიზის №... დასკვნა, რომლებსაც საკასაციო პალატა ასევე დეტალურად მიმოიხილავს.

29. მოწმე თ. ხ-მ განმარტა, რომ იგი არის არასრულწლოვან ს. გ-ს ბებია და როგორც კანონიერი წარმომადგენელი, ესწრებოდა მის გამოკითხვას. გამოკითხვამდე მას განემარტა მისი უფლება-მოვალეობანი. გამოკითხვა მიმდინარეობდა ნებაყოფლობით, ზეწოლის გარეშე. იგი ს-სთან ერთად გაეცნო გამოკითხვის ოქმს, რომელსაც ორივენი დაეთანხმნენ. გამოკითხვისას ს. მე-2 კლასში სწავლობდა და წერა-კითხვა მეტ-ნაკლებად იცოდა. ფაქტს, რომლის გარშემოც ს. გამოიკითხა, იგი არ შესწრებია. თუ სწორად ახსოვს, ს. შემთხვევის დღესვე გამოიკითხა.

30. სასამართლო აღნიშნავს, რომ თ. ხ. არ არის ფაქტის თვითმხილველი მოწმე, ამასთან, პალატა ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვანი მოწმის – ს. გ-სა და მისი კანონიერი წარმომადგენლის – თ. ხ-ს მიერ მოვლენების ადეკვატურ აღქმაზე, მათი სწორად დამახსოვრებისა და სათანადოდ გადმოცემის უნარებზე და აღნიშნავს, რომ ს. გ-ს ჩვენებით, იგი შემთხვევიდან, მგონი, მეორე დღეს გამოიკითხა, იმავე დღეს – არა, ხოლო თ. ხ-ს ჩვენების მიხედვით კი, თუ სწორად ახსოვს, ს. შემთხვევის დღესვე გამოიკითხა, მაშინ, როდესაც დადგენილია, რომ ბრალად წარდგენილი ქმედება ჩადენილია 2016 წლის 1 დეკემბერს, ს. გ. კი გამოძიებაში გამოიკითხა 2016 წლის 22 დეკემბერს – შემთხვევიდან 21 დღის შემ-

დეგ, რაც, ერთი მხრივ, აჩენს ეჭვს მოწმეთა მიერ მოვლენების სწორად აღქმასთან მიმართებით, ხოლო, მეორე მხრივ – ბადებს კითხვის ნიშნებს საგამოძიებო მოქმედების – არასრულწლოვნის გამოკითხვასთან დაკავშირებით.

31. მოწმე დ. გ-მ (დეტექტივის თანაშემწე გამომძიებელი) დაადასტურა მის მიერ/მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების სისწორე/კანონთან შესაბამისობა და განმარტა, რომ 2016 წლის 1 დეკემბერს დაიწყო გამოძიება ცემის ფაქტზე, რომელსაც საფუძვლად დაედო საქართველოს შსს ...განყოფილების ოპერატიული მორიგის შეტყობინება, რომ პოლიციაში გამოცხადდა გ. დ. რომლის განმარტებით, მისი შვილის კლასელის მამამ სცემა, თუმცა ვინაიდან იყო სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად, საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა და დატოვა იქაურობა. გ. დ-ს წასვლის შემდეგ, პოლიციაში გამოცხადდა და განცხადებით მიმართა ი. ჭ-მ, რომ კონფლიქტი მოუვიდა შვილის კლასელის მამასთან. გამოძიების ფარგლებში გამოიკითნენ ი. ჭ. და მისი არასრულწლოვანი შვილი, გ. დ. და მისი მეუღლე, დაინიშნა ექსპერტიზები. გ. დ-ს შვილი ვერ გამოკითხეს, რადგან მსჯავრდებული ხელს უშლიდათ. მას შემდეგ, რაც დადგინდა, ვინ დარეკა შემთხვევის დღეს პატრულში და ვინ მოახდინა შეტყობინებაზე რეაგირება, გამოიკითხნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები – ი. დ. და ს. ქ.. მან გააცნო ბრალდების შესახებ დადგენილება გ. დ-ს. მას შემთხვევის ადგილი არ დაუთვალიერებია. დაზარალებულს მისთვის არ უთქვამს, რომ შემთხვევის ადგილზე მან სისხლის კვალი დატოვა. ისეთი გარემოება, რაც შემთხვევის ადგილის დათვალიერების საჭიროებას გააჩენდა, არც ბრალდებულს განუცხადებია. ი. ჭ. საპატრულო ეკიპაჟს შემთხვევის ადგილზე არ დახვედრია და იგი მოგვიანებით გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში. მოწმემ ვერ გაიხსენა, გ. დ-მ დააფიქსირა თუ არა გამოკითხვისას, რომ თან ჰქონდა ქურთუკი, შარვალი და სათვალე, რომელსაც აღენიშნებოდა ჩხუბის კვალი და არც ის, თუ შემდეგ რა მოიმოქმედა.

32. საკასაციო პალატა აღნიშნავს, არც დ. გ-ა ფაქტის თვითმხილველი მოწმე, თუმცა საყურადღებოა, რომ ამ მოწმის განმარტებით, შემთხვევის დღეს ი. ჭ. პოლიციაში მას შემდეგ გამოცხადდა, რაც განყოფილების შენობა დატოვა გ. დ-მ, მაშინ, როდესაც არც თავად ი. ჭ. უარყოფს იმ ფაქტს, რომ პოლიციაში მისვლისას იქ დახვდა გ. დ., რომელიც, პოლიციელებისვე განმარტებით, ხშირად სტუმრობდა მათ საჩივრებით. დ. გ-ს ჩვენებით, დაზარალებულს მისთვის არ უთქვამს, რომ შემთხვევის ადგილზე სისხლი გადმოანერწყვა, რის გამოც არ არსებობდა შემთხვევის ადგილის დათვა-

ლიერების ობიექტური საჭიროება, მაშინ, როდესაც დაზარალებულის განმარტებების გათვალისწინებით, შემთხვევის ადგილზე სისხლის კვალი უნდა ყოფილიყო, რაც გამომძიებელს ავალდებულებდა, დანაშაულის კვალის აღმოსაჩენად ჩაეტარებინა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები.

33. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 6 დეკემბრის ექსპერტიზის №... დასკვნით, მოქალაქე ი. ჭ-ს სხეულზე არსებული დაზიანება – ქვედა ტუჩის ლორწოვანზე თითქმის ცენტრალურად ერთი უსწორო კიდეებიანი ჭრილობისა (ნასკდომის) და მარჯვენა ბარძაყის ქვემო მესამედში, წინა ზედაპირზე სისხლნაჟღენთების სახით, განვითარებულია რაიმე მკვრივ-ბლაგვი საგნის (საგნების) მოქმედებით და ცალ-ცალკე და ერთობლივად, მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად. ხანდაზმულობით არსებული დაზიანებების განვითარება არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებებში მითითებულ თარიღს – 2016 წლის 1 დეკემბერს.

34. სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ე. ჩ-მ დაადასტურა მის მიერ გაცემული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და დამატებით განმარტა, რომ იმის გარკვევა, დაზიანებები მიყენებულია დარტყმით თუ თვითდაზიანებით, მისი კომპეტენციის ფარგლებს სცდება.

35. საკასაციო პალატა აღნიშნავს: საქართველოს შსს სსიპ 112-ის ოპერატიული სამმართველოს 2017 წლის 20 იანვრის წერილით დადგენილია, რომ გ. დ-ს მეუღლემ 2016 წლის 1 დეკემბერს, 17:01 საათზე, დარეკა 112-ში და შეატყობინა შემთხვევის შესახებ, თუმცა საპატრულო ეკიპაჟს ი. ჭ. შემთხვევის ადგილზე არ დახვდათ და სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადდა და გამოიკითხა 2016 წლის 1 დეკემბერს, 20:12-21:00 საათის შუალედში. ამდენად, იმ ვითარებაში, როდესაც გ. დ-ს განმარტებით, მას ი. ჭ-სთვის დაზიანება არ მიუყენებია, შემთხვევის ადგილი არ დათვალიერებულა და, შესაბამისად, დაზარალებულის სისხლის კვალი, რომელიც ი. ჭ-სთვის მიყენებული შესაძლო დაზიანების გათვალისწინებით იქ უნდა ყოფილიყო, არ ამოღებულა, ამასთან, გამომძიებელ დ. გ-ს, რომელმაც ნახა და გამოკითხა იგი პოლიციის განყოფილბაში, არც კი უხსენებია, რომ დაზარალებულს რაიმე სახის ფიზიკური დაზიანება აღენიშნებოდა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბუნდოვანია და უტყუარად არ დგინდება, თუ რა ვითარებაში მიიღო დაზიანებები დაზარალებულმა ი. ჭ-მ.

36. და ბოლოს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს მხარეთა თანასწორობისა

და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვით, რაც გულისხმობს სასამართლოში ჭეშმარიტების დამტკიცების ფუნქციის სათანადოდ მომზადებულ და დაინტერესებულ მხარეთა ინიციატივისთვის მინდობას, თუმცა აქვე დასძენს, რომ ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია, გამოძიება წარმართოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, ხოლო სასამართლომ – მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სამართლიან პროცესს და ამცირებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების რისკს. იმ ვითარებაში, როდესაც დადგენილია, რომ შემთხვევის თვითმხილველები იყვნენ ი. ჭ. და მისი არასრულწლოვანი შვილი – ს. გ., გ. დ., მისი მეუღლე – მ. ჩ. და არასრულწლოვანი შვილი – დ. დ., აქედან სასამართლოს ჩვენება მისცეს მხოლოდ ი. ჭ-მ, ს. გ-მ და გ. დ-მ, ხოლო დ. დ-ს ჩვენება მხარეების მიერ სადავოდ არ იქნა მიჩნეული, თანაბარი რაოდენობისა და წონის სამხილების არსებობისას, სასამართლოსთვის არსებითად საინტერესო იქნებოდა შემთხვევის ადგილზე მყოფი მოწმის – მ. ჩ-ს ჩვენების მოსმენა, რომელიც ბრალდების მხარემ დასაკითხ მოწმეთა სიაში არ შეიყვანა (თუმცა გამოძიებაში გამოკითხა), ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა აღნიშნული მოწმის დაკითხვის თაობაზე. დადგენილია, რომ გ. დ. არ ფლობდა სამართალწარმოების ენას. გამოძიების ეტაპზე მის ინტერესებს იცავდა ადვოკატი, რომლის კეთილსინდისიერება ბრალდებულმა სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას საეჭვოდ მიიჩნია. სამართალწარმოების ენის არმცოდნე ბრალდებულის ეფექტური დაცვა დიდწილად დამოკიდებული იყო სწორედ ადვოკატზე, რომელმაც დაცვის მხარის მიერ დასაკითხ მოწმეთა სიაში არ შეიყვანა გ. დ-ს მეუღლე – მ. ჩ., რითაც მისი დაცვის ქვეშ მყოფი გ. დ. საპროცესო მოწინააღმდეგის კეთილსინდისიერების იმედად დატოვა. ასევე აღსანიშნავია, რომ სასამართლოში არ დაკითხულან პატრულის ეკიპაჟის წევრები – ი. დ. და ს. ქ., რომლებიც 2016 წლის 1 დეკემბერს გ. დ-ს მეუღლის შეტყობინების საფუძველზე პირველნი გამოცხადდნენ შემთხვევის ადგილზე, რადგან ბრალდების მხარემ ზემოაღნიშნული მოწმეები მოხსნა სასამართლოში დასაკითხ პირთა სიიდან. სისხლის სამართლის საქმეს ნივთმტკიცებად არ ერთვის გ. დ-ს ქურთუკი, რომელიც, ამ უკანასკნელის განმარტებით, წარუდგინა გამომძიებელს და მასზე იყო დანაშაულის (თავდასხმის) აშკარა კვალი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. დ-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება, მტკიცებულებათა გამოკ-

ვლევა და მათი შეფასება წარიმართა ცალმხრივად, რაც გახდა უდანაშაულო პირის მსჯავრდების საფუძველი.

37. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით (2016 წლის 14 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) კრიმინალიზებულია ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. ამ დანაშაულისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა, თუმცა არ უკავშირდება ჯანმრთელობის მნიშვნელოვან, საშიშ დაზიანებას. ცემა გამოიხატება დაზარალებულის სხეულზე არაერთ დარტყმაში, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გამოიწვიოს სხეულის ანატომიური მთლიანობის დარღვევა ან მხოლოდ ფიზიკური ტკივილი. სწორედ დარტყმების რაოდენობა/ინტენსივობა განასხვავებს ცემას სხვაგვარი ძალადობისგან, რომელიც გამოიხატება ერთჯერად ძალადობრივ ქმედებაში. ცემა ან სხვაგვარი ძალადობა შედეგიანი დელიქტია და მისი შემადგენლობისთვის აუცილებელია, რომ სუბიექტის ქმედებით დაზარალებულმა განიცადოს ფიზიკური ტკივილი, ამასთან, არ უნდა გამოიწვიოს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მისი ხანმოკლე მოშლით ან საერთო შრომისუნარიანობის თუნდაც უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვით. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით ვერ დადასტურდა გ. დ-ს მიერ სხვაგვარი ძალადობის ჩადენა.

38. საკასაციო სასამართლომ საქმეში არსებული როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარის მტკიცებულებები: ი. ჭ-ს, ს. გ-ს, თ. ხ-ს, დ. გ-ს და გ. დ-ს ჩვენებები, დ. დ-ს გამოკითხვის ოქმი (რომელიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ), ექსპერტიზის დასკვნები ი. ჭ-სა და გ. დ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები, შეაფასა საქმესთან მათი რელევანტურობის, უტყუარობისა და საკმარისობის თვალსაზრისით, რის შედეგადაც მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დადგინდა, რომ ი. ჭ-ს ფიზიკური დაზიანებები გ. დ-მ მიაყენა.

39. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს: იმ ვითარებაშიც კი, თუ უტყუარად დადასტურდებოდა გ. დ-ს მიერ ი. ჭ-სთვის დაზიანებების მიყენების ფაქტი, პალატას მიაჩნია, რომ გამოკვეთილი იქნებოდა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება – აუცილებელი მოგერიება, კერძოდ:

40. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს

აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას.

41. აუცილებელი მოგერიება შესაძლებელია როგორც საკუთარი, ასევე სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. აუცილებელი მოგერიების დროს თავდასხმა უნდა იყოს ობიექტურად, რეალურად საშიში და მომგერიებელს სუბიექტურად უნდა ჰქონდეს თავდაცვის მიზანი. ხელყოფა, გარდა იმისა, რომ უნდა იყოს რეალური, იგი უნდა იყოს ასევე მართლსაწინააღმდეგო, იმწუთიერი, რელევანტური ანუ სოციალურად მნიშვნელოვანი და სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილით განხორციელებული.

42. სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. დ-ს, რომელიც იმყოფებოდა საკუთარ სახლში, არ ჰქონდა არანაირი მოტივი თავს დასხმოდა დაზარალებულს, გაბრაზებული ი. ჭ-ს მოულოდნელი თავდასხმა, ხმამაღლა გაცხადებული მუქარის გათვალისწინებით, იყო რეალურად საშიში და გ. დ-ს, თავდამსხმელისათვის დაზიანების მიყენების შემთხვევაშიც კი, ობიექტურად ექნებოდა თავდაცვის მიზანი, რომელიც იქნებოდა რელევანტური და განხორციელებული სამართლებრივი სიკეთის – ჯანმრთელობის/სიცოცხლის დაცვის სურვილით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების შემთხვევაში, ვინაიდან ი. ჭ-ს მიადგა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, აღნიშნული დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას არ წარმოადგენს.

43. რაც შეეხება ი. ჭ-ს ქმედების შეფასებას, სასამართლო საქმეს განიხილავს კონკრეტული ბრალდებულის მიმართ და წარდგენილი ბრალდების ფარგლებში, ხოლო სხვა პირთა ქმედებების სამართლებრივი შეფასება, კვალიფიკაცია და მათ დამნაშავეობა/უდანაშაულობაზე მსჯელობა, ცდება მის კომპეტენციას.

44. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს

ბრალდებულის სასარგებლოდ.

45. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

46. მტკიცებულებების ერთობლიობა გულისხმობს სამხილებს შორის შინაარსობრივ კავშირს და გამორიცხავს მათ შორის არსებით წინააღმდეგობას. მტკიცებულებები, რომლებიც გამამტყუნებელ განაჩენს ედება საფუძვლად, უნდა ადასტურებდნენ ერთსა და იმავე გარემოებასა და ფაქტს და არ ტოვებდნენ მათში გონივრული ეჭვის შეტანის საფუძველს.

47. ამდენად, ვინაიდან არ არსებობს ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა გ. დ-ს დამნაშავედ ცნობისა და მის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის, გ. დ. წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. დ-სა და მისი ადვოკატის ი. ი-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ივნისის განაჩენი გ. დ-ს მიმართ;

3. გ. დ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში;

4. გამართლებულ გ. დ-ს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება;

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება

განჩინება
საქართველოს სახელით

№49ag-19 15 მაისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ა-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ა-მ, რომელიც ითხოვს განჩინების გაუქმებას, მის მიმართ გამოტანილი განაჩენებისა და განჩინებების გადასინჯვასა და საბოლოოდ, მისთვის სასჯელის განსაზღვრისას იმის გათვალისწინებას, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 20 ივლისის განაჩენით მას 2 წლით შეუმსუბუქა სასჯელი 2010 წლის 15 ივნისის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის №... დასკვნის საფუძველზე, რაც არ აისახა მისთვის განსაზღვრულ საბოლოო სასჯელში; კასატორის მოსაზრებით, ქვეყანაში არსებული რეჟიმის პირობებში მას შეეფარდა არაადეკვატურად მკაცრი, უსამართლო სასჯელი.

2. თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 6 ივლისის განაჩენით გ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2008 წლის 14 აპრილს ჩადენილი დანაშაულისათვის) და სასჯელად განესაზღვრა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ა-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2009 წლის 18 აგვისტოდან.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 10 თებერვლის განაჩენით თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 6 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მაისის განჩინებით, მსჯავრდებულ გ. ა-სა და მისი ადვოკატის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 10 თებერვლის განაჩენზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

5. თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის განაჩენით გ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 19,108-ე მუხლით (2009 წლის 14 აგვისტოს ჩადენილი დანაშაულებისათვის) და სასჯელად განესაზღვრა:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 18 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და გ. ა-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 28 წლით თავისუფლების აღკვეთა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განაჩენით ცვლილება შევიდა თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის განაჩენში:

გ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 19,108-ე მუხლით (2009 წლის 14 აგვისტოს ჩადენილი დანაშაულებისათვის) და სასჯელად განესაზღვრა:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 18 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და გ. ა-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 26 წლით თავისუფლე-

ბის აღკვეთა.

გ. ა-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო 2009 წლის 21 აგვისტოდან.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 დეკემბრის განჩინებით მსჯავრდებულ გ. ა-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განაჩენზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

8. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 10 იანვრის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განაჩენით დანიშნულ სასჯელს – 26 წლით თავისუფლების აღკვეთას – მთლიანად დაემატა წინა, თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 6 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 15 წლით, 5 თვითა და 2 დღით თავისუფლების აღკვეთა და მსჯავრდებულ გ. ა-ს განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა 41 წლით, 5 თვითა და 2 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდა და საბოლოოდ განესაზღვრა 40 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ გ. ა-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2010 წლის 16 მარტიდან.

9. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 13 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ გ. ა.ს მიმართ გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 10 იანვრის განჩინებით დანიშნული სასჯელი – 40 წლით თავისუფლების აღკვეთა – გაუნახევრდა და განესაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ გ. ა-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო 2010 წლის 16 მარტიდან.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 29 მაისის განაჩენით დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ გ. ა-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე და ცვლილება შევიდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 10 იანვრისა და 2013 წლის 13 თებერვლის განჩინებებში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განაჩენით დანიშნულ სასჯელს – 26 წლით თავისუფლების აღკვეთას – მთლიანად დაემატა წინა, თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 6 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 15 წლით, 5

თვითა და 2 დღით თავისუფლების აღკვეთა და მსჯავრდებულ გ. ა-ს განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა 41 წლით, 5 თვითა და 2 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდა და საბოლოოდ განესაზღვრა 35 წლით თავისუფლების აღკვეთა.

„ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-7, მე-17, 21-ე და 26-ე მუხლების თანახმად, გ. ა-ს გაუნახევრდა დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ განესაზღვრა 17 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ა-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო 2010 წლის 16 მარტიდან.

11. 2019 წლის 21 ივნისს მსჯრდებულმა გ. ა-მ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა. კერძოდ, ითხოვა მის მიმართ გამოტანილი განაჩენებისა და განჩინებების საფუძვლიანად შესწავლა და საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას იმ გარემოების გათვალისწინება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განაჩენით ცვლილება შევიდა თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის განაჩენში და საბოლოო სასჯელი შეუმცირდა 2 წლით.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის განჩინებით მსჯავრდებულ გ. ა.ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლი ამომწურავად იძლევა იმ საფუძველთა ჩამონათვალს, რომელთა არსებობის შემთხვევაში ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, კერძოდ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ე[1]) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

ზ[1]) წარდგენილია პროკურორის დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო და თავისთავად ან/და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებუ-

ლის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო;

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

3. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება არცერთი ზემოაღნიშნული საფუძველი.

4. საკასაციო პალატა ეთანხმება და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ მსჯავრდებულ გ. ა-ს არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას სასამართლომ არ გაითვალისწინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 20 ივლისის განაჩენით მისთვის 2 წლით შემსუბუქებული სასჯელი, არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან, ვინაიდან რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 10 იანვრის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განაჩენით დანიშნულ სასჯელს – 26 წლით თავისუფლების აღკვეთას (რომლითაც მას შეუმსუბუქდა თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელი) დაემატა თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 6 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 15 წლით, 5 თვითა და 2 დღით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვრა საბოლოო სასჯელი, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 29 მაისის განაჩენით შესაბამისობაში მოვიდა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-6 ნაწილთან, რაზეც გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი და საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 17 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ამდენად, კასატორის მოსაზრება, რომ საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას სასამართლომ არ გაითვალისწინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 20 ივლისის განაჩენით მისთვის 2 წლით შემსუბუქებული სასჯელი, საფუძველს მოკლებულია.

5. რაც შეეხება მსჯავრდებულისათვის შეფარდებული სასჯელის სამართლიანობის შეფასებას, საკასაციო პალატა კვლავაც იმეორებს, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს გადასასინჯი გადაწყვეტილების სამართლიანობაზე. საპროცესო კოდექსის ამ მოთხოვნებიდან და სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მსჯავრდებულს უნდა

შეუმცირდეს სასჯელი იმ შემთხვევაში, როდესაც მისთვის დანიშნული სასჯელის ზომა აღემატება ახალი კანონით დადგენილი სასჯელის ზომის მაქსიმუმს. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუკი დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეამციროს მისი ზომა და, შესაბამისად, იმსჯელოს დანიშნული სასჯელის მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან შესაბამისობის თაობაზე (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი №39აგ-12 საქმეზე).

6. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის განჩინება კანონიერია, არ არსებობს მისი გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. ა.ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება

განჩინება
საქართველოს სახელით

№46აგ-19 12 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
გ. შავლიაშვილი,
ნ. ბაქაქური

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გიორგი ოქროპირიძის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ნოემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2015 წლის 26 დეკემბრის ნაფიც მსაჯულთა განაჩენით:

გ. ო. ცნობილი იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა (2015 წლის 14 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2015 წლის 14 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში.

გ. ო. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ივლისის განაჩენითა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის 2014 წლის 18 აპრილის №. გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ამ განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ივლისის განაჩენით და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის 2014 წლის 18 აპრილის №. გადაწყვეტი-

ლებით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 10 თვითა და 14 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით გ. ო-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის განაჩენით მსჯავრდებულ გ. ო-სა და თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორის დავით ნეფარიძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 დეკემბრის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი გ. ო-ს მიმართ.

3. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 მარტის განაჩენით გ. ო. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და საბოლოოდ, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 16 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 24 დეკემბრის განჩინებით შევიდა ცვლილება სასჯელის ნაწილში და საბოლოოდ, გ. ო-ს განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 5000 ლარი. გ. ო-ს მიმართ გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი, ასევე მის მიმართ გამოყენებული იქნა კანონის უკუძალა სასჯელის სრული შეკრებითობის პრინციპის გაუქმებიდან გამომდინარე და საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 19 იანვრის განკარგულებით შეწყალების შესახებ გ. ო-ს მოსახდელად დარჩენილი საპატიმრო სასჯელი გაუნახევრდა. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის 2014 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე, გ. ო. სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლდა პირობით ვადამდე 10 თვითა და 14 დღით ადრე.

4. მიუხედავად აღნიშნულისა, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებულმა გ. ო-მ, პირობითი მსჯავრის ქვეშ ყოფნისას, კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, კერძოდ: 2014

წლის 2 სექტემბერს, საღამოს საათებში, გ. ო. და ვ. ბ. ამ უკანასკნელის მართვის ქვეშ მყოფი „Mescedes-Benz"-ის მარკის, GL მოდელის ავტომანქანით, სახელმწიფო სანომრე ნიშნით ..., თბილისში, ...-ის ქუჩაზე გადაადგილდებოდნენ. ხსენებული ქუჩის №-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, გ. ო-მ შენიშნა ნაცნობი ლ. მ., ვ. ბ-ს ავტომანქანა გააჩერებინა და ლ. მ-ს გამოელაპარაკა. საუბრის დაწყებისთანავე, გ. ო. გადმოვიდა ავტომანქანიდან და მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლები განახორციელა ლ. მ-ს მიმართულებით. აღნიშნულის შემდეგ, გ. ო. კვლავ ჩაჯდა ვ. ბ-ს კუთვნილ ავტომობილში და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ხოლო ლ. მ. მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა.

5. 2019 წლის 12 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა გ. ო-მ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო და ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2015 წლის 26 დეკემბრის ნაფიც მსაჯულთა განაჩენის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს (საქმე №1ბ/..-16წ) განაჩენის გადასინჯვა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ნოემბრის განჩინებით მსჯავრდებულ გ. ო-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ დაუშვებლად იქნა ცნობილი.

7. მსჯავრდებული გ. ო. საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ნოემბრის განჩინების გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას. კასატორის მოსაზრებით, 2019 წლის 26 ნოემბრის განჩინება დაუსაბუთებელია, საქმის მასალებიდან გამომდინარე, არ არსებობს მისთვის ბრალის წაყენების საფუძველი; მის მიმართ გამოტანილი ყველა გადაწყვეტილება უკანონოა; განაჩენის დადგენისას სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილის და 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე" ქვეპუნქტის (შესაბამისად – სააპელაციო სასამართლომ) მოთხოვნები და არ გააუქმა ვერდიქტი როგორც უსაფუძვლო, რომელიც არ იყო მტკიცებულებებით გამყარებული; არ არსებობს გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა; საქმე განიხილა ნაფიც მსჯულთა სასამართლოს არალეგიტიმურმა შემადგენლობამ; არის პოლიტპატიმარი; მის მიმართ წარდგენილი ბრალდება აგებულია მოწმეთა მიერ მიცემულ ცრუ ჩვენებებზე; საქმეზე არსებობს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, რაც მის უდანაშაულობას ადასტურებს.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. კასატორი ითხოვს საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 26 ნოემბრის განჩინების გაუქმებას და სააპელაციო სასამართლოსთვის მითითებას შუამდგომლობის დაშვების შესახებ. კასატორი იმავდროულად მოითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ სსსკ-ის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

3. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივრის განხილვისას საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება მკაფიოდ არის განსაზღვრული კასატორის მიერ მითითებულ სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილში, რომლის თანახმად, შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინების განხილვისას საკასაციო სასამართლოს არ აქვს შუამდგომლობის არსებითად განხილვის და გასაჩივრებული განაჩენის შეცვლის უფლებამოსილება. კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლომ ან ძალაში უნდა დატოვოს სააპელაციო სასამართლოს განჩინება ან უნდა გააუქმოს განჩინება და მიუთითოს სააპელაციო სასამართლოს, რომ მან დაუშვას შუამდგომლობა. საკასაციო სასამართლოს ასევე არ აქვს უფლება დააკმაყოფილოს გ. ო-ს მოთხოვნა და სააპელაციო სასამართლოს მიუთითოს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ. შესაბამისად ამ ნაწილში გ. ო-ს მოთხოვნა არასწორია.

4. საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლი ადგენს იმ გარემოებათა ამომწურავ ჩამონათვალს, როდესაც დაიშვება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვა. შესაბამისად, გ. ო-ს საკასაციო საჩივრის განხილვისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს სსსკ-ის აღნიშნული მუხლით განსაზღვრული გარემოების(-ების) არსებობა. სსსკ-ის 310-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არ არსებობის შემთხვევაში სასამართლო მოკლებულია საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

5. საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის თანახმად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ე[1]) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.

ზ[1]) წარდგენილია პროკურორის დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფ-

ლების არსებითი დარღვევის შესახებ, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო და თავისთავად ან/და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო;

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

6. გ. ო-ს განმარტებით, მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ა)", „ბ)" და „ზ)" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობას და შესაბამისად არსებობს მის მიმართ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის საფუძველი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო. კასატორი მიუთითებს, რომ მის მიერ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ფარგლებში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება ბრალდების მხარის მამხილებელი ყველა მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა და შესაბამისად, მისთვის წაყენებული ბრალდების სიყალბე. მათ შორის საჩივარზე დართული, CD დისკზე არსებული ჩანაწერები აბათილებს მოწმე ნ. ა-ს და ნ. ა-ს მიერ სასამართლოში მიცემულ ცრუ ჩვენებებს. კასატორის განცხადებით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის საკასაციო წესით გადასინჯვისას არ შეაფასა ნ. ა-ს მიერ მიცემული ჩვენების სიყალბე და არსებითი განხილვისას დაკითხული მოწმეების ჩვენებებს შორის არსებული წინააღმდეგობები, მაშინ როდესაც, სააპელაციო სასამართლოს ბათილად უნდა ეცნო აღნიშნულ მოწმეთა წინააღმდეგობრივი ჩვენებები.

7. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 310-ე მუხლის „ა)" ქვეპუნქტის საფუძველზე განაჩენის გადასინჯვისთვის მტკიცებულების სიყალბე (მოცემულ შემთხვევაში – მოწმის ჩვენების) დადგენილი უნდა იყოს მხოლოდ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით (რომელიც ადგენს შესაბამისი მტკიცებულების სიყალბეს) და იმავდროულად ასეთი განაჩენის არსებობის შემთხვევაშიც კი, განაჩენის გადასინჯვის საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ ყალბად მიჩნეული მტკიცებულება საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს. ამდენად, სსსკ 310-ე მუხლის „ა)" ქვეპუნქტი იმპერატიულად განსაზღვრავს იმ მტკიცებულების სიყალბის დადგენის წესს, რომელსაც ემყარება გადასასინჯი განაჩენი. მოცემულ შემთხვევაში გ. ო-ს მიერ არ არის წარმოდგენილი სასამართლოს განაჩენი, რომლითაც დადგენილი იქნებოდა მის მიერ მითითებული რომელიმე მოწმის ჩვენების სიყალბე,

ხოლო ევროკავშირის ელჩის წერილი, ჟურნალისტური გამოძიების მასალები და საქმეზე დართული ყველა სხვა ინფორმაცია ვერ გახდება განაჩენის სსსკ-ის 310-ე მუხლის „ა)“ ქვეპუნქტით გადასინჯვის საფუძველი.

8. სსსკ-ის 310 მუხლის „ზ)“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განაჩენის გადასინჯვის საფუძველია ისეთი ახალი ფაქტის ან მტკიცებულების არსებობა, „რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო“. ამდენად, სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ)“ ქვეპუნქტი მკაფიოდ ადგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის კუმულაციურ წინაპირობას: ახალი გარემოება არა მხოლოდ ობიექტურად უცნობი უნდა ყოფილიყო კასატორისთვის განაჩენის დადგენის დროს, არამედ ეს გარემოება გავლენას უნდა ახდენდეს მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის საკითხზე, რაც მოცემულ შემთხვევაში ასევე არ დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით. განაჩენის გადასინჯვისთვის, გ. ო-ს მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები არ უნდა ყოფილიყო მისთვის ცნობილი გადასასინჯი განაჩენის დადგენის დროს. შესაბამისად, განაჩენის გადასინჯვის საფუძველს არ წარმოადგენს დანართში მითითებული დოკუმენტაციის დიდი ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ სასამართლოში საქმის განხილვისას ცნობილი იყო კასატორისთვის (მაგ., ფონოსკოპიური და ვიდეო-ტექნიკური № ექსპერტიზა, პროკურატურის მიერ სასამართლოზე წარდგენილი კრებსების აუდიო ჩანაწერები, ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დადგენილება, სასამართლო პროცესზე ვ. ბ-ს მიერ ექსპერტიმენტის განხორციელების ამსახველი ფოტო, ლ. მ-ს გ. ო-სთან სახლში ყოფნის ამსახველი ფოტო და ა.შ) და შესაბამისად ვერ აკმაყოფილებს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ)“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

9. საკასაციო საჩივრის დანართში მითითებული ინფორმაციის ნაწილი არარელევანტურია, ხოლო ინფორმაციის და დოკუმენტაციის ნაწილი, მართალია, ეხება გ. ო-ს მიმართ სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა სსსკ-ის 310-ე მუხლის მიზნებისთვის არ წარმოადგენს თავისთავად (მაგალითად, სასამართლოს შესაბამისი აქტების გარეშე) ისეთ გარემოებას, რაც ქმნის კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძ-

ველს სსსკ-ის 310-ე მუხლის შესაბამისად.

10. სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ განაჩენის გადასინჯვის საფუძვლები ამომწურავად არის განსაზღვრული სსსკ-ის 310-ე მუხლით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია საჩივარში მითითებულ იმ საკითხებზე მსჯელობის და მათი შეფასების შესაძლებლობას, რომლებიც სსსკ-ის თანახმად ფასდება შესაბამისად – საქმეზე არსებითი განხილვის დროს და სათანადო საფუძვლის არსებობისას სსსკ-ის 266-ე მუხლით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების ფარგლებში (მათ შორის მაგალითად, ქუჩის შუქნიშნების კამერების ჩანაწერების მოპოვება, მოწმეთა წინააღმდეგობრივი ჩვენებების შეფასება, სასამართლოს მიერ სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილის და 266-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვა და ა.შ.). შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებების საკმარისობის საკითხი გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად, ვინაიდან აღნიშნული საკითხი ფასდება განაჩენის დადგენისას განაჩენის დამდგენი სასამართლოს მიერ საქართველოს სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევაში და წესით ან/და განაჩენის სსსკ-ის 266-ე მუხლით გასაჩივრების ფარგლებში (როგორც წარმოდგენილი მასალებით დგინდება აღნიშნული საკითხიც შეფასებულია სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის განაჩენში). ამავე ფარგლებში უნდა მომხდარიყო კასატორის იმ არგუმენტის განხილვაც, რომლის თანახმად, სსკ-ის 236-ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებაში გამართლების პირობებში არ არსებობდა მისი დამნაშავედ ცნობის და გამამტყუნებელი ვერდიქტის დადგენის საფუძველი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილი განზრახ მკვლელობის დანაშაულში. ანალოგიურად – ვ. ბ-ს მიერ მიცემული ჩვენებების ურთიერთთავსებადობის და წინააღმდეგობრიობის საკითხი განხილული უნდა ყოფილიყო არსებითი განხილვის და სააპელაციო სასამართლოს მიერ საკასაციო წესით განაჩენის განხილვისას. სსსკ-ის იმპერატიული ხასიათიდან და საქმის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის საფუძვლების ამომწურავი ჩამონათვალიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს არ აქვს იმ საკითხებზე მსჯელობის და შეფასების შესაძლებლობა, რომელი საკითხებიც კასატორისთვის ცნობილი იყო გასაჩივრებული განაჩენის დადგენისას.

11. მოცემული საკასაციო საჩივრის მიზნებისთვის ახლად გამოვლენილ გარემოებას არ წარმოადგენს ასევე კასატორის მიერ მითითებული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის განაჩენი (ისევე როგორც თბილისის სააპელაციო სასამარ-

თლოს 2018 წლის 23 აპრილის განაჩენი და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 07 ნოემბრის განჩინება), ვინაიდან აღნიშნული აქტები არ ადასტურებს სსსკ-ის 310-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობას 2015 წლის 26 დეკემბრის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენთან მიმართებით (სასამართლოების აღნიშნული განაჩენები და განჩინება ეხება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან კასატორის მიმართ სსკ-ის 144[3]-ე მუხლით გათვალისწინებული მოპყრობის შესახებ გ. ო-ს მიერ ცრუ დასმენის და მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისათვის საქართველოს სსკ-ის 370-ე და 373-ე მუხლებით გათვალისწინებულ ბრალდებაში გამართლებას. გამამართლებელი განაჩენის დადგენისას სასამართლომ მიუთითა რომ გ. ო-ს სხეულზე აღნიშნული დაზიანებების თვითდაზიანების გზით მიყენება და სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის შეგნებულად არასწორი ინფორმაციის მიწოდება დაზიანებების წარმომავლობის შესახებ, ისევე როგორც ცრუ ჩვენების მიცემა გ. ო-ს მიერ, ვერ დასტურდება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით საქმეში არსებული მტკიცებულებებით).

12. კასატორი სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 26 ნოემბრის განჩინების გადასინჯვის საფუძვლად ასევე უთითებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის №გ-1/040/2016 გადაწყვეტილებას. სასამართლო კვლავაც აღნიშნავს რომ სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ)“ ქვეპუნქტის თანახმად, ახალი ფაქტი ან გარემოება გავლენას უნდა ახდენდეს პირის პასუხისმგებლობაზე. მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებით საქართველოს შსს ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გ. ო-ს პირდაპირ იდენტიფიცირებადი ფორმით ამსახველი ვიდეოკადრების ხელმისაწვდომად გახდომის გზით გამჟღავნებისთვის. გადაწყვეტილებაში მითითებული დარღვევა არ ახდენს გავლენას კასატორის მიერ მისთვის შერაცხული დანაშაულის ჩადენა-არჩადენის და შესაბამისად, კასატორის პასუხისმგებლობის საკითხზე. ამდენად, აღნიშნული დასკვნაც არ წარმოადგენს ახლად გამოვლენილ გარემოებას სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ)“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, რის გამოც სასამართლო მოკლებულია ამ ნაწილშიც კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

13. კასატორის მტკიცებით, მის საქმესთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს დადგენილი აქვს ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევის ფაქტი, თუმცა გადაწყვეტილების ასლი წარმოდგენილი არ არის. ამასთან სასამართლო მიუთითებს, რომ სსსკ-ის 310-ე მუხ-

ლის „ე)“ ქვეპუნქტის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებას ევროპული სასამართლოს აქტი მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოადგენს, თუ ის აკმაყოფილებს სსსკ-ის 310-ე მუხლით დადგენილ შემდეგ ოთხ კრიტერიუმს კუმულაციურად: ა) ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში უნდა იყოს შესული; ბ) გადასინჯვის საფუძველია მხოლოდ გადაწყვეტილება ან განჩინება; გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით/ განჩინებით დადგენილი უნდა იყოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის და მისი ოქმების დარღვევა კასატორის განსახილველ საქმესთან დაკავშირებით; დ) გადასასინჯი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს ამ დარღვევას. ამდენად, განაცხადის კომუნიცირების შესახებ სასამართლოს აქტი არ წარმოადგენს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის საფუძველს, ხოლო სხვა საქმესთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ კონვენციის 37-ე მუხლის პირველი პარაგრაფის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება დავის მეგობრული მოგვარების დამტკიცების შესახებ, არ წარმოადგენს მოცემულ შემთხვევაში განაჩენის გადასინჯვის საფუძველს. შესაბამისად, არ არსებობს არც ამ საფუძვლით შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის საფუძველი.

14. რაც შეეხება სასამართლოს თათბირის საიდუმლოებასთან და უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებით დანართში მითითებულ დოკუმენტებს და კასატორის არგუმენტაციას, სასამართლო აღნიშნავს, რომ თათბირის საიდუმლოება და უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის ვალდებულება დადგენილია საქართველოს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით. თუმცა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის საფუძველი აღნიშნული გარემოება გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დააკმაყოფილებს სსსკ-ის 310-ე მუხლის მოთხოვნებს.

15. კასატორი ასევე აღნიშნავს ნაფიცი მსაჯულების მხრიდან დანარჩენ ნაფიც მსაჯულებზე განხორციელებულ სავარაუდო ზეწოლაზე და აღნიშნულის დასადასტურებლად უთითებს მედიით გავრცელებულ ინფორმაციას. სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ვერ გახდება განაჩენის გადასინჯვის საფუძველი, ვინაიდან სსსკ-ის 310-ე მუხლის „გ)“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ შემთხვევაშიც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით უნდა იყოს დადგენილი ნაფიცი მსაჯულების მიმართ დანაშაულის ჩადენა. მოცემულ შემთხვევაში კი ასეთი განაჩენი არ არის წარმოდგენილი.

16. კასატორი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უკანონო შემად-

გენლობაზე მსჯელობისას მიუთითებს, რომ ნაფიცი მსაჯულის სახით საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ ნ. ხ., რომელიც სასამართლო განხილვის დროს წარმოადგენდა აშშ-ის საელჩოს დაცვის თანამშრომელს და ნ. მ., ვინც იყო იურისტი. კასატორის მტკიცებით არც ერთ მათგანს არ ჰქონდა ნაფიც მსაჯულად მონაწილეობის უფლება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული საკითხი შეფასებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს №47აგ-19 განჩინებაში (განჩინების თანახმად, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე მხარეებს არ დაუყენებიათ აღნიშნული კანდიდატებისთვის აცილება მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანდიდატების საქმიანობის შესახებ – რომ ნ. ხ. იყო აშშ-ის დაცვის თანამშრომელი, ხოლო ნ. მ. მუშაობდა კერძო კომპანიაში გაყიდვების მენეჯერად და იყო საჯარო მმართველობის სტუდენტი – კანდიდატების მიერ მითითებული იყო კანდიდატების მიერ შევსებულ კითხვარებში და ცნობილი იყო მხარეებისთვის). ამავე განჩინებით არის შეფასებული გ. ო-ს მითითება ევროკავშირის ელჩის წერილზე, ასევე სოფ. ყ-ს საქართველოს ტერიტორიისათვის კუთვნილების საკითხი, საკასაციო საჩივარზე წარმოდგენილი აუდიო-/ვიდეო ჩანაწერები.

17. ამდენად, კასატორი აპელირებს იმ გარემოებებზე, რომლებიც უკვე იყო განხილული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გ. ო-ს ადვოკატის იგივე საფუძვლით და იგივე გარემოებებზე დამყარებული საკასაციო საჩივრის ფარგლებში. კასატორი არ უთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებაში განხილულისგან განსხვავებულ გარემოებაზე, რომელიც საჭიროებს სასამართლოს მხრიდან დამატებით შეფასებას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო განმეორებით აღარ შეაფასებს წინამდებარე საკასაციო საჩივარში მითითებულ იმ გარემოებებს, რომლებიც შეფასებული იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს № განჩინების ფარგლებში.

18. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ ევროპული სასამართლოს განმარტებით, „სამართლიანი განხილვის უფლების მოთხოვნებთან შესაბამისობა უნდა შეფასდეს მთელი სამართალწარმოების და საქმის ყველა გარემოების განხილვის საფუძველზე, იძლევა თუ არა სამართალწარმოება შესაძლებლობას ბრალდებულმა გააცნობიეროს თუ რატომ იქნა იგი ცნობილი დამნაშავედ....

ამგვარი პროცედურული გარანტიები შეიძლება მოიცავდეს მაგალითად, სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიც მსაჯულთათვის წარმოდგენილ მითითებებს ან სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელიც შეიძლება წამოიჭრას სამართლებრივ საკითხებთან ან წარმოდგენილ მტკიცებულებებთან მიმართებით, ასევე ნაფიცი მსა-

ჯულებისათვის მოსამართლის მიერ დასმულ ზუსტ, არაორაზროვან კითხვებს, რომელიც აყალიბებს სტრუქტურას, რომელზეც დაფუძნებულია ვერდიქტი და საკმარისად ახდენს იმ ფაქტის კომპენსაციას, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ გაცემულ პასუხებს არ აქვთ დასაბუთება“ (Lhermitte v. Belgium, no. 34238/09, §§80,68 ECtHR, 29/11/2016).

19. საკასაციო სასამართლო მოკლებულია წარმოდგენილი საჩივრის ფარგლებში იმ საკითხების განხილვის შესაძლებლობას, რომელიც არ წარმოადგენს სსსკ-ის 310-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებას და მოკლებულია იმ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რომელიც სცდება სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილს.

20. სასამართლო აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 311-ე მუხლის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ვადა შეუზღუდავია (გამონაკლისია სსსკ 310-ე მუხლის „ე)“ და „ე¹)“ ქვეპუნქტებით მითითებული შემთხვევები). შესაბამისად, სსსკ-ის 310-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების დადგენის და ამავე მუხლით დადგენილი წესით დადასტურების შემთხვევაში გ. ო-ს შეუძლია კვლავაც მიმართოს სასამართლოს გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით.

21. სასამართლო ითვალისწინებს, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას. აღნიშნული ზედა ინსტანციის სასამართლოებს უფლებას აძლევს, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ., Hirvisaari v. Finland, N49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001). ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება, არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ.,Gorou v. Greece (No. 2) N 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009).

22. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება სსსკ-ის 310-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე გარემოების არსებობა, რის გამოც საკასაციო სასამართლო მოკლებულია საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მსჯავრდებულ გ. ო-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ნოემბრის განჩინება გ. ო-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 299 71 34
www.supremecourt.ge